ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

17 იანვარი **ოთხშაბათი** 2013 №012 (13 928) ფასი 80 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტატანაშვილი დინამოში



2

# პეპის გრძელი გზა მიუნხენამდე

## ოფიციალურად დადასტურდა: ზაფხულიდან გვარდიოლა ბაიერნში




5

ხოსეპ გვარდიოლა

# ბარსელონას აკადემიიდან... ზესტაფონში



ქართული კლუბების სატრანსფერო სიახლეები

4

ასაკობრივი ნაკრებები

## ელიტრაუნდებს მასპინძლებით ვამთავრებთ

UEFA UNDER17 CHAMPIONSHIP

UEFA UNDER19 CHAMPIONSHIP

ცნობილი გახდა ევროპის 17 და 19-წლამდელთა ჩემპიონატების ელიტრაუნდების კალენდარი, რის შედეგადაც გაირკვა, რომ ჩვენი გუნდები ტურნირს მასპინძლებთან მატჩით დაამთავრებენ.

კონტინენტის პირველობის ფინალურ ეტაპზე მოსახვედრად ჯერ საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები იბრძოლებს. 25 მარტს **გიორგი დევდარიანის** გუნდი სერბეთს შეხვდება, 27 მარტს ირლანდიას დაუპირისპირდება, ხოლო ელიტრაუნდს 30 მარტს ჯგუფის მასპინძელ ავსტრიასთან მატჩით დაასრულებს.

საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები, რომლის მთავარ მწვრთნელადაც რამდენიმე დღის წინ **გია ცეცაძე** დაინიშნა, ელიტრაუნდს 24 მაისს დაიწყებს. ამ დღეს ჩვენი გუნდი ინგლისს შეხვდება, 26 მაისს საქართველოს ნაკრების მეტოქე შოტლანდია იქნება, 29 მაისს კი - მასპინძელი ბელგია.

შეგახსენებთ, ფინალურ ეტაპზე მხოლოდ ელიტრაუნდის ჯგუფების გამარჯვებულები გადიან.

**ლევან ჯანეზაშვილი**



# ცინცაძის ტრიუმფი რუსეთში

11




9

# ტოჩინოშინი დაუმარცხებელია

## 4-0

ქართველი სუმოისტი იანვრის ბაშოზე ლიდერთა ოთხეულშია



10

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ფეხბურთი

დინამო



დინამოელები თურქეთში ამ სასტუმროში იცხოვრებენ

# ახალწვეულები და ორი შეკრება თურქეთში

საქართველოს ჩემპიონატის ერთპიროვნულმა ლიდერმა თბილისის "დინამომ" სეზონის მეორე ნახევრისთვის მზადება დაიწყო. დიღმის საწვრთნელ ბაზაზე გამართულ პირველ ვარჯიშში შემდეგმა ფეხბურთელებმა მიიღეს მონაწილეობა: **გიორგი ლორია, თორნიკე ზარქუა, კოკა სეფიაშვილი, ოთარ ხიზანეიშვილი, ლევან ხმალაძე, გივი კვარაცხელია, გიორგი რეხვიაშვილი, გიორგი გველესიანი, დავით ხოჭოლავა, გიორგი სეთურიძე, არჩილ ტვილდიანი, გიორგი პაპავა, ირაკლი ძარია, ირაკლი ლექვთაძე, ჯაბა ჯიღაური, ლაშა პარუნაშვილი, ჯაბა დვალი, გიორგი მერებაშვილი, ნიკა კვეკვესკირი, გიორგი თექთურმანიძე.**

ივარჯიშა "დინამოს" სამმა ახალწვეულმაც – **გიორგი შაშიაშვილმა, ლაშა შინდაგორიძემ** და **ნიკა დიასამიძემ.** გუშინ გუნდს გამოცდილი ფორვარდი **დიმიტრი ტატანაშვილიც** დაემატა.

მოგვიანებით გუნდს შეუერთდნენ ლეგიონერები – **მიკელ ალვარო, კარლეს კოტო, დარკო გლიშიჩი** და **რობერტინიო.**

რაც შეეხება **ჩისკოს**, იგი მიკროტრავმის გამო "დინამოს" განკარგულებაში ოდნავ მოგვიანებით, 21 იანვარს იქნება.

სწორედ ამ დღეს დედაქალაქური კლუბი პირველ თურქულ შეკრებას დაიწყებს. "დინამო" ანთალიაში 21-დან 31 იანვრამდე დარჩება და ამ პერიოდში, სავარაუდოდ, სამ საკონტროლო შეხვედრას გამართავს. **დუშან უჰრინის** გუნდის სავარაუდო მეტოქეები არიან ყაზახური "შახტიორი" და უკრაინული კლუბები, "ვორსკლა" და "ილიჩევეცი".

"დინამო" საქართველოში რამდენიმე დღით დაბრუნდება და კვლავ თურქეთში გაემგზავრება შეკრებაზე, რომელიც 5-დან 15 თებერვლამდე გასტანს. მეორე შეკრებაზე ოთხი სპარინგი გაიმართება. ცნობილია სამი სავარაუდო მეტოქე – რუსული "ამკარი", პოლონური "პოლონია" და უკრაინული "ზარია". შეგახსენებთ, "ზარიას" ღირსებას ქართველი შემტევი **ჯაბა ლიპარტია** იცავს.

**ლევან ჯანეზაშვილი**



დიმიტრი ტატანაშვილი დინამოში მეორედ მივიდა

ფოტო:www.fcdinamo.ge

# ტატანაშვილი დინამოელია

თბილისის "დინამომ" **დიმიტრი ტატანაშვილი** დაიმატა. 29 წლის თავდამსხმელი თბილისურ კლუბში 2010/2011 წლების სეზონში გამოდიოდა და 15 შეხვედრაში 4 გოლი გაიტანა. 2011 წლიდან რუსთავის "მეტალურგში" გადავიდა და იქ ჩატარებულ 55 შეხვედრაში მეტოქეთა კარი 19-ჯერ დალაშქრა.

მიმდინარე სეზონის პირველ ნახევარში "მეტალურგში" 22 მატჩში 7 ბურთი გაიტანა. ტატანაშვილს სხვადასხვა დროს უთამაშია თბილისის "ამერში", ჩეხურ "პლზენსა" და "კლადნოში", აგრეთვე, უკრაინაში, ზაპოროჟიეს "მეტალურგში".

2007-2009 წლებში საქართველოს ნაკრების მაისურით 2 ოფიცალური შეხვედრა ჩაატარა და 1 გოლი გაიტანა.

შეგახსენებთ, რომ ტატანაშვილის "დინამოში" დაბრუნებაზე ლაპარაკი სეზონის დაწყებამდეც იყო, მაგრამ მაშინ ეს ტრანსფერი ვერ განხორციელდა.

**მერაბ მამულაშვილი**

ფუტსალი

# თამაშების განრიგი დადგინდა

## იბერია მასობრივ ტესტირებას იწყებს

22-27 იანვარს მალტა ფუტსალში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის შეხვედრებს უმასპინძლებს. საქართველოს ფუტსალის ასოციაციის გენერალურმა მდივანმა, **ბექა კვიციანმა** გვითხრა, რომ მატჩების განრიგი საბოლოოდ შეთანხმდა.

თამაშები პაოლაში "ჰიბერნიანსის" დარბაზში გაიმართება. მალტის ფეხბურთის ფედერაციის წერილის თანახმად, საქართველოს ეროვნული ნაკრები 23 იანვარს მალტას 19 საათზე დაუპირისპირდება, ხოლო 24 იანვარს მოლდოვას - 17 საათზე. შეგახსენებთ, რომ ჯგუფის პირველადგილოსანი აპრილში ჰოლანდიაში გაემგზავრება, სადაც ელიტ რაუნდის შეხვედრებია დაგეგმილი. 6 ჯგუფში შესარჩევის გამარჯვებული ჩეხეთს, ბელარუსსა და მასპინძელ ჰოლანდიას შეხვდება.

სიახლეებია საკლუბო დონეზეც. უახლოეს მომავალში, საქართველოს ჩემპიონი და ევროპის ელიტ რაუნდის მონაწილე "იბერია სტარის" ხელმძღვანელობა საკმაოდ ორიგინალური ხერხით შეეცდება საინტერესო მოთამაშის მოძებნას. ისინი 14-დან 21 წლამდე ასაკის მოთამაშეების გასინჯვას აპირებენ დევიზით "მოირგე "იბერია სტარის" მაისური.

შერჩევა სპორტკომპლექს "არენაში" ჩატარდება და მას კლუბის მთავარი მწვრთნელი, ბრაზილიელი **სერჟიო ბენატი** გაუძღვება. ტესტირების ზუსტი თარიღი უახლოეს დღეებში გახდება ცნობილი.

15 იანვარს სპორტულ რადიო "ჯაკოს" დაარსებიდან 7 წელი შესრულდა, სადაც არაოლიმპიური სპორტის სახეობების საუკეთესო სპორტსმენები დააჯილდოეს. ნომინაციაში მე-6 ადგილი წილად ხვდა "იბერიასა" და საქართველოს ნაკრების მოთამაშეს, **გოგა ალთუნაშვილს** და ის სამახსოვრო საჩუქრით დაჯილდოვდა.

**მერაბ მამულაშვილი**

ინტერვიუ

## ლადო ბურდული:

# დემეტრაძეს თანამშრომლობა შევთავაზე

ორიოდე დღის წინ ვწერდით, რომ ბოლნისის „სიონის" სპორტულ დირექტორად ლადო ბურდული დაინიშნა.

საქართველოს ნაკრების და თბილისის „დინამოს" ყოფილ ნახევარმცველს კიდევ რამდენიმე კლუბის ფორმა მოურგია – თბილისის "ლოკომოტივის", ვლადიკავკაზის "ალანიას", კრივოი როგის "კრივბასის", ლუგანსკის "ზარიას", სიმფეროპოლის "ტავრიას", უჟგოროდის "ზაკარპატიეს", კარიერა კი ცხინვალის "სპარტაკში" დაასრულა. ბურდულმა საქართველოს ნაკრებში 21 შეხვედრა ჩაატარა და 2 გოლი გაიტანა.

გუშინ ლადო ბურდულს "ლელომ" ინტერვიუ ჩამოართვა, სადაც მან საინტერესო ჩანაფიქრები გაგვიმხილა.

**- უპირველესად, გილოცავთ ფეხბურთში ახალ ამპლუაში დაბრუნებას. საინტერესოა, "სიონში" რა გეგმებითა და ჩანაფიქრით მიხვედით?**

- კლუბის გენერალურ დირექტორად დაინიშნა მალხაზ მაღრაძე, მე კი სპორტულ მიმართულებაზე ვიმუშავებ. მოთამაშეთა სელექცია, სპორტული ეკიპირების საკითხის მოგვარება და სხვა წმინდა საფეხბურთო საკითხებს უნდა მივხედო. სამწუხაროდ, კლუბში პრობლემები დაგვხვდა: ფორმა, ბუცები, ელემენტარულად, ნიშნულები (ე.წ. "ფიშკები") არ გვაქვს. ძალიან დიდი სურვილი მაქვს, ფეხბურთელებს მინიმალური სავარჯიშო და საყოფაცხოვრებო პირობები მაინც შევუქმნა, კარგად რომ ითამაშონ. თავად ვიყავი ფეხბურთელი, ეს პრობლემები საკუთარ თავზე მაქვს გადატანილი და კარგად ვიცი, ამ საკითხების მოგვარება რამდენად მნიშვნელოვანია.

სპონსორებსაც უნდა დაველაპარაკოთ, რომ საკითხი მაქსიმალურად მოგვარდეს.

**- სამწუხაროდ, ბოლო პერიოდში "სიონმა" ძველი ხიბლიც დაკარგა და, რაც ყველაზე საწყენია, გულშემატკივრებიც.**

- გეთანხმებით, ეს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემაა. "ალა" და ფანები თამაშებზე კი დადიან, მაგრამ სტადიონი ისე აღარ ივსება, როგორც ჩემი ფეხბურთელობის დროს, როდესაც თბილისის "დინამოში" ვთამაშობდი. ბოლნისში სტუმრობა ყოველთვის ძნელი იყო, რადგან "სიონის" გულშემატკივარს ჰქონდა გასაოცარი უნარი, გუნდისთვის მართლა მე-12 მოთამაშის როლი ეთამაშა. სტადიონი ივსებოდა და ასეთი გუნდის დამარცხება ძალიან ჭირდა. ბოლნისი არის საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე საფეხბურთო ქალაქი და ყველანაირად ვეცდებით, რომ "სიონმა" ხალხი სტადიონს დაუბრუნოს.

**- ამაში "სიონს" ბიუჯეტი ხელს შეუწყობს?**

- ფინანსურ მხარეს მალხაზ მაღრაძე მიხედავს. თბილისის "დინამოსა" და "ზესტაფონის" ბიუჯეტი არ გვექნება, მაგრამ გუნდს დააფინანსებენ და შევეცდებით, მებრძოლი, ერთსულოვანი კლუბი შევქმნათ, რომელიც ნებისმიერ კლუბს შეებრძოლება.

**- "სიონში" გამოცდილი მოთამაშეები არიან. თქვენი საკადრო პოლიტიკა როგორი იქნება – ახალგაზრდები თუ გამოცდილები?**

- კარგად მახსოვს, რა მძიმე მოსასმენი იყო, როდესაც კლუბები 28-29 წლის გამოცდილ მოთამაშეებზე უარს ამბობდნენ. მოტივი ის იყო, რომ გაახალგაზრდავება სურდათ. ეს მე გაუმართლებელი პრაქტიკა მგონია. თბილისის "დინამოში" ივო შუშაკის დროს ბევრი ახალგაზრდა ვიყავით, მაგრამ გვერდში რომ არ გვყოლოდა გამოცდილები - ირაკლი ზოიძე, გიორგი ანჩაბაძე და ალეკო გოგობერიშვილი, გუნდი ვერაფერს მიაღწევდა. გამოცდილებას ფეხბურთში დიდი ფასი აქვს და არ მესმის, ამ ღირებულ ხალხზე უარი რა მოტივით უნდა ვთქათ.

მთავარია, ახალგაზრდებისა და გამოცდილების შერწყმა და გუნდი აუცილებლად ათამაშდება. ვეტერანი ცოდნისა და კლასის ხარჯზე თამაშის ბედს გადაგიწყვეტს და მასზე უარის თქმა სისულელე იქნება.

**- "სიონში" ელოდნენ, რომ გიორგი დემეტრაძესთან ერთად მიხვიდოდით.**

- დასამალი არ არის, კლუბიდან ამის ნებართვა მივიღე: გიორგის გუშინაც შევხვდი და მართლაც შევთავაზე "სიონში" ერთად მუშაობა.

**- რა პოსტს სთავაზობთ?**

- კლუბის სელექციონერის, რადგან მიმაჩნია, რომ ასეთი გამოცდილი ადამიანის შერჩეული მოთამაშეები აუცილებლად წაგვადგებიან. აბა, "დემეს" ფეხბურთელი როგორ შეეშლება? ასეთი ადამიანი და პროფესიონალი ნებისმიერ კლუბს სჭირდება და დიდ სამსახურსაც გაუწევს.

**- გიორგი დაგთანხმდათ?**

- მოსაფიქრებლად დრო მოითხოვა, რადგან მას უცხოეთიდანაც აქვს შემოთავაზებები. მალე ყველაფერს გაარკვევს და მისი პასუხიც გვეცოდინება. ისე, ჩემი დიდი სურვილია, რომ გიორგი დაგვეხმაროს.



ლადო ბურდული

**- "სიონში" სხვა რა სიახლეებია?**

- გუნდი 18 იანვარს შეიკრიბება და ყველაფერი მაშინ გახდება ცნობილი. მთავარი მწვრთნელის პოსტზე არმაზ ჯელაძე რჩება და საკადრო საკითხებს ის გადაწყვეტს. მის საქმიანობაში ვერავინ ჩაერევა, ვერც მე და ვერც კლუბის სხვა ხელმძღვანელი თუ გარეშე ხალხი, ხოლო დარეკვით მოთამაშეების აყვანა გამოირიცხება. ქართულ ფეხბურთში ეს სამარცხვინო ტენდენცია თუ არ მოვსპეთ, არაფერი გამოგვივა. ამიერიდან, მწვრთნელი გადაწყვეტს, ვინ სჭირდება გუნდს და გასაშვები ვინ არის.

**- ვინმე დაიმატეთ?**

- დავიმატეთ ორი გამოცდილი მოთამაშე, დაჩი ფოფხაძე და კოკა მიკუჩაძე. ეს უკანასკნელი ბოლოს ისრაელში თამაშობდა. ამას გარდა, კიდევ რამდენიმე ახალგაზრდისა და ცნობილი მოთამაშის დამატებაა გადაწყვეტილი, მაგრამ ამაზე უახლოეს დღეებში გაცნობებთ.

**- "სიონს" ბევრი დატოვებს?**

- ყველაფერი კარგად რომ ყოფილიყო, ახლა გუნდი ბოლოდან მესამე ადგილზე არ აღმოჩნდებოდა. ეტყობა, ბევრი რამ არის შესაცვლელი. ასე რომ, ბევრი წავა და ბევრიც მოვა.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერები


დავით სხირტლაძე

# დავით სხირტლაძემ ვარჯიში განაახლა

## ვაწაძესთან ერთად კარგი დუეტი გამოგვივა

დანიურმა "ორჰუსმა" სუპერლიგის მეორე ეტაპისთვის მზადება დაიწყო და 28 იანვარს "ვიბორგთან" პირველ ტესტ-მატჩს ჩაატარებს. გუნდთან ერთად ვარჯიშობს სამი ქართველი – **დავით დევდარიანი, მათე ვაწაძე** და **დავით სხირტლაძე**.

ამ უკანასკნელმა ჩემპიონატის ბოლო ეტაპი გამოტოვა, რადგან ოქტომბერში ხელი მოიტეხა და მოედანზე გასვლას ვერ ახერხებდა. მართალია, სხირტლაძემ სუპერლიგის მიმდინარე სეზონში 8 შეხვედრა ჩაატარა და მხოლოდ ერთხელ, "რანდერსთან" გაიტანა გოლი, მაგრამ კლუბის ოფიციალურ ვებგვერდზე მისი დაბრუნების გამო დაწერეს, რომ შემოდგომაზე მშვენიერ ფორმაში იყო და "ორჰუსის" საკვანძო მოთამაშედ ყალიბდებოდა.

დანიური კლუბის 19 წლის ქართველ თავდამსხმელს დანიაში დავუკავშირდით და სეზონის დაწყებამდე მცირე ინტერვიუ ჩამოვართვით.

*"დანიაში ზაფხულში ხანმოკლე მოსამზადებელი ეტაპია. ზამთარში ბევრად ხანგრძლივი, ორთვიანი შეკრება გვაქვს, რადგან სეზონი მარტში განახლდება. თუმცა, აღმოსავლეთ ევროპისგან განსხვავებით, დანიაში შეკრების დროს ფეხბურთელებს ბაზაზე არ გვკეტავენ, სახლებიდან დავდივართ და კვირაში 5 დღე ორჯერ ვვარჯიშობთ. ამ კუთხით ევროპელთა მიდგომა განსხვავებულია. 9 თებერვალს კი ათი დღით პორტუგალიაში მივემგზავრებით."* – ამბობს სხირტლაძე.

2012 წელი სხირტლაძისათვის წარმატებული გამოდგა, "ორჰუსის" ძირითად შემადგენლობაში მოხვდა, საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში სისტემატურად იძახებდნენ და 2013 წელსაც დიდი იმედებით ელოდება: *"ახლა უკვე ჯანმრთელად ვარ და ჩვეულებრივად ვიტვირთები. დრო გამიცდა და ბევრი შრომა მომიწევს, დაკარგული ფორმა სწრაფად რომ აღვიდგინო. ისე, მართლაც კარგ ფორმაში ვიყავი, რადგან დანიაში გატარებულმა ორმა სეზონმა ბევრი შემძინა, ფიზიკურად მოვლონიერდი, ბევრად უფრო ათლეტური გავხდი და ტაქტიკურადაც ბევრი რამ ვისწავლე. საერთოდ, დანიაში კარგად გავაცნობიერე, რომ შრომის გარეშე წარმატების მიღწევა წარმოუდგენელია, მაგრამ ტრავმამ ხელი შემიშალა. ახლა ჩემი მიზანია, კონდიციები აღვიდგინო, ზრდა განვაგრძო და გუნდს მაქსიმალურად დავეხმარო, რადგან "ორჰუსის" მიზანი ოთხეულში მოხვედრა და ევროპის ლიგის საგზურის მოპოვებაა".*

სხირტლაძე ამბობს, რომ ორმხრივი თამაშების დროს, "ორჰუსის" მთავარი მწვრთნელი **პეტერ სორენსენი** თავდასხმაში **მათე ვაწაძესთან** ხშირად აწყვილებს და შესაძლოა, ჩემპიონატში თავის გამოჩენის საშუალება სწორედ ქართულ დუეტს მისცეს: *"ჯერჯერობით, მწვრთნელი შემტევების საუკეთესო დუეტის ძიებაშია. რადგან სეზონის განახლებამდე დიდი დროა, თითქმის ყველა ვარჯიშზე ახალ წყვილებს სინჯავს. სხვათა შორის, რამდენჯერმე მე და მათე ერთად დაგვაყენა და საკმაოდ კარგად შევეწყვეთ. ცხადია, დანიელებმა ქართული არ იციან და ეს საკმაოდ დიდ უპირატესობას გვაძლევდა. ერთმანეთს ვკარნახობდით, როდის უნდა ეთამაშა ბურთზე მათეს და როდის მე. იმედია, სეზონს ძირითად შემადგენლობაშიც ერთად ჩავატარებთ".*

**მერაბ მამულაშვილი**

# ირაკლი მესხია პეტერბურგში მიემგზავრება


ირაკლი მესხია

**ირაკლი მესხია** უკრაინის ახალგაზრდულ ნაკრებს სანკტ-პეტერბურგში "თანამეგობრობის თასზე" დაეხმარება - ეს ამბავი ორიოდე დღის წინ გადაწყდა.

კიევის „ობოლონის" შემტევი ნახევარმცველი იანვარში ორჯერ გაახარეს. ჯერ იყო და, უკრაინის ერთ-ერთი საუკეთესო კლუბის, ხარკოვის "მეტალისტის" ფეხბურთელი გახდა და კლუბთან სამწლიან კონტრაქტს მალე ოფიციალურადაც გააფორმებს.

10 იანვარს კი უკრაინის 19-წლამდელთა ნაკრების ყოფილი შემტევი ნახევარმცველი უკრაინის ახალგაზრდული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **სერგეი კოვალეცმა** შეკრებაზე გამოიძახა. გუნდი კიევის "დინამოს" ბაზაზე, კონჩე-ზასპეში შეკრიბა, სულ კი კოვალეცი 25 მოთამაშეს აკვირდებოდა და ტურნირზე გასამგზავრებლად მათგან საუკეთესოები უნდა შეერჩია.

უკრაინელები სანკტ-პეტერბურგში დღეს გაემგზავრებიან და ლიტვას (19 იანვარს), მოლდოვასა (20 იანვარს) და თურქმენეთს (22 იანვარს) დაუპირისპირდებიან.

**მერაბ მამულაშვილი**

ზუგდიდი

## მალხაზ ჭეჟია:

# ზუგდიდში ხალხი სტადიონზე უნდა დავაბრუნოთ

"ლელოს" გუშინდელ ნომერში გაცნობეთ, რომ "ზუგიდიდის" ხელმძღვანელობაში ცვლილებებია. ქალაქის გამგებლად ედიშერ თოლორაია დაინიშნა, რომლის ინიციატივითაც კლუბის დირექტორი მალხაზ ჭეჟია გახდა. დაპირებისამებრ, დღეს მის ინტერვიუს გთავაზობთ, მანამდე კი მოკლედ გეტყვით "ზუგდიდის" მოსამზადებელი გეგმების შესახებ.

გუნდი სეზონის მეორე ნახევრისთვის მზადებას 20 იანვარს დაიწყებს. თავდაპირველად "ზუგდიდი" ადგილზე ივარჯიშებს, რის შემდეგაც დაგეგმილია შეკრება თურქეთში, კონკრეტულად კი ანთალიის მხარეში.

შემადგენლობაში ცვლილებები აუცილებლად მოხდება და ამ მხრივ სიახლეებს უახლოეს დღეებში შევიტყობთ. დღეისთვის კი მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ "ზუგდიდიდან" "ზესტაფონში" გადავიდა ლევან კუტალია, ფოთის "კოლხეთს" მიაშურა ზამირ ჯანაშიამ, ირაკლი ქობალია კი საზღვარგარეთ ცდილობს კარიერის გაგრძელებას.

ახლა კი ინტერვიუ მალხაზ ჭეჟიასთან.

**- უპირველესად, საკუთარ თავზე გვითხარით ორიოდე სიტყვა.**

- სიამოვნებით. ლიტვაში 1986 წელს წავედი და უნივერსიტეტი იქ დავამთავრე. ვიყავი ფეხბურთელი და ვითამაშე რამდენიმე ლიტვურ კლუბში. საფეხბურთო კარიერა ტრავმის გამო ნაადრევად დავასრულე და სწავლა გავაგრძელე, რის შემდეგაც ბიზნესს მივყავი ხელი. ზუგდიდში ახალი გამგებლის დანიშვნის შემდეგ რეკომენდაცია გამიწიეს და კლუბის დირექტორად დამნიშნეს. ეს ჩემთვის დიდი პატივია და ძალ-ღონეს არ დავიშურებ იმისთვის, რომ "ზუგდიდი" წარმატებული კლუბი იყოს. ამ ქალაქს დიდი საფეხბურთო ტრადიციები აქვს და შედეგებიც შესაბამისი უნდა ჰქონდეს. ხალხი სტადიონს უნდა დაუბრუნდეს. ამ თანამდებობაზე მუშაობას იმიტომ დავთანხმდი, რომ კარგად ვიყავი ჩახედული ქართული და კონკრეტულად, ზუგდიდური ფეხბურთის სამზარეულოში და მაქვს იმედი, რომ ჩემს ცოდნასა და გამოცდილებას კლუბისთვის სასიკეთოდ გამოვიყენებ.

**- ალბათ, თქვენს საქმიანობაში ლიტვურ კონტაქტებსაც გამოიყენებთ.**

- აუცილებლად. ბევრს ვიშრომებ იმისთვის, რომ "ზუგდიდმა" დასახულ მიზნებს მიაღწიოს და ამისთვის საქართველოშიც ვიმუშავებ და ლიტვაშიც.

**- რა გეგმით მოხვედით "ზუგდიდში"?**

- კარგად მესმის, რომ კლუბის წარმატება უცებ არ მოდის და ამისთვის მიზანმიმართული მუშაობაა საჭირო. თანამოაზრეებთან ერთად შევეცდები, დაფინანსების დამატებითი წყაროები მოვიძიო. რაც შეეხება საკადრო პოლიტიკას, მიგვაჩნია, რომ "ზუგდიდის" შემადგენლობაში უმთავრეს როლს ადგილობრივი კადრები უნდა თამაშობდნენ. ქალაქს შესანიშნავი თაობა ჰყავს და ამ ბიჭებს დიდი ფეხბურთის თამაშის პოტენციალი აქვთ. მათი ნაწილი "ზუგდიდის" მთავარ გუნდში ამ სეზონშივე დაწინაურდება, რასაც შემადგენლობის გადახალისება მოჰყვება.

**- გაახალგაზრდავებიდან გამომდინარე, ხომ არ უნდა ვივარაუდოთ, რომ მიმდინარე სეზონში "ზუგდიდი" მაღალ მიზნებს ვერ დაისახავს?**

- არა, ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ეროვნულ ჩემპიონატში რაც შეიძლება მაღალი ადგილი დავიკავოთ. "ზუგდიდისთვის" ავტორიტეტები არ უნდა არსებობდნენ, ნებისმიერ მეტოქესთან გამარჯვებისთვის უნდა ვიბრძოლოთ.

**- კლუბის ბიუჯეტი რამდენი იქნება?**

- 2013 წელს "ზუგდიდს" ადგილობრივი მუნიციპალიტეტი 700 ათასი ლარით დააფინანსებს. ამას გარდა, კლუბის სპონსორად რჩება კომპანია "ფერერო". ამ ეტაპზე "ზუგდიდის" უმთავრესი დამფინანსებელი გამგეობაა, თუმცა ახალი სპონსორების მოძიებას აქტიურად შევეცდებით.


მალხაზ ჭეჟია

**- ფეხბურთელთა დავალიანებას კლუბი სრულად როდის დაფარავს?**

- ორ-სამ დღეში დავალიანება სრულად იქნება გასტუმრებული.

**- "ზუგდიდს" საშინაო სტადიონის პრობლემაც აქვს და სწორედ ამიტომ თამაშობს განმუხურში. ამ საკითხის გადაწყვეტა თუ იგეგმება?**

- ზუსტი ვადების დასახელება გამიჭირდება, მაგრამ ახლო მომავალში ზუგდიდს საკუთარი სტადიონი აუცილებლად ექნება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

სამგზადისი

# გაგრამ მზადება დაიწყო

პირველი ლიგის "ა" ზონაში მესამე ადგილზე მყოფი "გაგრა" 10 იანვარს შეიკრიბა და სეზონისთვის მზადებას შეუდგა.

*"ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე გუნდი დატოვეს მეკარე ილია მაღრაძემ, მცველმა ზაზა ნადირაძემ და ნახევარმცველმა ლევან სეთურიძემ. ახლა მთავარი მწვრთნელის განკარგულებაში 25 ფეხბურთელია. მათი ნაწილი მეორე გუნდიდან დავიმატეთ, ნაწილიც (მურადაშვილი, კაჭარავა, ფიფია, თურმანიძე, ზარნაძე) ისინჯება და მათი ბედი ამხანაგური შეხვედრების შემდეგ გადაწყდება. გუნდი კიდევ უფრო გაძლიერებასაც გეგმავს. ინდივიდუალურად ივარჯიშა ირაკლი ხუციძემ, რომელსაც მცირედი ტრავმა აწუხებდა, 16 იანვრიდან კი საერთო ჯგუფთან მოემზადება.*

*ამ ეტაპზე ფეხბურთელები ფიზიკური კონდიციების გაუმჯობესებას ცდილობენ. გუნდი "მერანის" სტადიონის სათადარიგო მოედანზე ვარჯიშობს, ხოლო 16 იანვრიდან "შატილზე" გადავინაცვლებთ. დაგეგმილია ამხანაგური შეხვედრების ჩატარებაც. უმაღლესი ლიგის სამ გუნდთან წინასწარი შეთანხმება უკვე მიღწეულია"* – გვითხრა "გაგრას" საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა **მიხეილ აფხაზავამ**.

**მერაბ მამულაშვილი**

საქართველოს ჩემპიონატი. I ეტაპის შეჯამება

ზესტაფონი (ზესტაფონი). ადგილი V

# ქარტეხილების შემდეგ



ზესტაფონის სამწვრთნელო შტაბი. მარცხნიდან: კახა კაჭარავა, თამაზ ოდიკაძე, კახა გოგიჩაიშვილი

დახედეთ სტატისტიკას და აღმოაჩენთ, თუ რამდენი მთავარი მწვრთნელი გამოიცვალა „ზესტაფონმა" მიმდინარე სეზონის პირველ ეტაპზე. ერთი სიტყვით, ფეროელებს რთული პერიოდი ჰქონდათ და ცხრილში დაკავებული ადგილიც ლოგიკური უნდა იყოს.

„ზესტაფონი" ვერ გაერკვა, რა მიმართულება უნდა აერჩია — გარედან ასეთი შთაბეჭდილება დარჩა, ხოლო შიგნით რა ხდებოდა, ეს კლუბში ყველაზე უკეთ იციან.

„ზესტაფონი" ზედიზედ ორჯერ გახდა საქართველოს ჩემპიონი და არა გვგონია, რომ წლეულს ეს ტიტული შეინარჩუნოს - „დინამო თბილისთან" ჩამორჩენა ხომ თხუთმეტ ქულას შეადგენს.

ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციოზე ბაქოს „ნეფთჩისთან" საქართველოს ჩემპიონს ხელი მოეცარა, ოღონდაც აქაც უნდა ვიკითხოთ, რამდენად ლოგიკური იყო ეს. „ზესტაფონი" დატოვეს დაცვის ლიდერმა **გიორგი ონიანმა** და ნახევარდაცვაში უდავოდ გამორჩეულმა **შოთა გრიგალაშვილმა.** სელექცია ისეთი არ გამოდგა, რაც „ზესტაფონს" ჩემპიონთა ლიგის ჯგუფში შეიყვანდა, არადა, ოფიციალურად გუნდის მიზანი სწორედ ეს იყო.

„ზესტაფონის" პრეზიდენტი **ილია კოკაია** წლობით საქმიანობს ქართულ ფეხბურთში, თუმცა შეცდომების უფლება ალბათ მასაც აქვს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, კლუბის შენახვა ძვირი სიამოვნებაა, ამ საქმიდან ჯეროვანი უკუგება კი საქართველოში არ ჩანს.

**გიორგი ჭიაბრიშვილს** კონტრაქტში ეწერა, რომ კონკრეტული შედეგის ვერმიღწევის შემთხვევაში კლუბს მასთან ხელშეკრულების გაწყვეტა შეეძლო და „ზესტაფონმაც" ეს გამოიყენა. ჭიაბრიშვილი **დავით მუჯირისა** და **ზაზა ზამთარაძის** დუეტმა შეცვალა, მათ შუა გზაზე ჩაიბარეს გუნდი და შესაბამისად, შუა გზაზე დაიწყეს სასელექციო სამუშაოები. „ზესტაფონში" ხელახლა ათამაშდა **რატი ნინამძღვრიშვილი,** ვისი ზესტაფონური მომავალი მანამდე გაურკვეველი იყო. „ზესტაფონმა" ასეულ ათასობით დოლარის სანაცვლოდ „დინამო თბილისს" დაუთმო **ჯაბა დვალი** და ფეროელები ფაქტობრივად თავდამსხმელის გარეშე დარჩნენ, მუჯირი-ზამთარაძის დუეტმაც ნდობა ნინამძღვრიშვილს გამოუცხადა. მოგვიანებით „ზესტაფონმა" ლეგიონერი თავდამსხმელიც შეიმატა - **ბოტი გოა,** კიდევ ნახევარმცველი **იგორ იელიჩი,** მანამდე კი, გერმანელი მარცხენაფლანგელი **პატრიკ მილხრაუმი.**

„ზესტაფონი" შუა გზაზე ისე ვერ გადაეწყო, რომ ფურორი მოეხდინა, კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა ისიც, მოხვდებოდა თუ არა გუნდი ზედა ექვსეულში. ასეთ კრიტიკულ პერიოდში „ზესტაფონმა" შინ „ვიტ ჯორჯიასთან" 1:2 წააგო და დაიწყო - ზესტაფონელებს კლუბის ხელმძღვანელობამ ხელფასის ნახევარი ჩამოაჭრა, გუნდი გაიფიცა, მუჯირი-ზამთარაძის დუეტმა კი განაცხადა, რადგან კლუბის პრეზიდენტმა ასეთი გადაწყვეტილება მწვრთნელებთან კონსულტაციის გარეშე მიიღო, გუნდიდან მივდივართ, მწვრთნელები ვართ და არა ფიზკულტურის მასწავლებლებიო.

„ზესტაფონი" ცაიტნოტში აღმოჩნდა და თხოვნით მიმართა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას, მე-19 ტურის მატჩი „ჩიხურასთან" გადაგვიდეთ და მომდევნო ტურების კალენდარიც შეცვალეთო. ფედერაციამ ეს საკითხი უმაღლესი ლიგის სხვა კლუბებთანაც გაიარა და ყველაფერი „ზესტაფონის" სასარგებლოდ გადაწყდა. „ჩიხურასთან" გუნდს „ზესტაფონის" დუბლების დამრიგებელმა **გიორგი მიქაძემ** უმწვრთნელა, მერე კი ფეროელებმა **კახა კაჭარავას** უხმეს. „ზესტაფონმა" ზედა ექვსეული გაინაღდა, იმ მომენტში გუნდის მთავარი ამოცანა სწორედ ეს იყო. კაჭარავაც „ზესტაფონში" დარჩა და თანაშემწედ **კახა გოგიჩაიშვილი** ამოიყენა.

### მეკარე

ეს ის შემთხვევაა, როცა მეკარე გუნდში დიდ კონკურენციას ვერ გრძნობს. **როინ კვასხვაძე** საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრიცაა, ხაზზე თამაშში ცოტა თუ შეედრება. კვასხვაძემ სტაბილურად ითამაშა სეზონის პირველი ეტაპი. შინ „ვიტ ჯორჯიასთან" **გიორგი კორიფაძის** დარტყმის მოგერიება კი მართებდა, მაგრამ უშეცდომო არავინაა.

### დაცვა

„ზესტაფონს" დაცვის ბურჯი არ ჰყავდა, თორემ ამ რგოლში ურიგო მოთამაშეებით როდი იყო დაკომპლექტებული. კარგად წარმოაჩინა თავი 19 წლის **თედორე გრიგალაშვილმა.** შეიძლება იმის თქმა, რომ ის გუნდისთვის ამ სეზონის აღმოჩენაა.

გერმანელი მილხრაუმისგან ვერ ვიხილეთ ის თამაში, რასაც ზოგადად ლეგიონერისგან ელიან.

### თავდასხმა

ნინამძღვრიშვილის ხელახლა „გამოცოცხლებაზე" უკვე ვთქვით. კოტდიუვარელი ბოტი გოა ყოჩაღი შემტევი ჩანს, თუმცა „ზესტაფონში" ჯერ არ იკვეთება ისეთი მძლავრი თავდასხმა, როგორიც გუნდს **ნიკა გელაშვილის** და ჯაბა დვალის დროს ჰყავდა.

### საუკეთესო მატჩი

კაჭარავას ხელმძღვანელობით პირველი ეტაპის ბოლო ტურში „ზესტაფონმა" შინ „დინამო თბილისი" დაამარცხა და გუნდის საუეთესო მატჩიც ეგ უნდა იყოს. თამაშის ხარისხს თუ მივილებთ მხედველობაში, „ზესტაფონმა" სტუმრად რომ წააგო **დუშან უჰრინის** გუნდთან, ის შეხვედრაც უნდა გამოვარჩიოთ. კაცნაკლულმა „ზესტაფონმა" ანგარიშის გათანაბრება მოახერხა და იღბალიც რომ დახმარებოდა, ქულას აიღებდა.

### ყველაზე ცუდი მატჩი

ვფიქრობთ, გამორჩეულად ცუდი მატჩი „ზესტაფონს" პირველ ეტაპზე არ ჰქონია.

### ლიდერი

**თორნიკე აფციაური** და **შოთა ბაბუნაშვილი** - გუნდის ხერხემალს ეს ორი ქმნიდა, თუმცა ყოჩიფეხბურთელი ამ „ზესტაფონს" ალბათ არ ჰყავს.

### მიზანი

რადგან ჩემპიონობის შანსი იოტისხელაა, კახა კაჭარავას გუნდის მიზანი ევროსარბიელის საგზური იქნება.

დავით თავართქილაძე



ზესტაფონელთა ერთ-ერთი ლიდერი და კაპიტანი თორნიკე აფციაური

### ზესტაფონის ყველა მატჩი პირველ ეტაპზე

| | | |
|---|---|---|
| I ტური. | ზესტაფონი - მერანი | 3:1 |
| II ტური. | ზესტაფონი - მეტალურგი | 0:1 |
| III ტური. | ტორპედო - ზესტაფონი | 1:0 |
| IV ტური. | ზესტაფონი - დინამო (ბთ) | 0:0 |
| V ტური. | კოლხეთი - ზესტაფონი | 0:2 |
| VI ტური. | ზესტაფონი - დილა | 0:1 |
| VII ტური. | ვიტ ჯორჯია - ზესტაფონი | 2:3 |
| VIII ტური. | ზესტაფონი - ჩიხურა | 0:0 |
| IX ტური. | სიონი - ზესტაფონი | 0:2 |
| X ტური. | ზესტაფონი - ზუგდიდი | 1:0 |
| XI ტური. | დინამო(თბ) - ზესტაფონი | 2:1 |
| XII ტური. | მერანი - ზესტაფონი | 0:2 |
| XIII ტური. | მეტალურგი - ზესტაფონი | 1:1 |
| XIV ტური. | ზესტაფონი - ტორპედო | 1:0 |
| XV ტური. | დინამო(ბთ) - ზესტაფონი | 3:3 |
| XVI ტური. | ზესტაფონი - კოლხეთი | 1:0 |
| XVII ტური. | დილა - ზესტაფონი | 1:0 |
| XVIII ტური. | ზესტაფონი - ვიტ ჯორჯია | 1:2 |
| XIX ტური. | ჩიხურა - ზესტაფონი | 3:1 |
| XX ტური. | ზესტაფონი - სიონი | 1:0 |
| XXI ტური. | ზუგდიდი - ზესტაფონი | 0:3 |
| XXII ტური. | ზესტაფონი - დინამო | 2:1 |

მეკარეები: როინ კვასხვაძე - 21 მატჩი, ზურაბ მამალაძე - 1 მატჩი;

მცველები: თედორე გრიგალაშვილი - 21 მატჩი, 1 გოლი, თემურ ლონლაძე - 17 მატჩი, 1 გოლი, გიორგი კაჭკაჭიშვილი - 17 მატჩი, 1 გოლი, პატრიკ მილხრაუმი - 17 მატჩი, 1 გოლი, თორნიკე გრიგალაშვილი - 16 მატჩი, 1 გოლი, ზაალ ელიავა - 8 მატჩი, მალხაზ გაგოშიძე - 4 მატჩი, მირიან რობაქიძე -1 მატჩი;

ნახევარმცველები: შოთა ბაბუნაშვილი - 18 მატჩი, 3 გოლი, ზურაბ მენთეშაშვილი -15 მატჩი, 2 გოლი, თორნიკე აფციაური - 15 მატჩი, 1 გოლი, თორნიკე გორგიაშვილი - 14 მატჩი, 4 გოლი, იგორ იელიჩი - 11 მატჩი, 1 გოლი, ალექსი ბენაშვილი - 9 მატჩი, 2 გოლი, დავით რაჟამაშვილი - 9 მატჩი, დავით მუჯირი — 6 მატჩი, გურამ სამუშია - 4 მატჩი, ბერდია შარვაძე — 3 მატჩი, 1 გოლი, გუგა კიკნაძე - 1 მატჩი;

თავდამსხმელები: რატი ნინამძღვრიშვილი - 17 მატჩი, 4 გოლი, ბოტი გოა დემელი -9 მატჩი, 1 გოლი, ოთარ კვერნაძე - 8 მატჩი, 1 გოლი, მიხეილ სარდალიშვილი - 6 მატჩი, 2 გოლი, ვახტანგ ჭანტურიშვილი - 3 მატჩი, აბაიომი ოვონიკოკო — 3 მატჩი.

მწვრთნელები: გიორგი ჭიაბრიშვილი (I-III ტური), გიორგი ყიფიანი (IV ტური), დავით მუჯირი/ზაზა ზამთარაძე (V-XVIII ტური), გიორგი მიქაძე( XIX ტური), კახა კაჭარავა(XX-XXII ტური)

| ად | გუნდი | სული: თ | მ | ფ | წ | ბურთები: გატ | გაშ | ქ | შინ: თ | მ | ფ | წ | ბურთები: გატ | გაშ | ქ | სტუმრად: თ | მ | ფ | წ | ბურთები: გატ | გაშ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | დინამო (თბ) | 22 | 16 | 4 | 2 | 63 | 19 | 52 | 11 | 11 | 0 | 0 | 43 | 11 | 33 | 11 | 5 | 4 | 2 | 20 | 8 | 19 |
| 2 | დილა | 22 | 16 | 1 | 5 | 36 | 15 | 49 | 11 | 7 | 0 | 4 | 18 | 9 | 21 | 11 | 9 | 1 | 1 | 18 | 6 | 28 |
| 3 | ტორპედო | 22 | 14 | 3 | 5 | 41 | 18 | 45 | 11 | 9 | 1 | 1 | 25 | 7 | 28 | 11 | 5 | 2 | 4 | 16 | 11 | 17 |
| 4 | ჩიხურა | 22 | 13 | 4 | 5 | 35 | 21 | 43 | 11 | 8 | 2 | 1 | 18 | 5 | 26 | 11 | 5 | 2 | 4 | 17 | 16 | 17 |
| *5* | ***ზესტაფონი*** | ***22*** | ***11*** | ***4*** | ***7*** | ***30*** | ***20*** | ***37*** | ***11*** | ***6*** | ***2*** | ***3*** | ***11*** | ***7*** | ***20*** | ***11*** | ***5*** | ***2*** | ***4*** | ***19*** | ***13*** | ***17*** |
| 6 | ზუგდიდი | 22 | 10 | 5 | 7 | 27 | 26 | 35 | 11 | 8 | 2 | 1 | 19 | 10 | 26 | 11 | 2 | 3 | 6 | 8 | 16 | 9 |
| 7 | მეტალურგი | 22 | 9 | 4 | 9 | 21 | 26 | 31 | 11 | 5 | 2 | 4 | 13 | 14 | 17 | 11 | 4 | 2 | 5 | 8 | 12 | 14 |
| 8 | მერანი | 22 | 7 | 2 | 13 | 23 | 36 | 23 | 11 | 6 | 1 | 4 | 16 | 13 | 19 | 11 | 1 | 1 | 9 | 7 | 23 | 4 |
| 9 | ვიტ ჯორჯია | 22 | 5 | 7 | 10 | 15 | 29 | 22 | 11 | 1 | 5 | 5 | 7 | 12 | 8 | 11 | 4 | 2 | 5 | 8 | 17 | 14 |
| 10 | სიონი | 22 | 4 | 6 | 12 | 14 | 38 | 18 | 11 | 1 | 5 | 5 | 5 | 18 | 8 | 11 | 3 | 1 | 7 | 9 | 20 | 10 |
| 11 | დინამო (ბთ) | 22 | 3 | 4 | 15 | 22 | 47 | 13 | 11 | 2 | 1 | 8 | 11 | 21 | 7 | 11 | 1 | 3 | 7 | 11 | 26 | 6 |
| 12 | კოლხეთი | 22 | 0 | 4 | 18 | 11 | 43 | 4 | 11 | 0 | 3 | 8 | 6 | 19 | 3 | 11 | 0 | 1 | 10 | 5 | 24 | 1 |

სამზადისი

## სამი უცხოელი სინჯებზე

### ზესტაფონში მოხვედრა ყოფილ ბარსელონელსაც სურს

"ზესტაფონის" შემადგენლობაში პირველად ივარჯიშა სამმა უცხოელმა, რომლებიც საქართველოს ჩემპიონის ბანაკში სინჯებისთვის ჩამოვიდნენ. ესენი არიან 26 წლის სერბი მცველი **სლავკო ჩულიბრკი,** 19 წლის ალჟირელი თავდამსხმელი **მოჰამედ რეკრუკი** და 18 წლის კამერუნელი ნახევარმცველი **ოლივიე მუსა ებონგე.**

ჩულიბრკი ბოლოს სერბულ "სლობოდაში" ასპარეზობდა, რეკრუკი ესპანური "სარაგოსას" დუბლებში თამაშობდა, ებონგეს კი ყველაზე საინტერესო ბიოგრაფია აქვს – იგი "ბარსელონას" საფეხბურთო აკადემიის აღზრდილია და კატალონიური გრანდის იერარქიაში მესამე გუნდის, ჟუვენილ ა-ს შემადგენლობაში გამოდიოდა.

"ზესტაფონში" ისინჯებიან ასევე 24 წლის **გიორგი გუგავა** და ზუგდიდის "ბაიას" აღზრდილები – 16 წლის მეკარე **რომან ტურავა** და 17 წლის თავდამსხმელი **ბადრი კვარაცხელია.**

ტრავმები მოიშუშეს და საერთო ჯგუფთან ერთად ვარჯიში განაახლეს **თორნიკე აფციაურმა, ლევან შარიქაძემ** და **თორნიკე გრიგალაშვილმა.**

შეგახსენებთ, ფეროელთა რიგები დატოვეს **ზურაბ მენთეშაშვილმა, ზურაბ მამალაძემ** და გერმანელმა ლეგიონერმა **პატრიკ მილხრაუმმა.**

ლევან ჯანეზაშვილი



მარცხნიდან: ჩულიბრკი, რეკრუკი, ებონგე

ბაიერნი

# ოფიციალურად: პეპ ბაიერნელი!

## მიუნხენელებმა დაადასტურეს: ზაფხულიდან ხოსეპ გვარდიოლა „ბაიერნის“ მწვრთნელია



პეპ გვარდიოლა

გუშინ მიუნხენის „ბაიერნის“ ოფიციალურმა საიტმა გამოაქვეყნა სენსაციური ცნობა, რომელმაც საბოლოოდ დაუსვა წერტილი მკითხაობას - სად გააგრძელებს კარიერას ესპანელი სპეციალისტი **ხოსეპ გვარდიოლა** - ზაფხულიდან 41 წლის (ხვალ გახდება 42 წლის) მწვრთნელი „ბაიერნის“ თავკაცია!

გუშინ კლუბის ვიცე-პრეზიდენტი **კარლ-ჰაინც რუმენიგე** ბავარიელთა მოქმედ მწვრთნელს, **იუპ ჰაინკესს** შეხვდა, რომელმაც დაადასტურა, რომ კონტრაქტის ამოწურვის შემდეგ კარიერის დასრულებას აპირებს. მის ხელშეკრულებას კი ვადა სეზონის ბოლოს უმთავრდება.

*„ის ჩვენი მეგობარია და იუპის გადაწყვეტილებას გაგებით უნდა შევხვდეთ. ჰაინკესის მიზანია, სეზონის მეორე ნახევარშიც წარმატებული კამპანია გვქონდეს და გუნდმა ტიტული მოიპოვოს“.*

როგორც ჩანს, გვარდიოლასთან ყველაფერი შეთანხმებული იყო, რადგან რუმენიგემ გუშინვე გამოაცხადა მთავარი სიახლე: *„მოხარული ვარ გამცნოთ, რომ ჩვენ შევთანხმდით ხოსეპ გვარდიოლასთან თანამშრომლობაზე. ეს ძალიან სასიხარულო ფაქტია, რადგან გვარდიოლას მიწვევა ბევრ დიდ კლუბს სურდა და ჩვენ მათ ვაჯობეთ. ის მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული მწვრთნელია და მისი გადმობირებით არა მხოლოდ „ბაიერნი“, მთლიანად გერმანული ფეხბურთიც მოიგებს. გვარდიოლა საქმეს ივლისიდან შეუდგება“*, - განაცხადა რუმენიგემ.

„ბარსელონას“ ექსთავკაცი „ბაიერნთან“ 3-წლიან ხელშეკრულებას აწერს ხელს, რომელსაც ყავლი 2016 წლის ზაფხულში გაუვა.

ხოსეპ „პეპ“ გვარდიოლა 1990-2001 წლებში თამაშობდა „ბარსელონაში“ (263 თამაში, 6 გოლი), შემდეგ კი „ბრეშიაში“, „რომაში“, „ალ აჰლიში“ და „დორადოსში“ მოსინჯა ძალები. მან ესპანეთის ნაკრებში 47 მატჩში 5 გოლი გაიტანა. 2007 წლიდან ის „ბარსელონაში“ მწვრთნელის ასისტენტი იყო, 2008 წელს კი პოსტზე ფრენკ რაიკაარდი შეცვალა. პეპმა გასული სეზონის ბოლოს „ბარსადან“ წასვლა და ფეხბურთისგან ერთწლიანი პაუზა გამოაცხადა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

არსენალი

# ვენგერი ჯერ მხოლოდ გეგმავს



არსენ ვენგერს თავისი ფეხბურთელებისა ბოლომდე სჯერა

ინგლისური პრესა იანვრის პირველ დღეებშივე წერდა, რომ “არსენალსა” და **თეო უოლკოტს** შორის ახალი კონტრაქტის დეტალები შეთანხმებულია. ინფორმაცია ლონდონური კლუბის წარმომადგენლებმაც დაადასტურეს, თუმცა ყველაფრის მიუხედავად, მხარეთა შორის ის ხელმოწერილი ჯერ კიდევ არ არის. ამას გარდა, მასმედია **არსენ ვენგერის** მიერ შეპირებულ სატრანსფერო აქტივობასაც ადევნებს თვალს და ჯერჯერობით არც ამ საქმეს უჩანს სასიკეთო პირი. “მეთოფეებს” ჯერ არავინ უყიდიათ. 63 წლის ფრანგ სპეციალისტს ინტერვიუ Sky Sports-მა სთხოვა. აი, რა განუცხადა მან ჩვენს უცხოელ კოლეგებს: *“დიდ საქმეს ვართ შეჭიდებულნი. პირველ რიგში უოლკოტის ახალი კონტრაქტის საკითხია ბოლომდე გადასაწყვეტი და მხოლოდ ამის მერე შეიძლება დანარჩენ პრობლემებზე ფიქრი. მესმის, რომ ყველანი ახალ ფეხბურთელებს ელით, მაგრამ “არსენალი” ძნელი გასაძლიერებელია იმ მიზეზის გამო, რომ ის უკვე სათანადოდ არის დაკომპლექტებული. როცა ამ განცხადებას ვაკეთებ, მესმის, რომ დინების საწინააღმდეგოდ ცურვა მიწევს, რადგან ჩემს ამ შეფასებას ცოტა ვინმე თუ ეთანხმება. იანვარში ძალიან ძნელია ისეთი ფეხბურთელების მონახვა, რომლებიც რეალურად გაგვაძლიერებენ, მოიტანენ გუნდში ისეთ ხარისხს, რომელიც ჩვენ ჯერ არ გვაქვს. “არსენალში” მშვენიერი გუნდური ბალანსი და პირველ გუნდში ფეხბურთელების რაოდენობაც მაკმაყოფილებს. ამის მიუხედავად სატრანსფერო გეგმებზე მუშაობას მაინც ვაგრძელებთ”.*

ვენგერს კომენტარის გაკეთება მოუხდა **ჯეკ უილშირზეც**, რადგან აქა-იქ დაიწერა, ახლადმომჯობინებულ ფეხბურთელს მწვრთნელი არ ზოგავს და მის ჯანმრთელობას საფრთხის ქვეშ აგდებსო. აი, რა უპასუხა ვენგერმა კრიტიკოსებს: *“კარიერის განმავლობაში უამრავ ნიჭიერ ახალგაზრდა ფეხბურთელთან მიმუშავია და ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, რაც არასოდეს შეცვლილა, იყო ჩემი დამოკიდებულება მათ მიმართ, დიახ, საჭირო ყურადღება ახალგაზრდებს არასოდეს მოკლებიათ. უილშირს დებიუტი ჩვენთან ხუთი წლის წინ ჰქონდა. დღეს ის “არსენალის” ერთ-ერთი ლიდერია. მის ასაკში გუნდის გაძღოლა უჩვეულოდ რთული საქმეა. ყოველდღიურად ვაკვირდები, თუ როგორ უდგება ის თავის პროფესიას და რამდენად უყვარს ეს თამაში. პრემიერლიგა ისეთი ჩემპიონატია, რომელიც ახალგაზრდა ფეხბურთელს ეხმარება სწრაფ პროგრესში, თუმცა, შესაძლოა, საზოგადოებისა და მასმედიის გადაჭარბებული ყურადღება მისი პიროვნული და პროფესიული ზრდის შემაფერხებელი გარემოება გახდეს”.*

### სან პაულუ დენილსონს ყიდულობს

24 წლის ბრაზილიელი ნახევარმცველი **დენილსონი** “სან პაულუში” უკვე 1,5 წელიწადზე მეტია იჯარით თამაშობს. მას ინგლისში სათამაშოდ დაბრუნების მცირედი სურვილიც-კი არ აქვს. დენილსონმა ამის შესახებ ბრაზილიურ პრესას თავად განუცხადა. ფეხბურთელის სატრანსფერო უფლებების გამოსყიდვას ბრაზილიური გრანდის ხელმძღვანელობაც არ გამორიცხავს. *“იანვარში დენილსონის ტრანსფერზე ლაპარაკი ნაადრევად მეჩვენება. დავაკვირდებით სიტუაციის განვითარებას და საკითხს ევროპული სეზონის დასრულების შემდეგ დავუბრუნდებით,”* – განაცხადა “სან პაულუს” პრეზიდენტმა **იუვენალ იუვენსიომ** Gazeta Esportiva-სთან ინტერვიუში.

### არსენალი მაკარტის ვერ შესწვდა

goal.com-ის ინფორმაციით, “არსენალმა” “უიგანის” ირლანდიელი ცენტრალური ნახევარმცველის, 22 წლის **ჯეიმს მაკარტის** ტრანსფერზე მოლაპარაკებები შეწყვიტა. “მეთოფეებს” ახალგაზრდა ფეხბურთელის ფასი ეძვირათ. “უიგანი” მას 8,5 მილიონ ფუნტად აფასებდა. მაკარტის ხელშეკრულებას ვადა მხოლოდ 2016 წლის ივლისში გასდის, ასე რომ, **რობერტო მარტინესს** შეუძლია წამყვან ფეხბურთელთან გამოთხოვება არ იჩქაროს.

**ლევან ბიბილაშვილი**

ამბები

ეროვნული ბიბლიოთეკა

### საა სანდერლენდიდან მიდის

**ლუის საა** ერთ დროს “მანჩესტერ იუნაიტედის” ძირითადი თავდამსხმელის სახელისთვის იბრძოდა. უკანასკნელი ერთი თვის განმავლობაში კი იმის მიუხედავად, რომ ტრავმა არ აწუხებს, “სანდერლენდის” სათადარიგოთა შორისაც კი ველარ ხვდება (15 იანვრის თასის თამაში “ბოლტონთან” გამონაკლისი იყო). მწვრთნელს 34 წლის ფეხბურთელის სათამაშო კონდიციები არ აკმაყოფილებს და მზადაა, მას დაინტერესებულ კლუბებთან მოლაპარაკებების უფლება მისცეს. საას კარიერის გაგრძელებას მავანი სამხრეთაფრიკული კლუბი სთავაზობს, რომლის სახელს წყარო ჯერჯერობით არ აკონკრეტებს. თავის მხრივ შექმნილი ვითარებით ვეტერანიც უკმაყოფილოა და წასასვლელად ემზადება. *“ლუის შეუძლია ნებისმიერ კლუბთან აწარმოოს მოლაპარაკება და კონტრაქტი გააფორმოს. ჩვენ უკვე შევთანხმდით, რომ ხელშეკრულებას დავარღვევთ ერთმანეთისადმი პრეტენზიების გარეშე,”* – განაცხადა “შავი კატების” დამრიგებელმა **მარტინ ონილმა.**

### ვილიანის ტრანსფერი მაინც შედგება

“ინდეპენდენტის” ცნობით, დონეცკის “შახტარი” დათანხმდა “ტოტენჰემის” წინადადებას **ვილიანის** 20-მილიონიან (ფუნტი) ტრანსფერთან დაკავშირებით. 24 წლის შემტევი ნახევარმცველი ამ დღეებში “მალაროელებს” აბუ-დაბის შეკრებაზე დაგვიანებით შეუერთდა, მაგრამ როგორც კი კლუბები დეტალებს დააზუსტებენ, ბრაზილიელი ლონდონში გაფრინდება სამედიცინო შემოწმების გასავლელად. იმავე წყაროს თქმით, ფეხბურთელის მიმართ ინტერესი ჯერ კიდევ ბოლომდე არ განელებია “ჩელსის”, შესაბამისად, საკითხის ბეჭედდასმულად გამოცხადება ჯერ კიდევ ადრეა.

### რედნაპი: რემიც და მვილაც

როგორც ჩანს, “ქუინზ პარკი” იანვრის სატრანსფერო ბაზარზე სერიოზულ შევსებას მიიღებს. ლონდონელთა 65 წლის მთავარი მწვრთნელის **ჰარი რედნაპის** თქმით, კლუბი ახლოს არის საფრანგეთის ნაკრების ფეხბურთელების **ლოიკ რემისა** (მარსელი) და **იან მვილას** (რენი) ტრანსფერების დასრულებასთან. *“რემის ამბები ალბათ იცით, მან სამედიცინო შემოწმება უკვე გაიარა. კონტრაქტის ხელმოწერამდე მხოლოდ ფორმალობები დაგვრჩა შესათანხმებელი. მვილას რაც შეეხება, რამდენიმე წლის წინ ის ინგლისის ნაკრებთან შეხვედრაში ვნახე და ძალიან კარგი იყო. მისი ტრანსფერიც საკმაოდ რეალურია. ვიცით, რომ მას ამჟამად პრობლემები აქვს პირად ცხოვრებაში, მაგრამ ისიც ვიცით, თუ რა შეუძლია, როცა მოედანზე გადის. თუკი ორივე ტრანსფერი საბოლოოდ გადაწყდა, ეს უბრალოდ ფანტასტიკური იქნება,”* – აცხადებს რედნაპი.

გუშინ საღამოს კი რემიმ “რეინჯერებთან” კონტრაქტს 2017 წლის ივლისამდე ხელი მოაწერა.

### სისოკო ასტონ ვილაში

“ტულუზისა” და საფრანგეთის ნაკრების 23 წლის ცენტრალურმა ნახევარმცველმა **მუსა სისოკომ** შესაძლოა კარიერა “ასტონ ვილაში” გააგრძელოს. გაჭირვებულ ბირმინგემელებს კვალიფიციური ფეხბურთელის ხელში ჩაგდება იაფად შეუძლიათ, რადგან მუსას კონტრაქტს ვადა სეზონის ბოლოს გასდის, რომლის გაგრძელებაზე მან უარი დიდი ხნის წინ თქვა. “გარდიანის” მტკიცებით, სისოკო სულ რაღაც 3 მილიონი ევრო ღირს.

### რიისე ფულჰემს შორდება

“ფულჰემის” 32 წლის ნორვეგიელი მარჯვენა მცველი **იონ-არნე რიისე** მთავარ მწვრთნელ **მარტინ იოლს** დაუპირისპირდა. მიზეზი ბანალურია: ვეტერანმა შობის მეორე დღეს ჰოლანდიელი დამრიგებლის გადაწყვეტილება მეტისმეტად ემოციურად გააპროტესტა, როცა გაიგო, რომ მომდევნო მატჩისთვის ის სათადარიგოთა სკამზე უნდა მჯდარიყო. სკანდინაველს მას მერე აღარ უთამაშია. “ტაიმსის” ცნობით, კლუბის ხელმძღვანელობამ ფეხბურთელს ცალსახად განუმარტა, რომ თუკი “ფულჰემიდან” წასვლა სურს, მას “ქრეივენ კოტეჯზე” ძალით არავინ დატოვებს. რიისეთი დაინტერესებულ კონკრეტულ კლუბებზე სპორტული ვებგვერდები ჯერჯერობით არაფერს წერენ.

### ბოლონიიდან საუთჰემპტონში

“ბოლონიამ” 20 წლის პერსპექტიული ცენტრალური მცველი **ფრედერიკ სორენსენი** “იუვენტუსისგან” მიმდინარე სეზონის დაწყებამდე შეიძინა. დანიელი ფეხბურთელი უმალ იქცა ემილიელთა წამყვან მოთამაშედ. მის პროგრესს შეუმჩნევლად იტალიის ფარგლებს გარეთაც არ ჩაუვლია. სორენსენით ინგლისური კლუბები დაინტერესდნენ, მაგალითად “საუთჰემპტონი”. “წმინდანების” ინტერესი მხოლოდ იტალიური პრესის ფანტაზიის ნაყოფი არ არის, ფეხბურთელის აგენტი **მიკაელ ბოლვიგიც** ადასტურებს. “პრემიერლიგა საინტერესო ვარიანტი იქნება ჩემი კლიენტისთვის, მაგრამ არ მგონია, ის გუნდის შეცვლას იანვარშივე დათანხმდეს. სეზონის დასრულების შემდეგ კი ვნახოთ”.

### იაკვინტამ ვესტ ჰემს უარი უთხრა

Sky Sport Italia-ს ცნობით, “იუვენტუსის” 33 წლის თავდამსხმელმა **ვინჩენცო იაკვინტამ**, ვის კონტრაქტსაც ვადა სეზონის ბოლოს გასდის, “ვესტ ჰემს” სარფიან შეთავაზებაზე უთხრა უარი. ფეხბურთელს ბოლო წლებია, სერიოზული პრობლემები ჰქონდა ჯანმრთელობასთან დაკავშირებით, თუმცა ის უკვე ვარჯიშობს და იმედოვნებს, რომ ფორმაში ჩადგომის შემდეგ “ბებერი ქალბატონი” მას ახალ კონტრაქტს შესთავაზებს. ამდენად, ის, პირველ რიგში, “იუვესთან” გეგმავს ურთიერთობის გარკვევას.

**ლევან ბიბილაშვილი**




ვინჩენცო იაკვინტა

## უცხოური ფეხბურთი

20-წლამდელთა კოპა ამერიკა. I ჯგუფური ეტაპი. IV ტური

# კოლუმბია და ჩილე მომდევნო ეტაპზე არიან

## არგენტინის შანსი მიზერულია



კინტეროსმა 4 საგოლე პასი გააკეთა

### A ჯგუფი

**პარაგვაი-ჩილე 2:3**

**გოლები:** 1:0 დერლის გონსალესი (9), 1:1 დ. როხასი (23), 1:2 ნ. მატურანა (38), 2:2 ალბორნო (55), 2:3 ა. კონტრერასი (90).

**კოლუმბია-ბოლივია 6:0**

**გოლები:** 1:0 მ. ბორხა (45), 2:0 ხ. ნიეტო (51), 3:0 მ. ბორხა (54), 4:0 მ. ბორხა (58), 5:0 ჯ. კორდობა (76), 6:0 ჯ. კორდობა (88).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩილე | 4 | 4 | 0 | 0 | 8-3 | 12 |
| 2. კოლუმბია | 3 | 2 | 0 | 1 | 8-2 | 6 |
| 3. პარაგვაი | 3 | 1 | 0 | 2 | 4-5 | 3 |
| 4. არგენტინა | 3 | 0 | 1 | 2 | 3-5 | 1 |
| 5. ბოლივია | 3 | 0 | 1 | 2 | 2-10 | 1 |

**ბოლო ტური:** პარაგვაი-ბოლივია, არგენტინა-კოლუმბია.

**ბომბარდირები:** 3 – მ. ბორხა (კოლუმბია), ჯ. კორდობა (კოლუმბია), ნ. ლოპესი (ურუგვაი); 2 – ბენავენტე (პერუ), ნ. კასტილიო (ჩილე), კ. კუევასი (ჩილე), დერლის გონსალესი (პარაგვაი), როლანი (ურუგვაი), ვიეტო (არგენტინა).

არგენტინაში მიმდინარე ახალგაზრდული კოპა ამერიკის, პირველი ჯგუფური ეტაპის, მეოთხე ტური დაიწყო. ჯგუფში თავისი ბოლო მატჩი გამართა ჩილეს ნაკრებმა და მიუხედავად იმისა, რომ მოტივაცია არ ჰქონდა, პარაგვაის ნაკრებს მაინც მოუგო. ჩილემ დისკვალიფიცირებული **კარლოს კუევასის** და კიდევ ერთი ლიდერის, **ნიკოლას კასტილიოს** გარეშე ითამაშა, მაგრამ 100-პროცენტიანი შედეგი მაინც შეინარჩუნა.

ანგარიში პარაგვაელებმა, "ბენფიკას" 19-წლამდელთა გუნდის წევრის, **დერლის გონსალესის** წყალობით გახსნეს, თუმცა ჯერ კიდევ პირველ ტაიმში ჩილემ დაწინაურება მოახერხა. მეორე ნახევრის დასაწყისში, იტალიური "ნოვარას" წევრმა **როდრიგო ალბორნომ** წონასწორობა აღადგინა, მაგრამ მატჩის 90-ე წუთზე, **მარიო სალასის** შეგირდებმა მესამე გოლი გაიტანეს და 12 ქულა მოაგროვეს.

პარაგვაი მოგების შემთხვევაში ჯგუფიდან გადიოდა, ხოლო ამ მატჩში თუნდაც ქულა რომ აეღო, ბოლო ტურში ფრეც ეყოფოდა, ახლა კი **ვიქტორ გენესის** გუნდს მხოლოდ მოგება თუ დაამშვიდებს.

ბოლო ტურში პარაგვაი ბოლივიას ხვდება, რომელსაც ჯგუფიდან გასვლის შანსი ასევე აქვს, მიუხედავად იმისა, რომ ამ ტურში კოლუმბიასთან სასტიკად განადგურდა. არადა, მატჩის 45-ე წუთამდე ბოლივიელთა ასეთ შერცხვენას არაფერი მოასწავებდა. ტაიმის ბოლო წუთზე კი კოლუმბიელებმა ანგარიში გახსნეს – გოლი **მიგელ ბორხამ** გაიტანა.

გადამწყვეტი მეორე ტაიმის პირველი 13 წუთი გამოდგა, როდესაც კოლუმბიელებმა სამი გოლი გაიტანეს – **ბორხამ** ჰეთთრიქი შეასრულა, კიდევ ერთი გოლი კი **ხუან ნიეტომ** გაიტანა. შეხვედრას საბოლოო წერტილი, მექსიკური "ხაგუარესის" ფორვარდმა **ჯონ კორდობამ** დაუსვა, რომელიც მოედანზე ბორხას ნაცვლად გამოვიდა და დუბლი გაიფორმა. ხსენებული მოთამაშეების გარდა, ნამდვილად აღსანიშნავია "პესკარას" ნახევარმცველის, **ხუან კინტეროსის** თამაში, რომელმაც მართალია გოლი ვერ გაიტანა, სამაგიეროდ ოთხი საგოლე პასი გააკეთა.

ამ მოგების წყალობით, კოლუმბია მომდევნო ეტაპზე გავიდა და ბოლო ტურს უმოტივაციოდ ხვდება. დაფიქსირებულმა შედეგებმა, ტურნირის მასპინძელ არგენტინას მცირე შანსი დაუტოვა. "ალბისელესტე" მომდევნო ეტაპზე იმ შემთხვევაში გავა, თუ თავად კოლუმბიას მოუგებს, მანამდე კი პარაგვაი ბოლივიას ვერ დაამარცხებს. იმის გათვალისწინებით, რომ ბოლივია აშკარად სუსტია, მოვლენების ასეთი განვითარება ძნელად წარმოსადგენია, თუმცა ტურნირის დაწყების წინ, ვერც იმას ივარაუდებს ვინმე, რომ არგენტინას სამი თამაშის მერე 1 ქულა ექნებოდა.

**ტატო ბაციკაძე**

საფრანგეთის ლიგის თასი. 1/2 ფინალი.

# მწვანეები ფინალში გავიდნენ

**სენტ ეტიენი–ლილი 0:0 პენ. 7:6**

**სენტ ეტიენი** (4-3-3): რუფიე – კლერი, ბაიალი, პერენი, ბრისონი – კლემანი, ლემუანი (83. მაი), გილავოგი – ობამეიანი, მოლო, ბრანდაო (55. კოადი).

**ლილი** (4-3-1-2): ელანა – ბერია, ბაშა, შეჯუ, დინიე – პედრეტი (65. გეიე), ბალმონი, მავუბა – მარტენი (112. ჯ. ბრუნო) – პაიე, რუ (83. როდლენი).

**პენალტების სერია:** 1:0 კოადი, 1:1 შეჯუ, 1:1 მოლო (ააცილა), 1:2 ბაშა, 2:2 პერენი, 2:3 ჯ. ბრუნო, 3:3 მაი, 3:4 როდლენი, 4:4 ობამეიანი, 4:4 ბალმონი (ძელი), 5:4 გილავოგი, 5:5 მავუბა, 6:5 კლემანი, 6:6 ბერია, 7:6 კლერი, 7:6 გეიე (ააცილა).

"სენტ ეტიენი" მთელი მატჩის განმავლობაში საკმაოდ დიდ უპირატესობას ფლობდა, მაგრამ შესანიშნავად თამაშობდა სტუმართა მეკარე **სტივ ელანა**, თუმცა "მწვანეებმა" პენალტების სერიაში მაინც იძალეს და ბოლო 30 წელიწადში პირველად გავიდნენ, ამა თუ იმ ტურნირის ფინალში.

"სენტ ეტიენი" ყველაზე ტიტულოვანი ფრანგული გუნდია, მაგრამ ამ კლუბის ქომაგთა თაობები გაიზარდა ისე, რომ საყვარელი გუნდი ფინალში არ უნახავთ. 1982 წლის საფრანგეთის თასის ფინალის შემდეგ, რომელშიც "სენტ ეტიენმა" "პარი სენ ჟერმენთან" პენალტების სერიაში წააგო, ეს გუნდი პირველად გავიდა ფინალში. ასევე აღსანიშნავია, რომ საფრანგეთის 10-გზის ჩემპიონი, "სტად დე ფრანსზე", რომელიც 1998 წელს გაიხსნა, ისტორიაში პირველად ითამაშებს.

**კრისტოფ გალტიეს** შეგირდებმა, მიმდინარე ლიგის თასზე, პენალტების სერიაში მესამედ იმარჯვეს. "მწვანეებმა" 1/16-ფინალში "ლორიანს" მოუგეს, ხოლო 1/4-ფინალში პსჟ-ს სძლიეს. "ლილთან" კი მარცხთან ახლოს იყვნენ - **ფლორიან ბალმონს** პენალტი რომ გაეტანა, ფინალში "ლილი" გავიდოდა, მაგრამ ვეტერანს ფეხი დაუცდა და ბურთი **სტეფან რუფიეს** კარის ძელს მოხვდა. ამის შემდეგ სერია პირველ აცილებამდე გაგრძელდა და ნერვებმა **იდრისა გეიეს** უმტყუნეს, რომელმაც ბურთი კარს ააცილა და "სენტ ეტიენმა" "სტად დე ფრანსზე" თამაშის უფლება მიიღო.

შეხვედრას რაც შეეხება, როგორც ვთქვით, მატჩი "სენტ ეტიენის" უპირატესობით მიმდინარეობდა. მასპინძლებმა უამრავი მომენტი შექმნეს, მაგრამ შესანიშნავად ირჯებოდა სტივ ელანა, რომელმაც საკუთარი გუნდი აშკარა გოლებისგან იხსნა, ხოლო როდესაც ისიც უძლური იყო, "მწვანეები" ხელსაყრელ მომენტებს თავად აფუჭებდნენ. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩა **ბრანდაო**, რომელმაც ორივე ტაიმში თითო საოცარი მომენტი გაუშვა ხელიდან.

"ლილმა" მთელი მატჩის განმავლობაში ერთადერთი საგოლე მომენტი შექმნა: 87-ე წუთზე, ყოფილმა სენტეტიენელმა" **დიმიტრი პაიემ**, ფლორიან ბალმონის პასის შემდეგ, ბურთი მასპინძელთა კარის ძელს გაარტყა.

მიუხედავად იმისა, რომ "ძალლებს" აშკარად არ გაუმართლათ და რომ არა ბალმონის ფეხის დაცდენა, ფინალში ისინი გავიდოდნენ, "სენტ ეტიენმა", 120 წუთის განმავლობაში ნაჩვენები თამაშით, ფინალის საგზური ალალად დაიმსახურა.

**ტატო ბაციკაძე**



სენტ ეტიენის ფეხბურთელები ფინალში გასვლას ხარობენ

კვირა ციფრებში

# [illegible] მედლები და უოლტერსის უიღბლობა



ჯონათან უოლტერსი

**21** წამი იყო გასული მატჩის დაწყებიდან, როდესაც **ნოლან რუმ** "ლილი" დააწინაურა და ამ სეზონის რეკორდი დაამყარა. აქამდე, ყველაზე სწრაფი გოლი **ზლატან იბრაჰიმოვიჩს** ჰქონდა გატანილი, რომელმაც თავი 26-ე წამზე გამოიჩინა. მიუხედავად სწრაფი გოლისა, "ძალლებმა" მატჩი მაინც ვერ მოიგეს – მეტოქე "ნანსიმ" ბოლომდე იბრძოლა და ამ სეზონში უკვე მე-9 ფრე ითამაშა.

ასევე უნდა აღვნიშნოთ **ედენ ბენ ბასატის** გოლი, რომელიც მიმდინარე ლიგა 1-ში მე-500 აღმოჩნდა. გარდა ამისა, "ნიცამ" "ვალანსიენს" 5:0 მოუგო – ზღვისპირელებს ასეთი ანგარიშით 1989 წლის მერე არ ჰქონდათ მოგებული.

**18** მოგება 19 ტურის შემდეგ – ასეთი შედეგი აქვს "ბარსელონას", რაც ესპანეთის ჩემპიონატის რეკორდია. "მალაგასთან" გამართულ შეხვედრაში, რომელიც "ბარსამ" 3:1 მოიგო, თავის გამოჩენა **სესკ ფაბრეგასმა** შეძლო. კატალონიაში გადასვლის შემდეგ, სესკს 15 გოლი და 17 საგოლე პასი დაუგროვდა. ეს ამ პერიოდში, ნახევარმცველებს შორის, ესპანეთის ჩემპიონატში საუკეთესო მაჩვენებელია.

ანდალუსიელებთან გოლი **ლეო მესიმაც** გაიტანა. არგენტინელს უკვე ზედიზედ ცხრა შეხვედრაში აქვს გატანილი და პრიმერას ყველა დროის რეკორდამდე ერთი მატჩი აშორებს – აქამდე, ზედიზედ 10 შეხვედრაში თავის გამოჩენა, მხოლოდ ორმა ფეხბურთელმა შეძლო. ორივე ყოფილი "ბარსელონელია": **მარიანო მარტინი** (1942/43 წლების სეზონი) და **რონალდო** (1996/97 წლების სეზონი).

**4** უპასუხო გოლი გაუტანა "ბოლონიამ" "კიევოს" და ამ სეზონში 4-ბურთიანი სხვაობით მეორედ მოიგო. უკანასკნელად, ერთ სეზონში ასეთი სხვაობით ორი მატჩის მოგება "როსობლუმ" 50 წლის წინ მოახერხა.

იტალიიდან ასევე უნდა აღვნიშნოთ "სიენას" საკლუბო ანტირეკორდი: ტოსკანელებმა "ტორინოსთან" წააგეს, რაც მათთვის ზედიზედ მე-6 წაგება იყო.

**3** ჩემპიონობა ბოლო 4 წელიწადში – ასეთი შედეგი აქვს პაკისტანის კლუბ KRL-ს (Khan Research Laboratories), რომელმაც სეზონი მხოლოდ ერთი წაგებით დაასრულა, მისი თავდამსხმელი **კალე მულა** კი 23 გოლით ტურნირის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. აღსანიშნავია, რომ KRL-მ ბოლო ტურში PIA-სთან (Pakistan International Airlines) ითამაშა, რომელიც პაკისტანის 9-გზის ჩემპიონია და ქვეყნის ყველაზე ტიტულოვანი გუნდია.

**2** ავტოგოლი და გაფუჭებული პენალტი – ასეთი საშინელი საღამო ჰქონდა **ჯონათან უოლტერსს**. აქამდე, პრემიერლიგის ისტორიაში, ერთ შეხვედრაში 2 გოლი საკუთარ კარში მხოლოდ **ჯეიმი კარაგერს** და **დევიდ პროქტორს** ჰქონდათ გატანილი, მაგრამ მათ, ამასთან ერთად, იმავე მატჩში პენალტი არ გაუფუჭებიათ. ირლანდიელი ფეხბურთელის საოცარი უიღბლობის წყალობით, "სტოკმა" "ჩელსისთან" 0:4 წააგო და 1985 წლის შემდეგ, საკუთარ მოედანზე ყველაზე დიდი ანგარიშით დამარცხდა - მაშინ "სტოკს" სტუმრად, ამავე ანგარიშით, "ლუტონმა" მოუგო. გარდა ამისა, ამ წაგებით დასრულდა "სტოკის" 17-მატჩიანი წაუგებელი საშინაო სერია. **ტონი პულისის** შეგირდებს "ბრიტანიაზე" თითქმის ერთი წლის განმავლობაში არ ჰქონდათ წაგებული.

- უოლტერსმა დიდხანს არ იგლოვა და რამდენიმე დღეში კიდევ ერთი დუბლი შეასრულა, ოღონდ ამჯერად ორივე გოლი მეტოქის კარში გაიტანა, მისმა გუნდმა კი "კრისტალ პალასს" 4:1 მოუგო და ასოციაციის თასის მომდევნო ეტაპზე გავიდა.

**ტატო ბაციკაძე**

განთავისუფლება

## რაიკაარდი საუდის არაბეთიდან გაუშვეს

**ფრანკ რაიკაარდი** საუდის არაბეთის ნაკრების მწვრთნელი აღარ არის. 2011 წლის ივნისში დანიშნული ჰოლანდიელი, პოსტიდან Gulf Cup-ზე წარუმატებელი ასპარეზობის გამო გაათავისუფლეს. საუდის არებეთმა, რომელიც ჯგუფში ერაყთან, კუვეიტთან და იემენთან ერთად იყო, სამი ქულა მოაგროვა და მესამე ადგილზე გავიდა.

ჟურნალისტების ინფორმაციით, 50 წლის რაიკაარდის ხელფასი 9 მილიონი დოლარი (დაახლოებით 6.78 მილიონი ევრო) იყო, ხოლო კონტრაქტის ნაადრევად გაწყვეტის გამო, "ბარსელონას" ყოფილი დამრიგებელი, კომპენსაციის სახით 4 მილიონ დოლარს მიიღებს.

**ტატო ბაციკაძე**

შალკე

## რაფაელი გელზენკირხენშია!

### შალკემ ბრაზილიელი კიევიდან ინათხოვრა

ცოტა ხნის წინ ვწერდით, რომ „შალკეს" კიევის „დინამოს" ბრაზილიელი შემტევი ნახევარმცველის **რაფაელის** გადაბირება უნდოდა და გუშინ ტრანსფერი შედგა: უკრაინულმა გრანდმა 27 წლის რაფაელი გელზენკირხენულ კლუბს სეზონის ბოლომდე ათხოვა. ბრაზილიელს, რომელსაც ბუნდესლიგაში თამაშის გამოცდილება აქვს („ჰერტაში" ასპარეზობდა), „შალკეში" უფრო დიდხანსაც დარჩენა შეუძლია - თუკი გელზენკირხენელებს თავს მოაწონებს, ზაფხულში მის კონტრაქტს სრულფასოვნად გამოისყიდიან. აღსანიშნავია, რომ რაფაელი „შალკეს" ჩემპიონთა ლიგაში ვერ დაეხმარება, რადგან კიევის „დინამოს" რიგებში ითამაშა, თუმცა ეს ფაქტორი გელზენკირხენელთა მენეჯერ **ჰორსტ ჰელდტისთვის** პრობლემას არ წარმოადგენს.

*„რაფაელი შეტევაში ჩვენს შესაძლებლობებს გაზრდის. ყველაზე კარგი ისაა, რომ ბრაზილიელი გერმანიაში 4 წელი თამაშობდა და ადაპტაცია არ გაუჭირდება,"* - ეს ჰელდტის სიტყვებია.

2008-დან 2012 წლამდე რაფაელმა პირველ ბუნდესლიგაში „ჰერტას" მაისურით 110, ხოლო მეორეში 30 მატჩი ჩაატარა (ჯამში 33 გოლი და 30 პასი), რის შემდეგაც კიევის „დინამომ" ის 8 მილიონ ევროდ შეიძინა, უკრაინულ კლუბში კი მას თავის დამკვიდრება გაუჭირდა (9 მატჩი, 1 გოლი, 2 პასი). აქვე გეტყვით, რომ რაფაელს კიეველებთან კონტრაქტი 2016 წლამდე აკავშირებს. გელზენკირხენელები ამ ტრანსფერის განსახორციელებლად განსაკუთრებით მას მერე გააქტიურდნენ, რაც ჰოლანდიელი **იბრაჰიმ აფელაი** დაუშავდათ (26 წლის გარემარბი ლაზარეთში ორ თვეს დაჰყოფს).

*„ბუნდესლიგაში დაბრუნება და „შალკეში" თამაში ჩემთვის დიდი პატივია. ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ გელზენკირხენელი ფანები გავახარო,"* - უთხრა რაფაელმა „კიკერს" გუშინ.

**გოტფრიდ ლენცი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

იტალიის თასი. 1/4 ფინალი

# ინტერს 120 წუთი დასჭირდა

## დიდი ბრძოლა მეაცაზე

**ინტერი-ბოლონია 2:2 დ.დ. 3:2**

**გოლები:** 1:0 გუარინი (34), 2:0 პალასიო (77), 2:1 დიამანტი (81), 2:2 გაბიადინი (84), 3:2 რანოკია (120).

**ინტერი (3-4-1-2):** ჰანდანოვიჩი - სილვესტრი, რანოკია, ჟუანი - ძანეტი, ჯონათანი (87. მუდინგაი), ბენასი (46. კამბიასო), პერეირა - გუარინი - კასანო, როკი (60. პალასიო).

**ბოლონია (3-4-2-1):** ალიარდი - მოტა, პორტანოვა, ანტონსონი (69. კონე) - მორლეო, სორენსენი, პერესი, გუარენტე (46. პაციენცა) - პასკუატო (55. გაბიადინი), დიამანტი - ჯილარდინო.

"ინტერი" იტალიის თასის ნახევარფინალში ითამაშებს - მილანურმა გრანდმა "ბოლონიას" დამატებით დროში სძლია და მომდევნო ეტაპზე გავიდა. მატჩი მეტად დაძაბული, დრამატული და სანახაობრივი გამოდგა... "ნერაძური" ორი ბურთის სხვაობით უგებდა მეტოქეს, თუმცა ძირითადი დროის ბოლო 10 წუთში ფორა გაანიავა და თამაში დამატებით დროში გადავიდა. სტუმრებმა ფსიქოლოგიური უპირატესობა მოიპოვეს, მაგრამ გადამწყვეტი გოლი მაინც მათ კარში შევარდა. "ინტერმა" დრამატულ ბრძოლაში მოიგო, ასეთი თამაშები მილანურ გრანდს **რობერტო მანჩინის** პერიოდში სჩვეოდა...

გოლები ერთი-მეორეზე უკეთესი გამოვიდა და ორი სიტყვით მიმოვიხილოთ. ანგარიში **ფრედი გუარინმა** გახსნა, რომელმაც საჯარიმოს მისადგომებთან მიიღო პასი - ერთი ახედა კარს და უძლიერესი დარტყმით ბურთი ცხრიანში გაჭედა, 1:0. აღსანიშნავია, რომ ფრედიმ ადგილიდან, გამორბენის გარეშე დაარტყა, დაახლოებით ისე, როგორც თავის დროზე, **რონალდინიომ** - "ჩელსის" კარში. თუმცა, ბრაზილიელისგან განსხვავებით, გუარინმა უძლიერესად დაარტყა და არა იმდენად ტექნიკურად. "ინტერის" მეორე გოლი არანაკლებ ეფექტური გამოვიდა: მეტოქის საჯარიმოს მისადგომებთან ბურთი **როდრიგო პალასიომ** რეიდით მიიტანა, დასარტყმელ პოზიციაზე გავიდა და მანაც ცხრიანი დალაშქრა, 2:0.

"ინტერს" კიდევ ჰქონდა გატანის შანსი და შეეძლო, ყველანაირი ინტრიგა მოეკლა, მაგრამ ასე არ მოხდა - პირიქით, ბოლონიელები გააქტიურდნენ და ანგარიში გაქვითეს: ჯერ **ალესანდრო დიამანტიმ** შეასრულა ბრწყინვალე ჯარიმა, შემდეგ კი **მანოლო გაბიადინიმ** იყოჩაღა და ფლანგიდან ჩაწოდებული ბურთი ბადეში გაახვია, 2:2. გადამწყვეტი გოლი **ანდრეა რანოკიამ** გაიტანა - იოლი მისახვედრია, რომ ცენტრალურმა მცველმა მეტოქის კარი თავური დარტყმით დალაშქრა, 3:2.


ანდრეა რანოკიას (№23) თავურმა "ინტერი" ნახევარფინალში გაიყვანა

მატჩის შემდეგ, "ინტერის" თავკაცმა **ანდრეა სტრამაჩონიმ** ვრცელი კომენტარი გააკეთა: *"ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე დაძაბული შეხვედრა, რომელიც ბოლო ორ სეზონში გავმართეთ. ურთულეს მდგომარეობაში აღმოვჩნდით, მაგრამ ხასიათის სიმტკიცე გამოვავლინეთ და უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოვიპოვეთ. იტალიის თასი მეორეხარისხოვან ტურნირად არ მიმაჩნია და ამიტომ თამაშში ყველაფერი ჩავდეთ. შეგვეძლო, უფრო მარტივად მოგვეგო, მაგრამ წარსულს ვერ დავაბრუნებთ. მთავარია, რომ ნახევარფინალში გავედით, სადაც უკვე არიან "იუვენტუსი" და "ლაციო"... აქაც დაახლოებით ის გუნდები დომინირებენ, რომლებიც სერია A-შიც მოწინავე პოზიციებზე არიან. ნახევარფინალში თამაში სულ სხვა ემოციასთან იქნება დაკავშირებული, ეს შეიძლება კალათბურთის მეოთხე მეოთხედსაც შევადაროთ"*.

## ამბები


როლანდუ

### კანავაროს როლანდუ შეცვლის?

იტალიურ სპორტულ პრესაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, "ნაპოლის" მესვეურები "პორტუს" 27 წლის მცველით, **როლანდუთი** დაინტერესდნენ, რომელიც უკვე დიდი ხანია, ევროპულ გრანდთა ყურადღების სფეროშია მოქცეული. სამხრეთელებს დისკვალიფიცირებული **პაოლო კანავაროს** შემცვლელის მოძებნა სურთ და პორტუგალიელიც ერთ-ერთ საუკეთესო ვარიანტად მიიჩნევა.

"გაძეტა დელო სპორტის" ინფორმაციით, ნეაპოლელები მზად არიან როლანდუს სანაცვლოდ 6 მილიონი ევრო გადაიხადონ და პლუს, პორტუგალიაში ერთ-ერთი ფეხბურთელი გაუშვან. თანხა არც ისე დიდია და ამ ლოგიკით, "ნაპოლიც" კვალიფიციურ მოთამაშეს უნდა შეელიოს. ერთ-ერთი ვერსიით, ეს ფეხბურთელი **ფედერიკო ფერნანდესი** გახლავთ, რომელიც ძირითად შემადგენლობაში პერიოდულად ასპარეზობს. ვნახოთ, რას იტყვიან პირენეელები.

### ტურინელები ჩიროსაც ვერ შეწვდნენ

"იუვენტუსის" მესვეურები რამდენიმე დღის განმავლობაში აწარმოებდნენ მოლაპარაკებებს **ჩირო იმობილეს** გადაბირებასთან დაკავშირებით, მაგრამ საბოლოოდ, გარიგება არ შედგა. აქვე ვთქვათ, რომ 22 წლის ჩირო "ჯენოას" ღირსებას იცავს, ფორვარდია და კარგ მომავალსაც უწინასწარმეტყველებენ. როგორც ჩანს, ტურინელებს საბოლოოდ მოეცარათ ხელი მეგა-ვარსკვლავების მიმართულებით და ფონს გასვლას იმობილეს გადაბირებით აპირებდნენ, თუმცა აქაც არ გაუმართლათ. ამის შესახებ "ჯენოას" პრეზიდენტმა **ენრიკო პრეციოზიმ** განაცხადა:

*"ჩვენ ჩვენი მიზნები გვაქვს, სერია A-ში ადგილი უნდა შევინარჩუნოთ და შესაბამისად, წამყვან ფეხბურთელებს ვერაფრით შევეელევით. ტურინელებს ნამდვილად სურთ ჩირო იმობილეს გადაბირება, მაგრამ უარი მიიღეს. პოზიციის გადახედვას არ ვაპირებთ, მინიმუმ სეზონის ბოლომდე ჩირო ჩვენთან დარჩება"*.


ჩირო იმობილე

### პალერმო ბაროშს უმიზნებს

საინტერესო ინფორმაცია გავრცელდა იტალიურ სპორტულ პრესაში, რომლის მიხედვითაც, "პალერმო" შესაძლოა **მილან ბაროშით** გაძლიერდეს. 31 წლის ცნობილი ჩეხი ფორვარდი "გალათასარაის" ღირსებას იცავს, თუმცა თურქეთიდან აბარგება და ევროპის რომელიმე ტოპ-ლიგაში გადაბარგება სურს. სწორედ ამით სარგებლობა გადაწყვიტეს სიცილიელებმა და თურქებს დაუკავშირდნენ.

იტალიელ ჟურნალისტთა მტკიცებით, მოლაპარაკებები წარმატებით მიმდინარეობს და დიდია შანსი, შეთანხმება უახლოეს დღეებში შედგეს. აქვე ვთქვათ, რომ სიცილიელები ფორვარდის ძიებას მას შემდეგ შეუდგნენ, რაც **აბელ ერნანდესმა** უმძიმესი ტრავმა მიიღო. 22 წლის ურუგვაელმა სეზონი უკვე დაასრულა.

### რომა დაცვას აძლიერებს

მიმდინარე სეზონში "რომას" დაცვა არცთუ საიმედოდ ასპარეზობს და გასაკვირი არაა, რომ კლუბის მესვეურები უკანა ხაზის გაძლიერებას აპირებენ. გავრცელდა ცნობა, რომლის თანახმადაც "რომაელები" ახლოს არიან **მასადიო აიდარას** გადაბირებასთან.

აიდარა 20 წლის გახლავთ, მარცხენა მცველია და ფრანგულ "ნანსიში" ასპარეზობს. მიმდინარე სეზონში, 16 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა და საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა. ითქვა ისიც, რომ რომაელებს მასადიოს ტრანსფერი 4-5 მილიონი ევრო დაუჯდებათ. მოლაპარაკება დასკვნით ფაზაშია და თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, შეთანხმება უახლოეს დღეებში შედგება.


მასადიო აიდარა

### ცუნიგას ინტრიგა

მას შემდეგ, რაც "ნაპოლიში" **პაბლო არმერო** გადავიდა, **კამილო ცუნიგას** პოზიციები აშკარად შეირყა. მართალია, სამხრეთელთა ბოლო შეხვედრაში კამილო იყო ძირითად შემადგენლობაში, მაგრამ პაბლო რომ იოლად არაფერს დათმობს, ცხადია. მოკლედ, "ნაპოლის" მარცხენა ფრთაზე კოლუმბიელთა კონკურენციაა და როგორც ჩანს, ცუნიგას ეს ახალი რეალობა დიდად არ ახარებს. აი, რა თქვა კამილოს პირადმა აგენტმა პრესასთან საუბარში:

*"ჩემი კლიენტი ნეაპოლში თავს კარგად გრძნობს, მაგრამ ვერ დავიჩემებ, რომ ახლო მომავალში გარემოს გამოცვლაზე არც კი იფიქრებს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, უამრავი შეთავაზება აქვს და თანაც, ერთი-მეორეზე მაცდური. მაგალითად, ცუნიგას გადაბირებით თვით "ბარსელონაა" დაინტერესებული და ამის შესახებ "ნაპოლის" მესვეურები მალე გაიგებენ. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები"*.


სტეფანო სორენტინო

### სორენტინოს ოთხი ვარიანტი

"კიევოს" მესვეურთა განცხადებით, ერთადერთი მოთამაშე, რომელმაც ზამთრის სატრანსფერო პერიოდში შეიძლება გუნდი დატოვოს, მეკარე **სტეფანო სორენტინოა**. 33 წლის კიპერზე დიდი მოთხოვნა ყოფილა და თურმე მასაც აქვს სურვილი, რომ გარემო გამოიცვალოს. აი, რას ამბობს ვერონელთა სპორტული დირექტორი, წარსულში ცნობილი მცველი **ლუიჯი სარტორი**:

*"როგორც ჩანს, სერია A-ში მაღალი კლასის მეკარე ბევრს სჭირდება, რადგან სტეფანო სორენტინოზე ტაციაობაა. მისი გადაბირება "რომას", "ბოლონიას", "ინტერს" და "პალერმოს" სურთ. განსაკუთრებით სიცილიელები აქტიურობენ და უკვე წინადადებითაც მოგვმართეს. რეალურია "რომას" ვარიანტიც, საიდანაც შეთავაზებას უახლოეს დღეებში ველოდებით. ჩვენ არ გვაქვს სტეფანოს გასხვისების სურვილი, მაგრამ როგორც მითხრეს, თავად მას უნდა გარემოს გამოცვლა. თუკი ასეა, მის ძალით შეჩერებას არ ვაპირებთ"*.

### ბრკიჩი ერთ თვეში დაბრუნდება

**ჟელკო ბრკიჩისთვის** "უდინეზე"-"ფიორენტინას" შეხვედრა წარუმატებელი გამოდგა. უდინური გუნდის 26 წლის სერბმა კიპერმა ჯერ ავტო-გოლი მიითვალა აქტივში, შემდეგ კი დაშავდა და შესაცვლელი გახდა. სტადიონიდან ბრკიჩი პირდაპირ ჰოსპიტალში გააქანეს და როგორც გაირკვა, თითი ჰქონდა ნაღრძობი. ექიმებმა ოპერაციის ჩატარების გადაწყვეტილება მიიღეს, რომლის შემდეგაც კიპერის გამოჯანმრთელების საბოლოო ვადები უნდა გაცხადებულიყო.

ოპერაციამ კარგად ჩაიარა, ბრკიჩი სახლში გაწერეს და ვადებზეც თამამად შეგვიძლია ლაპარაკი. "უდინეზეს" ოფიციალური ვებგვერდის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ჟელკო მოედანს დაახლოებით ერთ თვეში დაუბრუნდება.


ჟელკო ბრკიჩი

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**

პორტრეტი

# კოსმოპოლიტი, პოლიგლოტი, მექალთანე

## 10 რამ სვენ-გორან ერიქსონის შესახებ

**სვენ-გორან ერიქსონი მრავლისმნახველი სპეციალისტია. ერთ დროს მსოფლიო ფეხბურთის ყურადღების ცენტრში, სამწვრთნელო კარიერის ზენიტშიც იყო, მერე ჩავარდნა დაეწყო და ბოლო დროს დიდ ასპარეზზე აღარ ჩანდა. ახლა კი 64 წლის შვედი „მიუნხენ 1860-ში" დაინიშნა და მეორე ბუნდესლიგაში იმუშავებს. გერმანული პრესის ცნობით, „1860-ის" შეფებს ერიქსონის მიწვევა ინვესტორმა აიძულა - ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ სვენი მეორე ბუნდესლიგაში იმუშავებს. შევეცდებით, ერიქსონი გაგახსენოთ ან, თუ არ იცნობთ, ახლა გაგაცნოთ. მაშ ასე: ათი რამ სვენის შესახებ:**




2008 წელს მანჩესტერ სიტის ფანები სვენის პოსტზე დატოვებას ითხოვდნენ

### 1 სვენის რეკორდები

რეკორდებით დავიწყოთ: შვედი ერთადერთი მწვრთნელია პლანეტაზე, რომელმაც დუბლი (ანუ, ჩემპიონობა და თასი ერთ სეზონში) სამ სხვადასხვა ლიგაში (შვედეთი, პორტუგალია, იტალია) შეასრულა. ამასთან, **ერიქსონმა** მწვრთნელის რანგში ოთხჯერ შეძლო იტალიის თასის მოგება, რაც აპენინებზე ამ ტურნირის საუკეთესო შედეგია. და ეს ყველაფერი არ არის: სვენი პოლიგლოტი კოსმოპოლიტია - საუბრობს შვედურად, პორტუგალიურად, იტალიურად, ესპანურად და ინგლისურად. აი, გერმანულად კი ერთი სიტყვაც არ იცის. ან, არ იცოდა, რადგან შესაძლოა, უკვე სწავლობდეს.

### 2 როცა სვენი ინგლისის ნაკრებში დაინიშნა...

ერიქსონი ინგლისის ნაკრების მთავარ მწვრთნელად 2000 წელს დანიშნეს და ცხადია, ეს ბრიტანეთში ბევრს არ გაუხარდა. ბრიტანული საფეხბურთო საზოგადოების პრეზიდენტმა **გორდონ ტეილორმა** თქვა, ეს ინგლისური ფეხბურთისთვის სამწუხარო ამბავიაო, გაზეთი „დეილი მეილი" კი წერდა: *„ფეხბურთის სამშობლომ თავისი ეროვნული ნაკრები იმ ნაციის წარმომადგენელს ჩააბარა, სადაც შვიდი მილიონი მოთხილამურე და უროს მტყორცნელია და სადაც ცხოვრების ნახევარს სიბნელეში ატარებენ."*

### 3 სვენის კანონები

**ტონი ადამსისა** და **პოლ გასკოინისა** გადამკიდე ინგლისელებს, ცხადია, ეჭვი შეეპარათ ერიქსონის ახალი იდეის განხორციელებაში - შვედმა ინგლისის ნაკრებში ალკოჰოლი საერთოდ აკრძალა. სვენი ამბობდა, მე საერთოდ არ ვსვამ და არც ფეხბურთელებმა უნდა დალიონო. არც ქალები, არც სასმელი და არანაირი ექსცესები - რაკი ინგლისელი ფანებიც უცნაურად კარგად იქცეოდნენ, ერთ-ერთმა ბრიტანელმა ჟურნალისტმა თავის სვეტში დაწერა: *„უკვე აღარ ვიცით, რაზე ვწეროთ. აქამდე მხოლოდ 12 ინგლისელი ფანი დააკავეს, რაც მსოფლიოს მერვე საოცრებაა და ეს სწორედ ერიქსონის ბრალია!"*

### 4 წიგნი სვენზე

რაკი შვედმა ინგლისის ნაკრებში მოღვაწეობა ძალიან წარმატებულად დაიწყო, ცნობილმა ავტორებმა **ჯულიან ბირკინშოუმ** და **სტიუარტ კრაინერმა** გადაწყვიტეს, სვენის შესახებ წიგნი დაეწერათ. დაწერეს კიდეც და ასეთი სათაური უძღვნეს: „სვენ-გორან ერიქსონის გზა". წიგნში აღწერილი იყო შვედი მწვრთნელის უცნაური და განუმეორებელი მიდგომები, რომლითაც დამწყებ ინგლისელ მენეჯერებს ბევრი რამ უნდა ესწავლათ, მაგრამ ტირაჟის უდიდესი ნაწილი მაღაზიების დახლებს ვერ გასცდა...

### 5 აღვირახსნილი სვენი

სამაგიეროდ, ბესტსელერი გახდა სვენის შესახებ დაწერილი სულ სხვა წიგნი, რომელშიც ერიქსონის საფეხბურთო ფილოსოფიაზე ერთი სიტყვაც კი არ იყო დაწერილი. ეს გახლდათ ვინმე **ულრიკე იონსონის** შემოქმედება, რომელიც სვენთან სასიყვარულო ისტორიებს აღწერდა. ულრიკე ერიქსონის ერთ-ერთი გელფრენდი იყო და ერთი შეხედვით მოკრძალებული, წესიერი სვენი საფეხბურთო სამყაროს სულ სხვა კუთხით გააცნო. იონსონი წერდა, სვენი ჯგუფურ სექსზე ოცნებობს და ერთდროულად ორ ან ორზე მეტ ქალთან ნებივრობა უნდაო; ყვებოდა ისტორიებს სხვადასხვა სათამაშოზე, რასაც ერიქსონი მასთან ურთიერთობისას იყენებდა; როგორ შეასწრო და შეუერთდა მათ დამლაგებელი გოგონა სექსის დროს და ა.შ.

ციტატა წიგნიდან: *„ერთხელ, სვენი და მე სახლში ჩემს ძმასთან ერთად ვვახშმობდით. სვენმა ფეხსაცმელი გაიხადა და ფეხით ინტიმურ ადგილზე მეფერებოდა, მოგვიანებით კი, ჩვენ მაგიდაზე გვქონდა სექსი."*

რა გასაკვირია, რომ ამ წიგნის გამოსვლის შემდეგ, ერიქსონმა ახალი მეტსახელი მიიღო: „ვნებიანი სვენი".

### 6 სვენის ბამბის პიჟამა

2004 წელს ერიქსონმა ერთ-ერთ ინტერვიუში დაადასტურა, ქალებზე მართლა არანორმალურად ვგიჟდებიო. იმ დროისთვის მას ურთიერთობა ჰქონდა ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის მდივან **ფარია ალამთან**, რომელმაც ერიქსონთან სასიყვარულო ისტორიების პიკანტური დეტალები ბულვარულ გაზეთებს 600 000 ფუნტად მიჰყიდა.

ამონარიდი სტატიიდან: *„ევროპის ჩემპიონატიდან გამოვარდნის შემდეგ სვენმა შვედეთში, თავის აგარაკზე დამპატიჟა. ახალი მისულები ვიყავით, კიბეზე ავდიოდი, როცა უცებ მეცა და იქვე გვქონდა სექსი. მიუხედავად იმისა, რომ მუხლი კიბეს მაგრად დავარტყი, ძალიან ვისიამოვნე."*



სვენ-გორან ერიქსონი მიუნხენ 1860-ში დაინიშნა

ფარია ალამმა არაერთი ასეთი ისტორია გამოაქვეყნა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ერიქსონი სრულყოფილი მექალთანეც არ იყო, რადგან ალამი ასეთ რამესაც წერდა: *„ცხადია, ყველაფერი კარგად არ ყოფილა. მაგალითად, მე ძალიან არ მსიამოვნებდა ის, რომ სექსის შემდეგ სვენი ყოველთვის ბამბის პიჟამას იცვამდა და ისე იძინებდა. სექსის მერე ბამბის პიჟამაში გამოწყობილ კაცთან დაძინება საშინელებაა."*

### 7 ანტირეკორდი სამოთხეში

საბოლოო ჯამში, ერიქსონმა ინგლისის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე 5 წელი იმუშავა და აღსანიშნავია, რომ ეს მისი სამწვრთნელო კარიერის ყველაზე ხანგრძლივი თანამდებობა გახლდათ, მას მერე კი დიდხანს აღარსად უმუშავია. „მანჩესტერ სიტის", მექსიკისა და კოტ დ'ივუარის ნაკრები გუნდების, ასევე „ლესტერ სიტის" შემდეგ მან ტაილანდური კლუბი „ბეკ-ტერო სასანა" ჩაიბარა, თუმცა ტაილანდში მხოლოდ ორი თვე გაძლო, რაც მისი ანტირეკორდია. არადა, თუ სვენის მისწრაფებებს გავითვალისწინებთ, წესით, ტაილანდში ყველაზე დიდხანს უნდა ემუშავა...

### 8 სპექტაკლი სვენის შესახებ

2005 წელს სვენ-გორან ერიქსონის თავგადასავლებით აღსავსე ცხოვრება ერთ-ერთი რეჟისორის მუზა გახდა. სტოკჰოლმის ეროვნულ თეატრში დაიდგა სპექტაკლი, რომელშიც მექალთანე საფეხბურთო მწვრთნელის სასიყვარულო ისტორიები იყო აღწერილი. *„მწვრთნელი მიძვრება ქალის სხეულზე და როდესაც მიზანს მიაღწევს, რჩება მარტო, სრულიად მარტო,"* - წერდა „სვენსკა დაგბლადეტი" ამ უცნაური ბრიტანული კომედიის შესახებ.

### 9 სვენი და „შეიხი"

ინგლისურმა მედიამ ერიქსონი ყველაზე მაგრად 2006 წლის იანვარში გაკენწლა. სვენი ერთ-ერთმა შეიხმა დუბაიში დაპატიჟა და უძვირფასესი იახტა ათხოვა. მოლაპარაკებების დროს შეიხმა სვენისგან მიიღო დასტური იმაზე, რომ ერიქსონი მზად იყო, მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის შემდეგ ინგლისის ნაკრებიდან წასულიყო და „ასტონ ვილა" ჩაებარებინა. შეიხს სწორედ „ასტონ ვილას" შეძენა და კლუბის მილიონებით დაფინანსება სურდა. ერიქსონი შეიხს იმასაც დაჰპირდა, რომ **დევიდ ბექჰემს** „ასტონ ვილაში" გადაიყვანდა...

ამ ისტორიაში საინტერესო ისაა, რომ შეიხი სინამდვილეში გაზეთ News Of The World-ის ჟურნალისტი გახლდათ...

მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ერიქსონი ინგლისის ნაკრებიდან გაათავისუფლეს.

### 10 ჩავარდნილი პროექტი

ერიქსონს სამწვრთნელო კარიერის ყველაზე წარუმატებელი ეპოქა მეოთხელიგელ „ნოთს ქაუნთიში" ჰქონდა, სადაც შვედი 2009 წელს დაინიშნა. მას ხუთწლიანი კონტრაქტი გაუფორმეს და წელიწადში 2 მილიონი ფუნტი დაუნიშნეს. „ნოთს ქაუნთის" ბევრი ფული უნდა ჰქონოდა და 5 წელიწადში პრემიერლიგაში უნდა გადასულიყო, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა, რადგან დაპირებული მილიონები „ნოთს ქაუნთისთვის" არავის მიუცია და სვენმა ზუსტად რვა თვეში დაიხურა ქუდი...



სვენის მექალთანეობის შესახებ ლეგენდები დადის, წიგნები იწერება და სპექტაკლები იდგმება

ამბები

## ტეშე: ჰამბურგიდან ფორტუნაში

„ჰამბურგმა" ნახევარმცველი **რობერტ ტეშე** სეზონის ბოლომდე დიუსელდორფის „ფორტუნას" ათხოვა. *„ვფიქრობ, ყველა მხარე კმაყოფილია. რობერტს „ფორტუნაში" სათამაშო პრაქტიკა ექნება და იმედია, დაამტკიცებს, რომ კარგი ფეხბურთელია,"* - ეს „ჰამბურგის" მთავარი მწვრთნელის, **ტორსტენ ფინკის** სიტყვებია. 25 წლის ტეშე ჩრდილოგერმანულ კლუბში 2009 წლიდან ირიცხება, მაგრამ „ჰამბურგის" ძირითად შემადგენლობაში ვერ დამკვიდრდა. ტეშეს „ჰამბურგთან" კონტრაქტი 2014 წლამდე აკავშირებს.

## ფენინი პრაღის სლავიაში

25 წლის ჩეხი თავდამსხმელი **მარტინ ფენინი**, რომელიც საფეხბურთო საზოგადოებამ ფრანკფურტის „აინტრახტიდან" გაიცნო, კარიერას პრაღის „სლავიაში" გააგრძელებს. „სლავიამ" ფენინი გერმანული „კოტბუსიდან" გადაიბირა. სატრანსფერო თანხა გასაიდუმლოებულია.

## დე კამარგო ახალ კლუბს ეძებს

მიონხენგლადბახის „ბორუსიამ" თავდამსხმელ **იგორ დე კამარგოს** კონტრაქტი გაუწყვიტა და 29 წლის ცენტრფორვარდი ახალ გუნდს ეძებს. „გლადბახის" თავკაცი **ლუსიენ ფავრი** დე კამარგოს იშვიათად ათამაშებდა, დუბაიში გავლილ შეკრებაზე კი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ აღარ სჭირდებოდა. გერმანული პრესის ცნობით, დე კამარგოთი ბუნდესლიგის რამდენიმე კლუბია დაინტერესებული.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოპა დელ რეი. 1/4 ფინალი. I მატჩი

| რეალი–ვალენსია | 2:0 |
|---|---|

**გოლები:** 1:0 ბენზემა (37), 2:0 გუარდადო (73 ს.კ.)

**რეალი (4-2-3-1):** კასილიასი - ესიენი, ალბიოლი, რ. კარვალიო, მარსელო (46. კოენტრაო) - ხედირა, ჩაბი ალონსო - იოზილი, მოდრიჩი (61. დი მარია), რონალდო - ბენზემა (69. იგუაინი).

**ვალენსია (4-2-3-1):** გუაიტა - ჟ. პერეირა, რამი, რუისი (73. რ. კოშტა), გუარდადო - პარეხო, ტინო კოსტა (78. გაგო) - პიატი, ბანეგა (83. ვალდესი), ჟონასი - სოლდადო.

**გაძევება:** ვალვერდე (მწვრთნელი)

# მოურინიოს 600

## ვალენსიას ნულოვანი შანსი?

**„რეალის“ ერთ-ერთი ბოსი ემილიო ბუტრაგენიო ამბობს, რომ არა 26 წლის ვისენტე გუაიტას გმირობები, ნახევარფინალისტის ვინაობა დღესვე გაირკვეოდაო, თუმცა ვალენსიელები სულ სხვა კაცს ასახელებენ, ასტურიელ არბიტრ მუნის ფერნანდესს, რომელმაც ერთიორჯერ მართლაც საოცარი გადაწყვეტილება მიიღო. ასეა თუ ისე, ფაქტია, „რეალმა“ 2:0 მოიგო და კოპაზე „სამეფო კლუბს“ ასეთი უპირატესობა ჯერ არ გაუფლანგავს - სტატისტიკა „ვალენსიას“ ნულოვან შანსს უტოვებს...**

### ბანეგა ნახევარ რეალს სჯობდა, მაგრამ...

თავიდანვე ვიტყვით, რომ 3-თვიანი იძულებითი პაუზის შემდეგ ბრაზილიელმა **მარსელომ** ითამაშა.

პირველ ტაიმში „რეალმა“ სწრაფი იერიშით გახსნა ანგარიში, რომელიც **დანიელ პარეხოს** მორიგ შეცდომას მოჰყვა - **ხედირას** პასით **ბენზემამ** იხეირა. მეორე ტაიმში მისი მეწყვილე **იგუაინი** გაიტანდა, **ანდრეს გუარდადოს** რომ არ „დაესწრო“. მექსიკელი ტექნიკურ, შემტევ ნახევარმცველად არის ცნობილი და ბუნებრივია, უჭირს დაცვის ფლანგზე თამაში, სადაც ტრავმირებულ ფრანგ **ჟერემი მატიოს** ცვლის. 23 იანვარს საპასუხო მატჩი „მესტალიაზე“ გაიმართება.



ქარიმ ბენზემას გოლი „ვალენსიას“ კარში

მსაჯის შეცდომები შეცდომებად, მაგრამ **ჟონასი** ვალდებული იყო (0:1-ზე) გოლი გაეტანა, მაგრამ ახლო მანძილიდან ააცილა. ვალენსიელთა ნათელი მხარე **ევერ ბანეგას** დამაჯერებელი თამაში იყო, არგენტინელი „სანტიაგო ბერნაბეუს“ გმირის სტატუსით დატოვებდა, მის თანაგუნდელებსაც რომ ეყოჩაღათ.

სხვათა შორის, ბენზემა უფრო პროდუქტიული სათასო შეხვედრებშია, ვიდრე ჩემპიონატში - მან უკვე 29 არალალიგური გოლი გაიტანა „რეალის“ მაისურით ესპანეთში, ეს კი **კრიშტიანო რონალდოს** შედეგს სულ 2 გოლით ჩამორჩება.

### მუნისის ამბები

და მაინც, რა დააშავა 42 წლის **მუნის ფერნანდესმა?** სრულიად გაუგებარ სიტუაციაში გააძევა სტუმართა თავკაცი **ერნესტო ვალვერდე**. მეორე გოლისას ისე გამოჩნდა, თითქოს იგუაინს ბურთი ხელზე მოხვდა, სანამ მას გუარდადო უშნოდ წაეპოტინებოდა, მისმა თანაშემწემ შეაჩერა **კასილიასთან** ერთი-ერთზე გასვლა არასწორად შემჩნეული თამაშგარით. „მარკამ“ არბიტრი 10-ბალიანი სისტემით 3-იანზე შეაფასა.

### მოუ: ყველაზე წარმატებული რეალში

**ჟოზე მოურინიოსათვის** „ვალენსიასთან“ მატჩი განსაკუთრებული იყო - როგორც მთავარმა მწვრთნელმა, მან გუნდი მე-600-ედ გამოიყვანა ოფიციალურ მატჩში. აქედან 149 მატჩი „რეალზე“ მოდის, 185 - „ჩელსიზე“, 127 - „პორტუზე“, 108 - „ინტერზე“, 20 - „ლეირიაზე“ და 11 - „ბენფიკაზე“.

პორტუგალიელს მთავარი მწვრთნელის რანგში დებიუტი 2000 წლის 23 სექტემბერს ჰქონდა „ბენფიკაში“. 12 წელიწადზე მეტი მან 6 კლუბში გაატარა. 600 მატჩში მოურინიოს გამარჯვებების საშუალო პროცენტი 67-ს უდრის. „რეალში“ (73%) ყველაზე წარმატებულია, „ლეირიაში“ - წარუმატებელი (45%).

#### მატჩის შემდეგ

**ემილიო ბუტრაგენიო** (რეალი): *„შედეგი ჩვენთვის ძალიან კარგია. „ვალენსია“ ახლოს იყო გოლთან, მაგრამ დაცვაში ძალიან კარგად ვითამაშეთ. ორივე მეკარე ბრწყინვალე იყო, იკერიც და გუაიტაც. მეტოქის მეკარის თამაშს სენსაციურსაც ვუწოდებდი, მისი წყალობით ორ-რაუნდიანი დაპირისპირების ბედი ჯერ არ გადაწყვეტილა. მეტოქეზე რა შეიძლება ვთქვა, როცა შანსებს ქმნი და ხელიდან უშვებ „ბერნაბეუზე“, ეს დასჯადია“.*

**აიტორ კარანკა** (რეალი): *„შედეგი შეიძლებოდა სულ სხვანაირი ყოფილიყო, რადგან ჩვენც და მეტოქესაც 100%-იანი შანსები გვქონდა. ტრავმის შემდეგ ხედირა დიდებულად დაბრუნდა, ერთი სიამოვნებაა მისი თამაშის ყურება, საჭირო ჩართვები შეტევაში, დროული ართმევები - მოკლედ, გერმანელი ბრწყინვალე ფორმაშია“.*

**ერნესტო ვალვერდე** (ვალენსია): *„მსაჯობა, რა თქმა უნდა, ცუდი იყო, მაგრამ ჩვენ ამას ვერაფრით ვუშველით. შეიძლება კარგად ითამაშო, მაგრამ მსაჯობის გამო ყველაფერი წყალში ჩაგეყაროს. თუმცა არ ვიტყოდი, რომ „რეალმა“ უკვე გაინაღდა ნახევარფინალი. ჩემი გაძევების მომენტი ხომ შაყირი იყო - ვიქტორ რუისი დაიმტვრა და მისი რაც შეიძლება მალე გამოცვლა მინდოდა მხოლოდ“.*

სკანდალი

# დი მარიას შარი არ ელევა




ანხელ დი მარია ბოლო დროს ნაკლებს თამაშობს და ბევრს ლაპარაკობს

### არგენტინელს მსაჯებმა უჩივლეს

„რეალის“ არგენტინელ ნახევარმცველ **ანხელ დი მარიას** ბოლო დროს პრობლემები მოეძალა: ჯერ მწვრთნელთან დაპირისპირება, ახლა კი თავს იმაზე მეტის თქმის უფლება მისცა, ვიდრე შეიძლება. არგენტინელმა განაცხადა, რომ ბოლო დროს „რეალის“ წინააღმდეგ მსაჯები კი არ ცდებიან, განზრახ ერჩიან გუნდსო. ესპანეთის არბიტრთა ორგანიზაციამ შესაბამის ორგანოში უჩივლა დი მარიას და საქმეც აღიძრა.

სავარაუდოდ, დი მარიას 1,5 ათასი ევროთი დააჯარიმებენ. ისევე როგორც ეს **ხუანლუს, დიოპის** და **ვაკასოს** შემთხვევებში მოხდა, მაგრამ შეიძლება მას დისკვალიფიკაციაც მისცენ.

ბარსელონა

# პრობლემა

## ვილანოვა მილანთან ბრძოლას და კლასიკოს გამოტოვებს

„ბარსელონას“ მთავარ მწვრთნელ **ტიტო ვილანოვას** საფუძვლიანი მკურნალობა ესაჭიროება. ამიტომაც გადაწყდა, რომ ის „მალაგასთან“ და „რეალ სოსიედადთან“ თამაშებზე დაეხმარება „ბარსას“ შემდეგ კი ნიუ იორკში გაემგზავრება მკურნალობის კურსის გასაგრძელებლად. ნიუ იორკში კურსი 21 იანვარს დაიწყება და 1-ელ თებერვლამდე გასტანს, შემდეგ ტიტო ბარსელონურ სტაციონარში იმკურნალებს. 18 თებერვალს ის ისევ ამერიკაში წავა, ახლა უკვე 4 კვირით.

შეგახსენებთ, რომ ტიტოს ყელ-ყურის სიმსივნის ხელმეორე ოპერაცია დეკემბერში ჩაუტარეს. ამის მიუხედავად მან მხოლოდ ორ მატჩში ვერ უხელმძღვანელა გუნდს, თუმცა 44 წლის მწვრთნელის თავგანწირვა დიდხანს ვერ გაგრძელდება - ქიმიო-თერაპიის კურსი აუცილებელია.

კურსი მარტის შუამდე გაგრძელდება, ტიტო ვილანოვა „ბარსელონას“ 13 მატჩს გამოტოვებს, მათ შორის „მილანთან“ ორ დაპირისპირებას და ისეთ მნიშვნელოვან შეხვედრას ესპანეთში, როგორიც „ელ კლასიკოა“ „სანტიაგო ბერნაბეუზე“. თუკი „ბარსა“ და „რეალი“ ესპანეთის თასის ნახევარფინალში გავლენ, ტიტოს იმ ორი დაპირისპირების გამოტოვებაც მოუწევს.

ვილანოვა ნიუ იორკის „მემორიალ სლონ-კეტერინგის“ ჰოსპიტალში იმკურნალებს. ბარსელონადან მას ექიმი **მარია სოკორო ბესკოსი** და **ჟორდი პამიესი** გაყვებიან (ვინც ტიტოს ოპერაცია გაუკეთა).

ტიტომ კლუბისგან ითხოვა კონფიდენციალობის დაცვა, რის გამოც მეტი დეტალი ჟურნალისტებმა ვერ შეიტყვეს. მის არყოფნაში „ბარსელონას“ **ჟორდი როურა** გაუძღვება.



ტიტომ ნიუ იორკში მარტის შუამდე უნდა იმკურნალოს

ამბები

### კარდოსო ბენფიკაში დარჩა

ლისაბონის „ბენფიკამ“ გუნდის შეტევის ლიდერ **ოსკარ კარდოსოს** 2016 წლამდე გაუგრძელა ხელშეკრულება. ამიერიდან, 29 წლის პარაგვაელის საყიდლად ნებისმიერმა კლუბმა 60 მილიონი ევრო უნდა გაამზადოს, სხვა შემთხვევაში პორტუგალიური გრანდი მოლაპარაკებასაც არ დაიწყებს.

ოსკარ კარდოსო 2007 წელს გადავიდა „ნიუელს ოლდ ბოისიდან“ „ბენფიკაში“, მაშინ მისი ტრანსფერი 11,5 მილიონი ევრო დაჯდა. სხვათა შორის, პარაგვაელმა სრულად აანაზღაურა ეს თანხა, ტანმაღალმა ფორვარდმა (193 სმ) „ბენფიკას“ მაისურით თითქმის 150 გოლი გაიტანა. ამ სეზონში მის ანგარიშზე უკვე 12 გოლია.

კარდოსოს გადაბირება „გალათასარაის“, „ბეშიქთაშს“, კიევის „დინამოს“ და რამდენიმე ესპანურ კლუბს სურდა, მაგრამ მან დარჩენა ამჯობინა. ბოლო ორ დღეში „ბენფიკამ“ სამ ფეხბურთელთან გააგრძელა კონტრაქტი, მანამდე დარჩენა ბრაზილიელმა **ჟარდელმა** და სერბმა **ნემანია მატიჩმა** გადაწყვიტეს.

### ასპასი ვალენსიელია?

ესპანური გამოცემა „მარკა“ ამტკიცებს, რომ „ვალენსია“ უკვე შეუთანხმდა ვიგოს „სელტას“ 25 წლის ფორვარდ **იაგო ასპასს** 5-წლიან კონტრაქტზე. ახლა მთავარი გალისიურ კლუბთან მოლაპარაკებაა.

იაგო ასპასს 19 მატჩში 8 გოლი აქვს გატანილი და ის „სელტას“ უდავო ლიდერია. **ვისენტე დელ ბოსკეს** მისი მიწვევა ურუგვაის ნაკრებთან ამხანაგურ მატჩში გადაწყვეტილი აქვს.

ასპასის გამოსასყიდი თანხა 10 მილიონ ევროს შეადგენს. არადა, შარშან, როცა ასპასი სეგუნდა დივიზიონში თამაშობდა, „ვალენსიამ“ და „სევილიამ“ მასში 5 მილიონი ევრო ვერ გაიმეტეს.

### ვილაშ ბოაში: ეცლიათ ჩემთვის

ლონდონური „ტოტენჰემის“ პორტუგალიელმა მწვრთნელმა **ანდრე ვილაშ-ბოაშმა** განაცხადა, რომ „ჩელსიში“ მისთვის რომ ეცლიათ, ახლა **რომან აბრამოვიჩის** კლუბი სულ სხვა იქნებოდა.

*„ვფიქრობ, „ჩელსიში“ შეეძლოთ ჩემთვის მუშაობა ეცლიათ და ამით მხოლოდ მოიგებდნენ. არასოდეს დავთანხმდებოდი ისეთ სამუშაოს, რომლის ბოლომდე მიყვანის თავიც არ მექნებოდა. თუმცა კარგად ვიცი, რომ უეცარი წარმატების მოპოვება მხოლოდ ერთი გზითაა შესაძლებელი - მწვრთნელის მოხსნით“*, - განაცხადა 35 წლის პორტუგალიელმა.

შეგახსენებთ, რომ 2011 წელს ვილაშ-ბოაშმა „პორტუს“ პორტუგალიის ჩემპიონატი, თასი და ევროპალიგა მოაგებინა, მაშინ ის მხოლოდ 33 წლის იყო. რომან აბრამოვიჩმა პორტუგალიურ კლუბს მის სანაცვლოდ 15 მილიონი ევრო გადაუხადა, მაგრამ 2012 წლის მარტში მოხსნა.

### იუვეს ბოლო წინადადება ბილბაოს: 4 მილიონი ლორენტეში

იტალიის ჩემპიონი ტურინის „იუვენტუსი“ კიდევ ერთხელ, უკანასკნელად ცდის იანვარში ესპანელი ფორვარდის, **ფერნანდო ლორენტეს** ყიდვას.

ტურინელებმა ბილბაოს „ატლეტიკს“ უკვე მიმართეს წინადადებით, ისინი 27 წლის ფორვარდში, რომელიც ნახევარ წელში თავისუფალი აგენტი ხდება, 4 მილიონ ევროს იხდიან. ბილბაო დამატებით 300 ათას ევროს მიიღებს, თუკი „იუვე“ იტალიის ჩემპიონი გახდება.

ბასკებს მოსაფიქრებლად ცოტა დრო აქვთ - პარასკევამდე, მერე კი „იუვენტუსი“ **ჩირო იმობილეს** ტრანსფერზე იმუშავებს. შეგახსენებთ, რომ კლუბებს შორის წინასწარი შეთანხმების თანახმად, ივნისში ლორენტე ისედაც გადადის „იუვენტუსში“.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭიდაობა. ინტერვიუ

# მინდორაშვილი იწყებს...

**საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრები უკვე ბორჯომშია, სადაც ახალი მთავარი მწვრთნელის - ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიურ ჩემპიონ რევაზ მინდორაშვილის ხელმძღვანელობით ევროპის ჩემპიონატისთვის მზადებას შეუდგა.**

ევროპის პირველობას 19-24 მარტს თბილისი უმასპინძლებს, რაც მის მნიშვნელობას კიდევ უფრო ზრდის - საკუთარი ქომაგის წინაშე წარმატებით გამოსვლა პრესტიჟის საქმეა. აქედან გამომდინარე, მინდორაშვილს რთული მისია დაეკისრა - მოსამზადებლად მეტად მცირე დროა, გუნდი კი იმდენად რთულ ცაიტნოტშია, ლიდერები მხოლოდ ერთ ტურნირში ასწრებენ გამოსვლას. არადა, ნაკრებთან ადაპტაციისთვის თავად მწვრთნელსაც სჭირდება დრო, იდეები, მეთოდიკა გუნდს რომ მოარგოს. ნოვაციები, განსაახლებელი, შემოსატანი და დასამკვიდრებელი კი იცოცხლეთ, ძალზე ბევრია...



რევაზ მინდორაშვილი

მინდორაშვილი გულხელდაკრეფილი არც ამ დღეებში მჯდარა - ნაკრებში მისვლისთანავე ჩვეული გულმოდგინებით დაიწყო მუშაობა. პროფესიონალიზმი მას ხომ არასოდეს დაეწუნებოდა და ძირითადად სწორედ ამის ხარჯზე მოიგო ყველაფერი, რაც კი მოსაგები იყო და გახდა ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული სპორტსმენი საქართველოში თუ მის გარეთ. ამის მიუხედავად, მწვრთნელობა სულ სხვა რამეა და ზემოხსენებული საფრთხეების, ევროპის პირველობის გამო მაინც ნერვიულობს, ნაკრებში კი რას აპირებს, ამას მასთან ინტერვიუდან შეიტყობთ.

**- მოდით, ჯერ შეკრების შესახებ გკითხავთ, რამდენი კაცით იქნებით იქ და ძირითადად რას დაუთმობთ ყურადღებას?**

- 35 სპორტსმენით მივდივართ ანუ სრული შემადგენლობით, პირველი-მეორე-მესამე ნომრები, რომლებსაც დავემატებით მწვრთნელები, ექიმი და მასაჟისტი. ბორჯომში დავბინავდებით სპორტკომპლექს „ოლიმპში“, სადაც სასტუმრო და სავარჯიშო დარბაზი ერთადაა. იქ 14 დღე ვივარჯიშებთ, ძირითად ყურადღებას კი ფიზიკურ მომზადებას დავუთმობთ. ხალიჩაზეც ვიმუშავებთ - დაახლოებით 3-4-ჯერ, მაგრამ აქცენტს ფიზიკურ დატვირთვებზე გავაკეთებთ.

**- ფიზმომზადებისთვის ბაკურიანში ვერ მოახერხეთ წასვლა?**

- მოგეხსენებათ, როგორი ფორს-მაჟორული სიტუაცია იყო ფედერაციაში, ამიტომ ბაკურიანში წასვლა ვერ მოვახერხეთ და ისევ ბორჯომზე შევჩერდით.

**- ალბათ, ევროპის ჩემპიონატისთვის მოსამზადებელი გეგმა უკვე შემუშავებული გექნებათ...**

- თებერვალში გუნდი რამდენიმე ტურნირზე გადანაწილდება - ძირითადი შემადგენლობის ნაწილი თურქეთში იაშარ დოგუს მემორიალზე იჭიდავებს 9-10 თებერვალს, ნაწილი ერთ კვირაში კიევში გამოვა საერთაშორისო ტურნირში, სათადარიგოები კი 21-22 თებერვალს თეირანში იასპარეზებენ მსოფლიოს თასზე. შევეცდებით, ყველა ფორმაში იყოს, რათა ევროპის პირველობას მომზადებულები შეხვდნენ - ღმერთმა დაიფაროთ და საევროპოდ ვინმე რომ დაშავდეს, მისი შემცვლელიც მზად უნდა გვყავდეს.

თურქეთისა და კიევის ტურნირების მომთავრების შემდეგ ისევ ბორჯომში გავივლით შეკრებას, ამასობაში კი ევროპის ჩემპიონატიც კარს მოგვადგება.

**- ანუ, თუ თურქეთსა და უკრაინაში ძირითად შემადგენლობას გაყოფთ, გამოდის, რომ ევროპის პირველობისთვის მოსამზადებლად ბიჭებს მხოლოდ ერთი ტურნირი ექნებათ. ეს ცოტა არ არის?**

- სამწუხაროდ, ლიდერები ორ ტურნირს ვერ ასწრებენ. სასურველი კი იყო, უფრო მეტში გამოსულიყვნენ, მაგრამ ზოგი კლუბშიც გამოდიოდა და ვფიქრობ, სატურნირო პრაქტიკა უნდა ეყოთ... ფედერაციის არჩევნების გამო რაღაცები დაგვიანდა, მაგრამ ახლა მეტს ვერ ვასწრებთ. ყველაფერს გავაკეთებთ ევროპის ჩემპიონატზე ღირსეულად გამოსასვლელად.

**- უკვე რამდენიმე დღეა, ნაკრებს ავარჯიშებთ. წინააღმდეგობა, სირთულეები ხომ არ ყოფილა?**

- არა, არაფერი ამის მსგავსი. უბრალოდ, წინა პერიოდში საჭიდაო სამყაროში სიტუაცია იყო დაძაბული და უხერხული, თორემ სავარჯიშო პროცესზე ეს არ ასახულა. ვარჯიში ჩემი საქმეა და ჩვეულებრივად მიდიოდა. ბიჭებთანაც კარგად დაიწყო ურთიერთობა - მიჯერებდნენ, მენდობოდნენ და მომყვებოდნენ. ლიდერებთანაც დამოკიდებულება ნორმალურია. არავის გამოუთქვამს პრეტენზიები იმაზე, რომ მათი პირადი მწვრთნელები ნაკრებში აღარ იმუშავებენ. ის პირადი დამრიგებლები ჩვეულებრივად გააგრძელებენ მათთან მუშაობას ცალკეულ დარბაზებში, პერიოდულად შეკრებებზეც იქნებიან გუნდთან ერთად და ისევ მიაქცევენ ამ ფალავნებს ყურადღებას.

**- თქვენს წინამორბედებთან თუ ისაუბრეთ, აპირებთ მათი გამოცდილების გაზიარებას?**

- ჯერჯერობით არ შევხმიანებივარ, მაგრამ, ვიმედოვნებ, მომავალში გაგრძელდება ჩვენი ურთიერთობა. ყოველ შემთხვევაში, მზად ვართ, მათი გამოცდილება გამოვიყენოთ, თუ ისურვებენ და დაგვეხმარებიან, ნამდვილად კარგი იქნება.

**- როგორ ფიქრობთ, სპორტსმენობა უფრო ძნელია თუ - მწვრთნელობა?**

- სპორტსმენობა შეუდარებელი რამეა, მწვრთნელობა კი დიდი პასუხისმგებლობაა, რისთვისაც მზად უნდა იყო. ცხადია, ეს უფრო რთულია, რადგან ყველაფერი უნდა გათვალო, გაითვალისწინო...

**- როგორც ცხოვრების ყველა სფერო, ჭიდაობაც ვითარდება, ახალი მეთოდიკა, ახალი მიდგომები ჩნდება. სავარჯიშო სისტემაში თუ აპირებთ სიახლეების შემოტანას?**

- რაღაც-რაღაცებს აუცილებლად დავამატებთ და სიახლეები იქნება. გეთანხმებით, თანამედროვე მიდგომები უნდა გავითვალისწინოთ და სიახლეები გადმოვიღოთ. არის რაღაც ნიუანსები, რომელთა დახვეწაზე მუშაობაც მწვრთნელთა კოლექტივმა უკვე დავიწყეთ. ყველას თავისი გრაფიკი აქვს, რადგან ბევრი კლუბებშიც გამოდის. სპორტსმენთა ნაწილს დიდი გამოცდილება დაუგროვდა, რასაც აუცილებლად გამოვიყენებთ.

**- ანუ იქნება ინდივიდუალური მიდგომა, სპეციალური ვარჯიშები?**

- აუცილებლად იქნება. ეს ყველაზე მნიშვნელოვანია, რადგან ნებისმიერ სპორტსმენს აქვს რაღაც თავისი. მას უნდა მიეცეს ამის გამოვლენის საშუალება; შანსი იმისა, რომ საკუთარ ილეთებზე იმუშაოს.

**- აქამდე ჩატარებულ ვარჯიშებში თუ დაინერგა რაიმე სიახლე?**

- მაგალითად, გაიზარდა სავარჯიშო დრო იმ თვალსაზრისით, რომ ფანდების ახსნას, განხილვას, დამუშავებას მეტი დრო დავუთმეთ. ზოგიერთს პრაქტიკულთან ერთად თეორიული ახსნაც სჭირდება, რა რისთვის კეთდება. ზოგმა იქნებ თეორიულად კარგად იცის ყველაფერი, მაგრამ პრაქტიკულად უნდა აუხსნა და აჩვენო, საკუთარი კოზირები როგორ გამოიყენოს.

**- თანამედროვე ჭიდაობა ბევრად უფრო ძალისმიერი გახდა, რაც დღეს ჩვენი სუსტი წერტილია. ეს კომპონენტი თქვენთვისაც ერთ-ერთი კოზირი იყო და მისი მნიშვნელობა კარგად იცით. ამ მხრივ თუ გეგმავთ ნოვაციებს და ძიუდოისტებივით თქვენც ხომ არ აპირებთ ამ სფეროში უცხოელის მოწვევას?**

- სიმართლე გითხრათ, უცხოელზე არ მიფიქრია, თუმცა არაა ცუდი იდეა. გაუმჯობესება აუცილებლად საჭიროა და აქცენტსაც გავაკეთებთ ამაზე. უბრალოდ, ამ ეტაპზე ვფიქრობთ, რომ ფონს საკუთარი ძალებით გავიდეთ ჩვენივე დიდი გამოცდილებიდან გამომდინარე. მაგალითად, მე როცა ვჭიდაობდი, ყოველთვის ზუსტად ვიცოდი, როდის რა მჭირდებოდა...

**- ნაკრებში ხომ არ გეგმავთ დიფერენცირებულ საწვრთნელ მიდგომას, როცა მსუბუქ, საშუალო და მძიმე წონებს საგანგებო კურატორები ეყოლებათ და მათივე სპეციფიკის გათვალისწინებით ივარჯიშებენ?**

- ეს ძალიან კარგი იდეაა და ამაზე ვფიქრობთ, მაგრამ ჯერ პრაქტიკულად ვერ განვახორციელებთ. მჩატე და მძიმე წონებს მართლაც სხვანაირი ვარჯიში უნდათ, რომ არ გადაიღალონ, თორემ შეიძლება, თვეებიც დაიკარგოს.

**ირაკლი თავაძე**

---

ჩოგბურთი

# ქვაცაბაია მეოთხედფინალში



სოფიო ქვაცაბაია

**სოფიო ქვაცაბაია** ანთალიის 10 000-იანი ტურნირის ძირითად ბადეში მე-5 ნომრადაა განთესილი. ასპარეზობის სტარტზე, როგორც გულშემატკივრებმა იციან, ჩვენებურმა სერბ სანკიჩს სძლია (6:1, 6:1), გუშინ კი ჰოლანდიელი მარით ბოონსტრას მძლეველ კორეელს - მი იოოს დააყრევინა ფარ-ხმალი 6:0, 6:4 და მეოთხედფინალში ბელგიელ ელინე ბოეიკენსს შეხვდება. ამ უკანასკნელმა გუშინ ტურნირის მე-4 ნომერი, ქვაცაბაიას მეწყვილე ისაბელა შინიკოვა (ბულგარეთი) ჩამოიცილა გზიდან 6:1, 6:3. ასპარეზობის რეიტინგფავორიტმა ალექსანდრა დულგნერუმ (რუმინეთი) კლაუდინე ჩაულს (ლუქსემბურგი) აჯობა - 6:0, 6:4 და მეოთხედფინალში ანასტასია რუდაკოვას დაუპირისპირდება.

**ვაჟა დანელია**

---

# ტატიშვილი ავსტრალიას დაემშვიდობა

უკვე გაუწყეთ, რომ 22 წლის ქართველმა ჩოგბურთელმა **ანა ტატიშვილმა** ავსტრალიის ღია პირველობის ერთეულთა თანრიგში იაპონელ აიუმი მორატისთან წააგო, გუშინ კი წყვილთა ასპარეზობასაც გამოეთიშა. ტატიშვილისა და სლოვენიელი ანდრეა კლეპაჩის ტანდემი ჩინელების - სინიუნ ჰანისა და იი-მიაო ჟოუს დუეტს დაუპირისპირდა. პირველი ხელი ევროპელებმა იოლად მოიგეს - 6:1, მეორე და მესამე სეტებში კი აზიელები დაეუფლნენ უპირატესობას. დაძაბულ ბრძოლაში მათ 7:6, 7:5 დაამარცხეს მეტოქე და მომდევნო ეტაპზე გავიდნენ. ტატიშვილი ავსტრალიის ღია ჩემპიონატს დაემშვიდობა.



ანა ტატიშვილი

**ვაჟა დანელია**

---

სუმო. ჰაცუ ბაშო. 13-27 იანვარი

# ტოჩინოშინი ლიდერებში

ახალი წლის ბაშოზე სულ 4 სუმოისტი დარჩა, რომელთაც ყველა შეხვედრა მოიგეს და მათ შორის 25 წლის **ლევან გორგაძეა (ტოჩინოშინი)**. მე-6 მაეგაშირას რანგის ქართველმა **იოშიკაძის** შეტევა მოიგერია, შემდეგ კი წყნარად გაიყვანა იაპონელი რკალს მიღმა. ტოჩინოშინს 4-0 ბალანსი აქვს, ისევე როგორც დიდ ჩემპიონ **ჰარუმაფუჯის** და კიდევ ორ რიგით მაეგაშირას. ასპარეზობის მე-5 დღეს ლევანის მეტოქე გამოცდილი მონღოლი **ტოკიტენკუა**, რომელთანაც პირად შეხვედრებში 5:6-ს აგებს. აღსანიშნავია, რომ უმაღლეს დივიზიონში სტარტზე ზედიზედ ხუთი ორთაბრძოლა ლევანს არასოდეს მოუგია და ახლა რეკორდის დამყარების შანსი აქვს.

2-დღიანი მარცხის სერია ბულგარელი **აოიამას** ძლევით შეწყვიტა **თეიმურაზ ჯუღელმა (გაგამარუ)**. მე-4 მაეგაშირას რანგში მოჭიდავე ქართველმა ევროპელ გოლიათს ძალით აჯობა. ახლა თეიმურაზი ბრაზილიელ **კაისეის** დაუპირისპირდება. ერთმანეთს ქართველი და ბრაზილიელი ოთხჯერ დაუპირისპირდნენ (2:2), ერთ შეხვედრაში კი ჩვენებურს მოგება მეტოქის ტრავმის წყალობით ჩაეთვალა.

### IV დღე

**(მნიშვნელოვანი წყვილები):** ჰარუმაფუჯი-კიოკუტენჰო (იორიკირი), ჰაკუჰო-ტოიონოშიმა (ოშიდაში), გოეიდო-კოტოშოგიკუ (ცუკიოტოში), ბარუტო-კისენოსატო (სუკუინაგე), კაკურიუ-ამინიშიკი (ჰატაკიკომი), მიოგირიუ-კოტოოშუ (ჰატაკიკომი), შოჰოზანი-ტოჩიოძანი (ოშიდაში), კაისეი-იკიოი (იორიკირი), **გაგამარუ**-აოიამა (იორიკირი), **ტოჩინოშინი**-იოშიკაძე (იორიკირი).

### სატურნირო მდგომარეობა

**4-0:** ჰარუმაფუჯი (იოკოძუნა), ტოჩინოშინი (მაეგაშირა 6), კიტატაიკი (მ 10), ტოჩინოვაკა (მ 15)... **2-2:** გაგამარუ (მ 4).

### V დღე

**(მნიშვნელოვანი ბრძოლები):** ჰაკუჰო-ტოჩიოძანი, ჰარუმაფუჯი-ტოიოჰიბიკი, კისენოსატო-მიოგირიუ, კაკურიუ-ტოიონოშიმა, კოტოოშუ-გოეიდო, კოტოშოგიკუ-ამინიშიკი, ბარუტო-შოჰოზანი, კიოკუტენჰო-არანი, გაგამარუ-კაისეი, ტოჩინოშინი-ტოკიტენკუ.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ლევან გორგაძე (ტოჩინოშინი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული სპორტი

თხილამურობა

# კონკურენცია უთანაბრო ძალებით

ევროპის თოვლიან ტრასებზე თითქმის ყოველდღე სამთო მოთხილამურეთა უამრავი შეჯიბრება იმართება. ტურნირებში მეტ-ნაკლები წარმატებით ასპარეზობენ ჩვენი ქვეყნის წარმომადგენლები. ორიოდე დღის წინათ ნიკოლოზ კოზანაშვილმა და სანდრო ოგბაიძემ იტალიაში მოსინჯეს ძალები. გიგანტურ სლალომში კოზანაშვილმა 2.10,97-ით 25-ე ადგილი დაიკავა, ხოლო ოგბაიძე (2.13,84) 39-ე ადგილს დასჯერდა. ერთი დღით ადრე კი სანდრო სლალომში 26-ე იყო.



ამერიკის შეერთებულ შტატებში იასპარეზა ფიგურულ ციგურაობაში ევროპის ბრინჯაოს პრიზიორ **ელენე გედევანიშვილის** ძმამ - **დიმიტრი გედევანიშვილმა,** რომელმაც სლალომში (1.31,91) მე-8 ადგილი დაიკავა და პირველ ადგილზე გასულ მასპინძელს 2,48 წამით ჩამორჩა.

წლეულს განსაკუთრებით 19 წლის **ჯაბა გელაშვილი** ყოჩაღობს. უკვე გაუწყეთ, რომ 9-10 იანვარს მან ფრანგულ ლე უშეს ტრასებზე გიგანტურ სლალომში, შესაბამისად, მეექვსე და მეხუთე ადგილები დაიკავა. ჯაბა ამჯერად ლე მანუაში (საფრანგეთი) გაეჯიბრა მეტოქეებს. გიგანტურ სლალომში ჩვენებური 2.30,46-ით მეხუთე ადგილზე გავიდა. პირველი ადგილი 25 წლის ბელგიელმა - ფრედერიკ ვან ბოინდერმა (2.28,93) დაიკავა. მეორე-მესამე ადგილები მასპიძლებს - ადრიან ტრილოუს და ჟორის ასტრუას ერგოთ. გელაშვილი სლალომშიც (1.31,77) მეხუთე იყო. აქ საპრიზო ადგილები ჟოფრეი მატეიმ (საფრანგეთი, 1.29,31), ფრედერიკ ვან ბოინდერმა (1.31,01) და ქენთინ პაგეტმა (საფრანგეთი, 1.31,11) გაინაწილეს.

გელაშვილის ბოლოდროინდელი წარმატებები იმითაც არის სასიამოვნო, რომ 2014 წლის ზამთრის ოლიმპიადაში მონაწილეობის ერთ-ერთი რეალური კანდიდატია და ლიცენზიის მოსაპოვებლად საუკეთესო ხუთასეულში შესასვლელად ცოტაღა აკლია.

- მომავალი ზამთრის ოლიმპიური თამაშების ორი ლიცენზიატი უკვე გვყავს, - გვითხრა საქართველოს სათხილამურო სპორტის გენერალურმა მდივანმა **გიორგი ცაგარელმა.** - გიგანტში, სლალომსა და სწრაფდაშვებაში ვინც 500 საუკეთესოში დაიმკვიდრებს ადგილს, ის სოჭის საგზურს დაიმსახურებს. იასონ აბრამაშვილი სლალომში უკვე 300 საუკეთესოშია, ხუთასეულში შედის ალეკო ბენიაიძე. ასე რომ, მათ ოლიმპიადაზე გამგზავრება დაბევებული აქვთ. ხუთასეულთან ახლოს არიან ჯაბა გელაშვილი და ნინო წიკლაური, ამიტომ მათ საგზურების მოპოვება არ გაუჭირდებათ, რადგან ოლიმპიადამდე საკმაო დროა დარჩენილი. ზემოაღნიშნულის გარდა, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტიდან ქვეყნებს, მათ შორის ჩვენც - ორ-ორი ადგილი გვაქვს გამოყოფილი სამთო-სათხილამურო სპორტში. ამდენად, დამატებით თითო ქალისა და ვაჟის წაყვანა შეგვეძლება ოლიმპიადაზე. ჯერ ნაადრევია იმის თქმა, ამ კვოტას როგორ ავითვისებთ. ახლა სწრაფად წინაურდებიან ახალგაზრდები და ვისაც უკეთესი შედეგები ექნება, ოლიმპიადაზეც ის წავა.

**- სხვა სახეობებში თუ გვეყოლება ლიცენზიატი?**

- სნოუბორდში კარგი შედეგებით გამოირჩევა რევაზ ნაზღაიძე. მას მოგებული აქვს თურქეთის რამდენიმე ტურნირი, ევროპის თასებზე კი საპრიზო ადგილებიც დაუკავებია. ამჟამად კანადაში იმყოფება მსოფლიოს ჩემპიონატზე. 50-მდე ქულა აშორებს მიზანს. რამდენიმე შეჯიბრებაზე თუ გამოვა, შეუძლებელი არაფერია. მაშინ ისიც მოიპოვებს 2014 წლის ოლიმპიადაში მონაწილეობის უფლებას. სპორტის სამინისტრო თანადგომას და დახმარებას დაგვპირდა.

**- ფრისტაილსა და სკიკროსზე რას იტყვით?**

- ფრისტაილს ჩვენთან დიდი ტრადიციები არა აქვს. ახლახან გამოჩნდნენ ამ სახეობაში ახალგაზრდები, ნიჭიერები არიან, მაგრამ არა მგონია, ერთ წელიწადში იმდენი მოახერხონ, რომ ლიცენზიატთა შორის მოხვდნენ. რაც შეეხება სკიკროსს, აქ უმთავრესად ვეტერანი სპორტსმენები გამოდიან, რადგან ძალისმიერი სპორტია და ახალგაზრდები ტრავმებს ერიდებიან. სათანადო დაფინანსება თუ გვექნება, აქაც შეიძლება შედეგის მიღწევა.

ერთიც მინდა დავძინო: სათხილამურო სპორტში დიდი კონკურენციაა. იმ ქვეყნებს ვუწევთ მეტოქეობას, რომლებსაც 3-5 მილიონი მოთხილამურე ჰყავთ. ჩვენთან კი საქართველოს ჩემპიონატებში სულ 60-მდე სპორტსმენი იყრის თავს. თან ახალგაზრდული გუნდი გვყავს. ყოველივეს მიუხედავად, ქართველ მოთხილამურეებს უცხოეთში პატივს სცემენ, ანგარიშს უწევენ, რაც მათ ბოლო წლების შედეგებით დაიმსახურეს.

ვაჟა დანელია

ჭადრაკი

# ქართველები ლიდერობენ

ესტონეთში პაულ კერესის საჭადრაკო მემორიალის წრიულ შეჯიბრებებში გუშინ მორიგი ტურის პარტიები გათამაშდა. A ტურნირში **მაკა ფურცელაძემ** მე-5 ტურის ორთაბრძოლა დინა ბელენკაიასთან ყაიმით დაასრულა, ასევე, დაზავდნენ პაველ დრუგოვი (რუსეთი) და ალექს ანჟუხინი (რუსეთი). დანარჩენი სამი პაექრობა ასე დამთავრდა: ანდრეი შიშკოვი (ესტონეთი) - მარკ ლაპიდუსი (ესტონეთი) 1:0, იგორ შვირჟოვი (ესტონეთი) - ტომას ლაურუსასი (ლიტვა) 1:0, მიქაელ აგაპოვი (ფინეთი) - ოტომარ ლანდა (ესტონეთი) 0:1.

B ტურნირში **ვარლამ ვეფხვიაშვილმა** იური მალინინი (რუსეთი) დაამარცხა. დანარჩენი ოთხი პარტიაც შედეგიანი აღმოჩნდა: მონიკა ციგანოვა (ესტონეთი) - ვალენტინა ფედოსეევა (რუსეთი) 1:0, კირილ ჩუკავინი (ესტონეთი) - სანდერ კუკი (ესტონეთი) 0:1, კესტუტის კაუნასი (ლიტვა) - ჰენრიკ ჰაავამაიე (ესტონეთი) 1:0, ილია სიროში (ესტონეთი) - გეორგ აბოზენკო (ესტონეთი) 1:0.

გუშინვე მე-6 ტურის შეხვედრებიც გაიმართა:

**A ტურნირი.** მაკა ფურცელაძე-მიქაელ აგაპოვი 1:0, ალექს ანჟუხინი-ტომას ლაურუსასი 0:1, მარკ ლაპიდუსი-ოტომარ ლანდა 0:1, პაველ დრუგოვი-იგორ შვირჯოვი 0,5:0,5, დინა ბელენკაია-ანდრეი შიშკოვი 0:1.

ექვსი ტურის შემდეგ: ფურცელაძე-4.5, შვირჟოვი, ლანდა-4-4, დრუგოვი-3,5, ანჟუხინი, ბელენკაია, შიშკოვი-3-3, ლაპიდუსი-2, ლაურუსასი, აგაპოვი-1,5-1,5 ქულა.

**B ტურნირი.** კირილ ჩუკავინი-ვარლამ ვეფხვიშვილი 0,5:0,5, ვალენტინა ფედოსეევა-კესტუტის კაუნასი 0:1, იური მალინინი-მონიკა ციგანოვა 1:0, ჰენრიკ ჰაავამაიე-ილია სიროში 0:1, სანდერ კუკი-გეორგ აბოზენკო 1:0.

ექვსი ტურის შემდეგ: ვეფხვიშვილი, სიროში, კუკი, კაუნასი-4,5-4,5, მალინინი-4, ფედოსეევა, ჰაავამაიე, აბოზენკო-2-2, ჩუკავინი, ციგანოვა-1-1 ქულა.

ტურნირის დამთავრებამდე სამი ტური დარჩა.


მაკა ფურცელაძე

ვაჟა დანელია

შეხვედრა


მარცხნიდან: ლევან ყიფიანი, გენადი გურალია, რომან მელია

## სტუმრად სამინისტროში

გუშინ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი **ლევან ყიფიანი** წყალსათხილამურო სპორტის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტ **რომან მელიას** და წყალმოთხილამურე **გენადი გურალიას** შეხვდა. ისაუბრეს სპორტის ამ სახეობის განვითარების პერსპექტივებზე, დაიგეგმა ერთობლივი პროექტები მისი აღორძინება-პოპულარიზაციის მიზნით.

შეგახსენებთ, რომ გენადი გურალიას გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მრავალ შეჯიბრებაში უსახელებია თავი. 2008 წელს წყალსათხილამურო სპორტის საერთაშორისო ფედერაციამ იგი ევროპის საუკეთესო სპორტსმენ მამაკაცად აღიარა. გურალია რვა წელიწადი საბერძნეთის ნაკრებს ავარჯიშებდა, მეხუთე წელია, იტალიურ სან ჯერვასიოში ცხოვრობს და იქაური კლუბის წევრებს წვრთნის, თავადაც მონაწილეობს შეჯიბრებებში საქართველოს სახელით. შარშან ვეტერანთა მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატები მოიგო მრავალჭიდში. შესაბამისი პირობების შექმნისა და თანადგომის შემთხვევაში მზად არის, საქართველოში დაბრუნდეს და წყალსათხილამურო სპორტის აღორძინებას ემსახუროს.

ვაჟა დანელია

კალათბურთი

ქორქია-საკანდელიძის მემორიალი. მეორე დღე


თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

# ჩხუბი

16 იანვარი

**სამედიცინო-ოლიმპი 58:94**

15:38, 10:23, 8:23, 25:10

**სამედიცინო:** ჯიქია (3ქ, 3პ), არწივიძე, შიოლაშვილი (6ქ), ტუკვაძე (6ქ, 8მ), გაბისონია (4ქ, 5მ, 4ჩ), ლ. რევაზაშვილი (4ქ), მაისურაძე (9ქ, 6მ), ფერიაშვილი (6ქ, 6მ), გ. რევაზაშვილი (13ქ, 6მ), ჭიჭვეიშვილი (7ქ, 3ჩ.

**ოლიმპი:** გულისაბედაშვილი (2ქ, 3პ), ტომარაძე (18ქ, 5მ), სოკი (8ქ, 10პ, 3ჩ), ბერიშვილი (8ქ, 3ჩ), გოგოძე (2ქ), ფაცაცია (19ქ, 4პ), ცირეკიძე (2ქ), ა. დვალიშვილი (7ქ, 6მ, 4ჩ), ლობჟანიძე, მილოშევიჩი (19ქ, 10მ), ანდრიუკაიტისი (9ქ, 9მ).

16 იანვარი

**არმია-სტუ 63:44**

23:23, 19:12, 21:9

**არმია:** გამყრელიძე (7ქ, 4პ), ბაბიაშვილი (7ქ, 6მ, 3ჩ), ა. ბოისა, უგრეხელიძე (5ქ, 5მ), წივწივაძე (11ქ), საყვარელიძე (6ქ, 5მ), შარაბიძე (8ქ, 5მ, 2დ), ჯგერენაია (2ქ), ფარღალავა (17ქ, 5პ).

**სტუ:** ჩაჩიბაია (9ქ, 3პ), თევზაძე, კვეტენაძე (4ქ), კორკოტაძე, ლ. მინაშვილი (14ქ, 8მ), მაჩალაძე (8ქ), პირველაშვილი (4ქ, 7მ), დ. დვალიშვილი, კუჭავა, ჯანაშია (2ქ), ქორიძე (3ქ).

A ჯგუფი

| გუნდი | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. არმია | 2 | 2 | 0 | 4 |
| 2. ოლიმპი | 1 | 1 | 0 | 2 |
| 3. დინამო | 1 | 1 | 0 | 2 |
| 4. სტუ | 2 | 0 | 2 | 2 |
| 5. სამედიცინო | 2 | 0 | 2 | 2 |

თუ კარგად დააკვირდით, „არმია"-სტუ-ს შეხვედრაში მხოლოდ სამი მეოთხედის ანგარიშები წერია. ეს შეცდომა არ არის - მეოთხე პერიოდი არ ჩატარებულა. მიზეზი მატჩის მსვლელობისას მომხდარი ჩხუბია, რის გამოც მსაჯებმა შეხვედრა შეწყვიტეს და მოგება „არმიას" ჩაუთვალეს. საფინალო ანგარიშად ის მაჩვენებლები დაფიქსირდა, რაც შეხვედრის შეწყვეტისას გუნდებს ეწერათ.

მოგება „არმიას" იმიტომ ჩაეთვალა, რომ ინციდენტის მიზეზი სტუ-ს კალათბურთელები იყვნენ: თანაგუნდელებს, **გიგა კვეტენაძესა** და **ვაჟა ჯანაშიას** შორის მოედანზე შელაპარაკება მოხდა. საქმეში არბიტრები ჩაერთვნენ და ისინი მოედნიდან გააძევეს. გასახდელისკენ მიმავლებმა კი ხელჩართული ჩხუბი გააჩაღეს და მთელი სტუ მათ გასაშველებლად გაიქცა.

ოფიციალური წესების მიხედვით, როცა გუნდი ხუთეულ-სათადარიგოებიანად მოედანს ტოვებს, წაგება ეთვლება. სწორედ ამ წესის გათვალისწინებით შეწყვიტეს მსაჯებმა მატჩი.

■ ■ ■

„ოლიმპისა" და „სამედიცინოს" დაპირისპირება მშვიდ ვითარებაში წარიმართა. გუნდები განსაკუთრებით პირველი მეოთხედის შემდეგ დაწყნარდნენ, როცა ოლიმპელები 38:15 დაწინაურდნენ.

გამარჯვებულთა შემადგენლობაში ითამაშა ლიტვის „ჟალგირისისა" და „შაულიაის" ყოფილმა კალათბურთელმა **მარტინას ანდრიუკაიტისმა.** მან 9-9 ქულა-მოხსნა მიითვალა. ლიტველ კალათბურთელს გუნდთან კონტრაქტი ოფიციალურად ჯერ არ გაუფორმებია.

დღეს მემორიალში მეორე ჯგუფის გუნდებიც ჩაერთვებიან. შეხვედრები სპორტის სამინისტროს დარბაზში 12 საათიდან დაიწყება.

ვაჟა სიმონიშვილი






ქართველი ევროთასზე

# ცინცაძის ტრიუმფი რუსეთში

ევროთასის მეორე ეტაპზე ტრიუმფალურ სვლას განაგრძობს **გიორგი ცინცაძის** „ბუდიველნიკი". გუშინ უკრაინელებმა რუსეთში „ტრიუმფი" 85:84 დაამარცხეს.

ბუდიველნიკელები მეოთხე პერიოდს 9-ქულიანი ჩამორჩენით შეხვდნენ, თუმცა ბოლო ათ წუთში 20:10 მოიგეს და გამარჯვება კიევში წაიღეს.

გიორგი ცინცაძემ 31 წუთში 9 ქულა (5-დან 2 ორქულიანი, 4-დან 1 სამიანი, 2-დან 2 საჯარიმო), 2 მოხსნა, 3 პასი და 1 ჩაჭრა მოაგროვა. მატჩის ბომბარდირი კი უკრაინელთა ამერიკელი ფორვარდი **ლეო ლაიონსი** გახდა - 26 ქულა. სხვათა შორის, საფინალო ანგარიშიც სწორედ ლეომ დააფიქსირა - 85:84.

გუშინვე რუსეთში ითამაშა **ბექა ბურჯანაძის** „კახასოლმა", რომელიც პეტერბურგის „სპარტაკთან" ვერას გახდა - 59:78. ქართველი ახალგაზრდა მატჩის განაცხადში არ ყოფილა.

ვაჟა სიმონიშვილი

დარჩა 230 დღე

ევრობასკეტი. სლოვენია 2013

ჩვენი მეტოქე. პოლონეთი

# ფაჩულია თუ გორტატი?

ზუსტად ერთი კვირის წინ ამავე რუბრიკაში შემოგთავაზეთ საქართველოს ნაკრების მომავალ მეტოქეთა ზოგადი სურათი და დაგპირდით, რომ თითოეულ მოწინაალმდეგეზე უფრო ვრცლად დავწერდით. სიტყვას ვასრულებთ და მეტოქეთა შესახებ წერას პოლონეთით ვიწყებთ. ევროპის ჩემპიონატის გახსნით შეხვედრაში ხომ სწორედ "არწივებს" დავუპირისპირდებით. მატჩი 4 სექტემბერს გაიმართება.

რამდენიც უნდა ვიმსჯელოთ პოლონეთზე, ფაქტს ვერსად გავექცევით – ნებისმიერი მკითხველი მეტოქის პლუსმინუსების გაცნობისას გონებაში საქართველოს ნაკრებს შეუპირისპირებს. ეს ლოგიკურიცაა, ყველას გვაინტერესებს, რა შანსი გვაქვს ევრობასკეტის გახსნით შეხვედრაში. ისევე როგორც ორი წლის წინ, სადებიუტო მატჩმა, შესაძლოა, ჯგუფიდან გამსვლელის ბედიც გადაწყვიტოს. შეგახსენებთ, რომ მომდევნო ეტაპზე ექვსიდან სამი გუნდი გადის. საქართველოს პოლონეთის შემდეგ ხორვატიასთან, სლოვენიასთან, ჩეხეთთან და ესპანეთთან მოუწევს დაპირისპირება.



ავტორის კარიკატურა

| 2012 წელი | საქართველო | პოლონეთი |
|---|---|---|
| შედეგი | 6 მოგ, 2 წაგ | 6 მოგ, 2 წაგ |
| ქულა (ჩაგდებული) | 88,4 | 88 |
| ქულა (მიღებული) | 83,3 | 71 |
| ორქულიანი (ჩაგდებული) | 195/366 (53.3%) | 186/324 (57.4%) |
| სამქულიანი (ჩაგდებული) | 58/158 (36.7%) | 68/175 (38.9%) |
| საჯარიმო (ჩაგდებული) | 143/203 (70.4%) | 128/157 (81.5%) |
| ორქულიანი (მიღებული) | 19,6 | 20,9 |
| სამქულიანი (მიღებული) | 10,8 | 6,4 |
| მოხსნა | 38,8 | 35,5 |
| პასი | 16,8 | 17,6 |
| ჩაჭრა | 10,1 | 7,1 |
| დაფარება | 3,1 | 3,6 |
| შეცდომა | 13,4 | 12 |

| ისტორია | |
|---|---|
| 24.05.1995 | |
| საქართველო-პოლონეთი | 68:91 |
| 02.08.2010 | |
| საქართველო-პოლონეთი | 84:65 |
| 17.08.2010 | |
| პოლონეთი-საქართველო | 67-58 |

## უკანა ხაზი

პოლონეთის ნაკრების მთავარი პლუსი ცენტრი **მარცინ გორტატია**. საქართველოსაც დიდი უპირატესობა აქვს ფარქვეშ, რაც **ზაზა ფაჩულიას** დამსახურებაა. სწორედ ამ ფაქტორების გათვალისწინებით, სავარაუდოდ, მატჩის მოგება უკანახაზელთა მარიფათზე იქნება დამოკიდებული.

ცხრილშიც ნახავდით, რომ ქართველებს მეტოქის ტანდაბლებთან შედარებით უპირატესობა აქვთ. ეს **მანუჩარ მარკოიშვილის, გიორგი ცინცაძისა** და **ჯეიკობ პულენის** დამსახურებაა. ჯერჯერობით უცნობია, დარჩება თუ არა გუნდში ჯეიკობი. ერთი რამ კი ცხადია, თუ მას სხვა ჩაანაცვლებს, არანაკლები გამოცდილებისა იქნება.

სხვათა შორის, ქართველმა უკანახაზელებმა პოლონელებს 2010 წელსაც აჯობეს, მიუხედავად იმისა, რომ მაშინ მეტოქის რიგებში ნატურალიზებული **თომას კელატი** ირჯებოდა. 2012 წელს შესარჩევ ეტაპზე პოლონელებმა ამერიკელის გარეშე იასპარეზეს, თუმცა არ არის გამორიცხული, ევრობასკეტისთვის ვინმე დაიხმარონ. შეგახსენებთ, რომ 2009 წელს მათ რიგებში გამოდიოდა მაქაბელი ამერიკელი **დევიდ ლოგანი.**

დასკვნა: წესითა და რიგით, უკანა ხაზში პოლონეთს უნდა ვაჯობოთ.

| საქართველო | ქ | მ | პ | ჩ | შ | გუნდი | ქვეყანა | საერთაშორისო |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| მარკოიშვილი | 18 | 4 | 3,1 | 2,9 | 1,9 | კანტუ | იტალია | ევროლიგა |
| პულენი | 16 | 2 | 2,9 | 1,4 | 1,1 | ჰაპოელი | ისრაელი | ევროთასი |
| ცინცაძე | 11 | 3,8 | 5,1 | 2,3 | 2 | ბუდიველნიკი | უკრაინა | ევროთასი |
| ფაცაცია | 1 | 1,8 | 0,7 | 0,5 | 0,5 | ოლიმპი | საქართველო | |
| ჯამი | 46 | 11,6 | 11,8 | 7,1 | 5,5 | | | |

| პოლონეთი | ქ | მ | პ | ჩ | შ | გუნდი | ქვეყანა | საერთაშორისო |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ბერიშა | 9,7 | 1 | 2,5 | 1,2 | 1,5 | პეია | კოსოვო | |
| ზამოისკი | 9,4 | 3,3 | 1,4 | 0,5 | 0,9 | პროკომი | პოლონეთი | ევროლიგა |
| კოზარეკი | 10,1 | 2,3 | 4,6 | 1,5 | 2 | პროკომი | პოლონეთი | ევროლიგა |
| სკიბნიევსკი | 4,4 | 0,5 | 2,5 | 0,4 | 1 | კოშლინი | პოლონეთი | |
| ჯამი | 33,6 | 7,1 | 11 | 3,6 | 5,4 | | | |

*შენიშვნა: აღებულია 2012 წლის სანაკრებო მატჩების მონაცემები*

## ფორვარდები

თბილისური მატჩისას, როცა მარცინ გორტატი მოედანზე იყო, მძიმე ფორვარდად **მაცეი ლამპე** თამაშობდა. იგი ევროლიგის დონის კალათბურთელია. შარშან ნაკრებში არ უთამაშია, თუმცა არის შანსი, გუნდში დაბრუნდეს. ასევე მოსალოდნელია **შიმონ შევჩიკის** დაბრუნება. ისიც მძიმე ფორვარდია (ცენტრადაც თამაშობს). მათთან **ვიქტორ სანიკიძისა** და **თორნიკე შენგელიას** დაპირისპირების შემთხვევაში უპირატესობა პოლონელების მხარეს ნამდვილად არ უნდა იყოს. დიდი ალბათობით, ჩვენს გუნდს **ნიკა ცქიტიშვილიც** გააძლიერებს.

დასკვნა: თუ ორივე გუნდმა ოპტიმალური შემადგენლობა შეკრიბა, კლასში დიდი სხვაობა ვერც ერთს ექნება. ხოლო თუ 2012 წლის შემადგენლობები დარჩა, უპირატესობა ქართველთა მხარეს უნდა იყოს.

| საქართველო | ქ | მ | პ | ჩ | შ | გუნდი | ქვეყანა | საერთაშორისო |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სანიკიძე | 13,6 | 9,1 | 2 | 1,1 | 1,9 | მონტეპასკი | იტალია | ევროლიგა |
| შენგელია | 13,7 | 7,6 | 1,6 | 1,7 | 2,7 | ბრუკლინი | აშშ | NBA |
| მეტრეველი | 2,5 | 2,5 | 0 | 0 | 0,5 | ომეგა | იტალია | |
| ჯამი | 29,8 | 19,2 | 3,6 | 2,8 | 5,1 | | | |

| პოლონეთი | ქ | მ | პ | ჩ | შ | გუნდი | ქვეყანა | საერთაშორისო |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ვაჩინსკი | 4,5 | 2 | 1,3 | 0,8 | 0,6 | სოპოტი | პოლონეთი | ევროთასი |
| ინგერსკი | 14 | 5,1 | 0,9 | 0,6 | 1,3 | სასარი | იტალია | ევროთასი |
| პონიტკა | 5 | 2,3 | 0,6 | 0,8 | 0,6 | პროკომი | პოლონეთი | ევროლიგა |
| ჯამი | 23,5 | 9,4 | 2,8 | 2,2 | 2,5 | | | |

კალათბურთელები, რომლებსაც 2012-ში არ უთამაშიათ, ან საშუალოდ 7 წუთზე ნაკლები დრო ჰქონდათ:

**საქართველო:** ცქიტიშვილი (ჩამპვილი, ლიბანი), გამყრელიძე (არმია), ბურჯანაძე (კახასოლი, ესპანეთი), ვ. ბოისა (არმია), ა. ბოისა (არმია), ლეჟავა (შსს აკადემია), მათიაშვილი (ქუთაისი), ფარლალავა (არმია), დვალიშვილი (ოლიმპი).

**პოლონეთი:** ლამპე (კახა ლაბორალი, ესპანეთი), შევჩიკი (ვენეცია, იტალია), პამულა (პროკომი, პოლონეთი), ჰრიჩანიუკი (პროკომი, პოლონეთი).



ცინცაძე კლატის წინააღმდეგ

## მწვრთნელები

პოლონელებს **ალეს პიპანი** წვრთნის. ეს სლოვენიელი სპეციალისტი 2004-07 წლებში მშობლიურ ნაკრებსაც ხელმძღვანელობდა და გამოცდილება უხვად აქვს. მასთან კლუბებში სხვადასხვა დროს ქართველ კალათბურთელებსაც უვარჯიშიათ... შეიძლება ითქვას, რომ სამწვრთნელო საკითხში პოლონეთს ვერ აღვემატებით. თუმცა არც ჩამოვრჩებით, რადგან ჩვენმა თავკაცმა **იგორ კოკოშკოვმაც** კარგად იცის პოლონელთა დადებითი და უარყოფითი მხარეები, განსაკუთრებით მეტოქის ლიდერის გორტატისა, რომელიც კოკოშკოვთან ერთად "ფინიქსში" ირიცხება - დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, სერბ მწვრთნელს უკვე მოფიქრებული ექნება გორტატის შეჩერების ხერხი. დანარჩენს 4 სექტემბერს ვნახავთ.

ალეს პიპანი საქართველოს შესახებ:

*- სლოვენია და ესპანეთი შეჯიბრების ფავორიტები არიან. ისინი ჯგუფიდან გავლენ, დარჩენილი ერთი საგზურისთვის კი დიდი ბრძოლა გვექნება ხორვატებთან, ქართველებთან და ჩეხებთან. ბევრს გადაწყვეტს შეჯიბრების პირველი მატჩი.*

იგორ კოკოშკოვი პოლონელებზე:

*- პოლონეთს 2010 წელს ევრობასკეტის შესარჩევ ეტაპზეც ვეთამაშეთ და კარგად ვიცნობთ. მათ 2012-შიც დაამტკიცეს, რომ ძლიერი გუნდი ჰყავთ და სლოვენიაში ჯგუფიდან გასვლის ამბიციით ჩამოვლენ. საინტერესო პაექრობა გველის.*

**P.S.** ბოლო ინფორმაციით, შესაძლოა ალეს პიპანი გერმანიის ნაკრების ყოფილმა დამრიგებელმა დირკ ბაუერმანმა შეცვალოს.

გვერდი მოამზადა
ვაჟა **სიმონიშვილმა**



2010 წელი. საქართველო-პოლონეთი. მატჩის წინ

## წინა ხაზი

მხოლოდ NBA-ში ნაჩვენები შედეგების მიხედვით რომ ვიმსჯელოთ, უპირატესობა მარცინ გორტატის მხარესაა, მაგრამ ზაზა ფაჩულიას არაერთხელ უთქვამს: NBA-ს ცენტრების წინაალმდეგ თამაში ჩემთვის სასიამოვნოა და დამატებითი მოტივაციააო. 2010 წელს, თბილისში გორტატთან ურთიერთშეხვედრისას 26 ქულა ჩააგდო და მეტოქეს შანსი არ დაუტოვა. პოლონეთში გაბრუნებულმა მარცინმა თქვა: ფაჩულიამ გამანადგურაო.

ერთი მატჩის მიხედვით დასკვნების გამოტანა არ შეიძლება, არავინ იცის, რომელი ცენტრი როგორ შეხვდება 4 სექტემბერს.

დასკვნა: ფაჩულია-გორტატის დუელში წინასწარ ძნელია ფავორიტის გამოყოფა, თუმცა, თუ საქმე სათადარიგოებზე მიდგა, ნომინალურ ცენტრებში უპირატესობა ჩვენს მხარესაა – საქართველოს ნაკრებში ევროლიგის ჩემპიონის "ოლიმპიაკოსის" ცენტრი გიორგი შერმადინია.

| საქართველო | ქ | მ | პ | ჩ | შ | გუნდი | ქვეყანა | საერთაშორისო |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ფაჩულია | 18,6 | 7,6 | 1 | 0,8 | 3,8 | ატლანტა | აშშ | NBA |
| შერმადინი | 5,1 | 4,6 | 1 | 0,3 | 0,6 | ოლიმპიაკოსი | საბერძნეთი | ევროლიგა |
| ჯამი | 23,7 | 12,2 | 2 | 1,1 | 4,4 | | | |

| პოლონეთი | ქ | მ | პ | ჩ | შ | გუნდი | ქვეყანა | საერთაშორისო |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| გორტატი | 21,1 | 11,6 | 1,6 | 0,4 | 0,9 | ფინიქსი | აშშ | NBA |
| ვოიციეხოვსკი | 3,4 | 2,9 | 0,3 | 0,3 | 1,3 | ოლიმპიაკოსი | საბერძნეთი | ევროლიგა |
| ჯამი | 24,5 | 14,5 | 1,9 | 0,7 | 2,2 | ტორინო | იტალია | |



ფაჩულია და გორტატი ფარქვეშ

| ლიდერთა დუელი | | თ | წთ | ქ | 2ქ | 1ქ | მ | პ | ჩ | დ | ფ | შ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ფაჩულია | ნაკრები 2012 | 5 | 29,6 | 18,6 | 35/61 (57.4%) | 23/35 (65.7%) | 7,6 | 1 | 0,8 | 0,2 | 2,6 | 3,8 |
| | NBA 2012-13 | 36 | 22,3 | 6,4 | 85/167 (50.9%) | 60/79 (75.9%) | 6,8 | 1,3 | 0,7 | 0,3 | 2,4 | 1,5 |
| | VS გორტატი (2010) | 2 | 29,5 | 17 | 12/30 (40.0%) | 10/14 (71.4%) | 7,5 | 1,5 | 0,5 | 0 | 4 | 2,5 |
| გორტატი | VS ფაჩულია (2010) | 2 | 31,5 | 13,5 | 12/23 (52.5%) | 3/4 (75%) | 5,5 | 1,5 | 0,5 | 3 | 3,5 | 1,5 |
| | NBA 2012-13 | 39 | 32 | 11,5 | 193/361 (53.5%) | 62/91 (75.9%) | 8,9 | 1,3 | 0,7 | 1,9 | 2,2 | 1,6 |
| | ნაკრები 2012 | 8 | 33,1 | 21,1 | 66/105 (62.9%) | 37/49 (75.5%) | 11,6 | 1,6 | 0,4 | 2,3 | 2,4 | 0,9 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტაჟირება

# ქართველი მწვრთნელი მონპელიეს ვარჯიშებს დააკვირდება

**საქართველოს ჩემპიონატში ახლა შესვენებაა. სატრანსფერო ფანჯარა ოფიციალურად 15 იანვარს დაიხურა და გუნდები სეზონის განახლებისთვის ემზადებიან. რამდენიმე მორაგბემ ქვეყანა დატოვა და კარიერის გაგრძელება უცხოეთში გადაწყვიტა. საზღვარგარეთ გაემგზავრა, ოღონდ - სტაჟირებაზე, ეროვნული ჩემპიონატის ლიდერის, თბილისის „ლელოს“ მთავარი მწვრთნელი ლევან მაისაშვილს.**



მამუკა გორგოძე და ლევან მაისაშვილი

ალსანიშნავია, რომ ლელოელთა თავკაცისთვის, რომელიც სხვადასხვა წლებში საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელი იყო და ამჟამად საქართველოს A ნაკრებს მოძღვრავს, ეს სტაჟირება პირველი არ არის. მას გავლილი აქვს FIRA AER-ის კურსები ბრიუსელსა და პალმა დე მალიორკაში, ასევე 2006 წელს გაიარა პირველი და მეორე დონის სამწვრთნელო სტაჟირება სამხრეთ აფრიკაში, ნატალის რეგიონის რაგბის კავშირში.

ამჟამად **ლევან მაისაშვილი** საფრანგეთში იმყოფება და ელიტურ, პირველ დივიზიონში მოასპარეზე „მონპელიეში“ გადის სტაჟირებას. ცხადია, ამ ფაქტით დავინტერესდით, მით უფრო, რომ მონპელიელთა რიგებში ახლა ხუთი ქართველი მორაგბე ირიცხება, რომელთაგან ერთ-ერთი გამორჩეული, საქართველოს ნაკრების მესამეხაზელი და ლიდერი **მამუკა გორგოძე** სწორედ მაისაშვილის აღზრდილია. სტაჟირების მსვლელობასა და მომავლის გეგმებზე სასაუბროდ ლევან მაისაშვილს მონპელიეში დავუკავშირდით.

**- ქართველი მწვრთნელების უცხოეთში სტაჟირება ჩვენს სინამდვილეში იშვიათობაა. რატომ აირჩიეთ ამჯერად მაინცდამაინც „მონპელიე“?**

- ამ სტაჟირებას „მონპელიეში“ დიდი ხანია, ვგეგმავდით. ცხადია, გასაგებია, რომ მისი ორგანიზება მამუკა გორგოძემ ითავა. ეს გუნდი მარტო ამის გამო არ ამირჩევია. მას შემდეგ, რაც „მონპელიეში“ მთავარ მწვრთნელად ფაბიენ გალტიე მივიდა, გუნდმა საგრძნობი პროგრესი განიცადა და მოკლე ხანში ერთი საშუალო დონის გუნდიდან პლეი ოფში გასვლისთვის, ანუ მედლებისთვის მებრძოლ გუნდად იქცა. ის ძალიან მაღალი დონის მწვრთნელია, მან თავისი ამბიციები და კვალიფიკაცია ნათლად დაამტკიცა. სწორედ ასეთი მაღალი დონის მწვრთნელთან მინდოდა გამევლო მოკლევადიანი სტაჟირება.

**- გალტიეს თავისი საქმეც თავსაყრელად ექნება, მასთან კომუნიკაციის პრობლემა ხომ არ არის?**

- არა, ძალიან კარგად მიმიღო, რაც, ცხადია, მამუკა გორგოძის დამსახურებაა. ნებისმიერ კითხვაზე მზად არის, პასუხი გამცეს. ორი დღეა, აქ ვარ და ყველასგან დიდ ყურადღებას ვგრძნობ. გალტიესთან ერთად „მონპელიეს“ შერკინების არგენტინელი მწვრთნელი მარიო ლედესმაც გავიცანი და მასთანაც ნორმალური, საქმიანი ურთიერთობა დამყარდა.

სტაჟირების პირველ დღეს ისე მოხდა, რომ „მონპელიეს“ დაცვაში ჰქონდა ვარჯიში, რაც ყველაზე მეტად მაინტერესებდა. რამდენიმე ხნის წინათ მაგ სტილში სამხრეთაფრიკელები თამაშობდნენ. მეტად საინტერესო ვარჯიში გამოდგა. მოთამაშეები ძალიან აქტიურობდნენ, რადგან შაბათს „ჰაინეკენის თასის“ გათამაშების ჯგუფური ტურნირის ბოლო მატჩში შინ „ტულონს“ ეთამაშებიან და გამარჯვების შემთხვევაში პლეი ოფში გავლენ. მომავალ მატჩს ძალიან სერიოზულად ეკიდებიან, რადგან წარმატების შემთხვევაში, „მონპელიე“ თავის ისტორიაში პირველად ითამაშებს ასეთი პრესტიჟული ევროპული ტურნირის მეოთხედფინალში.

**- „მონპელიეში“ მოთამაშე ქართველ მორაგბეებსაც ნახავდით. რას ამბობენ მათზე მწვრთნელები, კმაყოფილნი არიან?**

- დიახ, ჩვენი ბიჭებიც ვნახე და მათზე მწვრთნელებსაც ველაპარაკე. ძალიან მიქეს პირველხაზელი მიხეილ ნარიაშვილი. მას შემდეგ, რაც ჩვენთან მოვიდა, ერთ წელიწადში ძალიან დიდი პროგრესი განიცადა. ნიჭიერი და, რაც მთავარია, შრომის მოყვარე მორაგბეაო.

მამუკა გორგოძეზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია. ყველა თვალებში შესციცინებს, ნამდვილი ლიდერია და „ტულონთან“ მატჩში კაპიტანი სწორედ მამუკა იქნება.

კიდევ ერთ პირველხაზელს გიორგი ჟღენტს ტრავმა აქვს და დღესდღეობით მხოლოდ ძალოსნობის დარბაზში ვარჯიშობს. თამაშს დაახლოებით მარტიდან შეძლებს. როგორც უკვე ცნობილია, ჟღენტი სეზონის დასრულების შემდეგ „პერპინიანში“ გადადის, რომელთანაც ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

„მონპელიეს“ ესპუარებში თამაშობენ ბექა ლომიძე და გაგი ბაზაძე. ისინი ჯერ არ მინახავს. მათ ვარჯიშს დღეს საღამოს დავესწრები. მომავალ უქმეებზე თამაში აქვთ „ნარბონთან“, თუმცა, სამწუხაროდ, იქ გამგზავრებას ვერ შევძლებ.

**- როგორც უკვე ბრძანეთ, სტაჟირება მოკლე ვადიანია...**

- დიახ, თბილისში 26 იანვარს გამოვემგზავრები. ჯერჯერობით სულ მონპელიეში მიწევს ყოფნა, თუმცა, თუ მოვახერხე, შეიძლება ტულონშიც ჩავიდე დავით ქუბრიაშვილთან. ეს გუნდიც ძალიან საინტერესოა. ტულონელებს არანაკლები მაღალი კვალიფიკაციის მწვრთნელი ჰყავთ. - ბერნარ ლაპორტი საფრანგეთის ეროვნული გუნდის ყოფილი თავკაცია.

**- „მონპელიეს“ ამ დღეებში ცუდი ამბავი შეემთხვა. მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გუნდის შერკინების მწვრთნელი ერიკ ბეშუ დაიღუპა...**

- ერიკ ბეშუ წელიწადზე მეტია, ავადმყოფობდა. მას სიმსივნე ჰქონდა. ყველა ძალიან დამწუხრებულია, განსაკუთრებით კი ფაბიენ გალტიე. ბეშუ მისი მასწავლებელი ყოფილა.

**- მოდით, საქართველოში გადმოვინაცვლოთ. ჩემპიონატის განახლებამდე ერთ თვეზე ცოტა მეტია დარჩენილი. დაიწყო თუ არა „ლელომ“ მზადება და რა ცვლილებებია გუნდში?**

- „ლელომ“ ვარჯიში ათიოდ დღის წინათ დაიწყო. ამ ეტაპზე ფიზიკური კონდიციების გაუმჯობესებაზე ვზრუნავთ. ვარჯიშების პროგრამა დავტოვე და ჩემს არყოფნაში იმის მიხედვით იმუშავებენ. ცვლილებები ბევრი არ არის. მოსკოვის „სპარტაკიდან“ გოდერძი ჯოგლიძე დაგვიბრუნდა. სხვა სიახლე არაფერია, იგივე შემადგენლობით განვაგრძობთ ასპარეზობას, რომლითაც ჩემპიონატის პირველი ეტაპი მოვიგეთ.



მარცხნიდან: ფაბიენ გალტიე, ერიკ ბეშუ და მარიო ლედესმა

მეტოქეები



# ლობუშების გაფართოებული რაზმი ცნობილია

**საქართველოს ნაკრები ერთა თასის გათამაშებაში, რომელიც იმავდროულად 2015 წლის მსოფლიოს თასის შესარჩევი ტურნირიცაა, 2 თებერვლიდან ჩაერთვება. „ბორჯღალოსნები“ პირველ მატჩს სტუმრად, ბრიუსელში ბელგიის ნაკრებთან გამართავენ. ჩვენი გუნდი საწვრთნელ შეკრებას, რომლის გაფართოებული შემადგენლობა მიმდინარე კვირის ბოლოს გახდება ცნობილი, საფრანგეთის საკურორტო ქალაქ კანში გაივლის.**

იქამდე კი ერთა თასის გათამაშებაში მონაწილე გუნდებიდან გაფართოებული 33-კაციანი შემადგენლობა დაასახელა პორტუგალიის ნაკრების ახალზელანდიელმა თავკაცმა **ეროლ ბრაიანმა.**

ალსანიშნავია, რომ ბრაიანმა „ლობუშების“ შემადგენლობა მნიშვნელოვნად გადაახალისა. გუნდში ძალიან ბევრი ახალგაზრდა მორაგბეა, თუმცა პორტუგალიის ნაკრები არც გამოცდილი და საკმაოდ ასაკობრივი მოთამაშეების ნაკლებობას განიცდის. პირველ ხაზში ასეთები არიან **ჟოაო კორეია** და **ჟორჟე სეგურადო** (ორივე-დირეიტო).

მეორე ხაზი მთლიანად ახალგაზრდა მოთამაშებითაა დაკომპლექტებული. ყველაზე უფროსი რაფაელ სიმუეში (ბელენენსეში) 22 წლისაა. რატომღაც გუნდის გაფართოებულ შემადგენლობაში არ არის **გონსალო უვა.** სამაგიეროდ ისევ უკაპიტნებს პორტუგალიელთა ნაკრებს მისი ძმა, მესამეხაზელი **ვაშკუ უვა** (დირეიტო), რომელსაც აქამდე ეროვნულ გუნდში 80 კეპი აქვს მოხვეჭილი.

მესამეხაზელთა შორის კიდევ ერთი გამოცდილი **ტიაგუ ჟირაუ** (კდული) ითამაშებს. ორი კეპი აქვს მოხვეჭილი **ფრანსიშკუ სოუზას** (კასკაისი). სხვა დანარჩენი დებიუტანტები არიან.

თითქმის უცვლელია უკანა ხაზი. ყველაზე ასაკოვანი და გამოცდილი აქ 35 წლის გარემარბი **ანტონიო აგილარია** (დირეიტო), რომელსაც „ლობუშების“ შემადგენლობაში 77 კეპი აქვს მოხვეჭილი. ეროვნულ გუნდში 61 მატჩში უთამაშია ცხრა ნომერ **პედრო ლეალს** (დირეიტო), რომელიც 29 წლისაა. მას კვალში უდგანან გარემარბი **გონსალო ფორო** (კდული) და **პედრო სილვა** (ბელენენსეში).

ალსანიშნავია, რომ პორტუგალიის ამ ფორმაციის ნაკრებში სამი ლეგიონერია: **ტონი მარტინსი** (პერიგო), **ერიკ დოს სანტოსი** (მონ დე მარსანი) და **ჟოზე ლიმა** (ნარბონი).

პორტუგალიელები 19 იანვარს საფრანგეთის სტუდენტურ ნაკრებს დაუპირისპირდებიან, ერთი კვირის თავზე კი მეტოქედ ინგლისის სტუდენტური ნაკრები ეყოლებათ. შეგახსენებთ, რომ ნოემბრის ტესტებზე „ლობუშებმა“ ტურნე სამხრეთ ამერიკაში მოაწყვეს, სადაც ურუგვაისა და ჩილეს სძლიეს.

ერთა თასის გათამაშებაში საქართველოს ნაკრები პორტუგალიის ეროვნულ გუნდს თბილისში 9 თებერვალს უმასპინძლებს.

### პორტუგალიის ნაკრები

პირველი ხაზი: ჟორჟე სეგურადო, ჟოაო კორეია (ორივე-დირეიტო), ბრუნო როხა (აიეს ტექნიკო), ფრანსიშკუ დომინგეში (აგრონომია), ბრუნო მედეიროსი, მიგელ ვილაკა (ორივე-კდული), უგო ვალენტე (ბელენენსეში), ტონი მარტინსი (პერიგო).

მეორე ხაზი: ერიკ დოს სანტუში (მონ დე მარსანი), ფარელ სიმუეში (ბელენენსეში).

მესამე ხაზი: ვაშკუ უვა, ვაშკუ ფიმენდესი (ორივე-დირეიტო), ტიაგუ ჟირაო, ლორენცო მანტონგა (ორივე-კდული), ფრანსიშკუ სოუზა (კასკაისი).

№9: ფრანსიშკუ მაგალიაეში, კრლუშ სოტომაიორი (ორივე-კდული), მანუელ რაპოშუ (დირეიტო).

№10: პედრო ლეალი, მანუელ ვილელა (დირეიტო), მანუელ კოსტა (ბელენენსეში).

№12-13: კარლ მურეი, ფედერიკო ოლივეირა (ორივე-კდული), ბერნარდო კამპელო (აგრონომია), ჟოზე ლიმა (ნარბონი), პერდო სილვა (ბელენენსეში).

№11-14: გონსალო ფორო, ფრანსიშკუ აპელტონი (ორივე-კდული), ანტონიო აგილარი, ადერიტო ესტევეში (ორივე-დირეიტო).

№15: ჟოაო სილვა (კდული), ნუნო კოსტა (კდული).

| ერთა თასი 2013 |
| --- |
| I ტური |
| 2 თებერვალი |
| ბელგია-საქართველო |
| პორტუგალია-რუმინეთი |
| რუსეთი-ესპანეთი |
| II ტური |
| 9 თებერვალი |
| საქართველო-პორტუგალია |
| რუმინეთი-რუსეთი |
| ბელგია-ესპანეთი |
| III ტური |
| 23 თებერვალი |
| რუსეთი-საქართველო |
| ესპანეთი-რუმინეთი |
| პორტუგალია-ბელგია |
| IV ტური |
| 9 მარტი |
| საქართველო-ესპანეთი |
| პორტუგალია-რუსეთი |
| ბელგია-რუმინეთი |
| V ტური |
| 16 მარტი |
| რუმინეთი-საქართველო |
| ესპანეთი-პორტუგალია |
| რუსეთი-ბელგია |

გვერდი მოამზადა
**ზესიკ ჯანგავაძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური სპორტი

**რაგბი. ოთხი ერი**

# არგენტინა ბობოლებში მიღებულია

ოთხი ერის გათამაშება წლეულს მეორედ გაიმართება. შეგახსენებთ, რომ შარშან, სამი ერის გუნდებს - სამხრეთ აფრიკას, ავსტრალიასა და ახალ ზელანდიას მეოთხე მეტოქედ არგენტინის ეროვნული გუნდი დაუმატეს. საერთო შეფასებით, ტურნირმა გაამართლა.

დებიუტანტის კვალობაზე, სამხრეთ ნახევარსფეროს ბობოლებთან ჭიდილში „პუმები“ ცუდად არ გამოიყურებოდნენ და საკმაოდ დიდი გამოცდილება მიიღეს, რაც მათ მიერ ნოემბრის ტესტებისას ნაჩვენებ შედეგზეც აისახა.

ალსანიშნავია, რომ ოთხი ერის მონაწილეთაგან მსოფლიოს კლასიფიკაციაში პირველი სამი ადგილი ახალ ზელანდიას, სამხრეთ აფრიკასა და ავსტრალიას უჭირავთ. არგენტინა კი ევროპის ექვსი ერის სამ გუნდს - უელსს, იტალიასა და შოტლანდიას უსწრებს.

დადგინდა გათამაშების კალენდარი. 2013 წლის ოთხი ერი აგვისტოს მეორე დეკადაში დაიწყება და ოქტომბრის პირველ დეკადამდე გასტანს.

| ოთხი ერი 2013 |
|---|
| **I ტური. 17 აგვისტო** |
| ავსტრალია-ახ. ზელანდია |
| ს. აფრიკა-არგენტინა |
| **II ტური. 24 აგვისტო** |
| ახ. ზელანდია-ავსტრალია |
| არგენტინა-ს. აფრიკა |
| **III ტური. 7 სექტემბერი** |
| ავსტრალია-ს. აფრიკა |
| ახ. ზელანდია-არგენტინა |
| **IV ტური. 14 სექტემბერი** |
| ავსტრალია-არგენტინა, |
| ახ. ზელანდია-ს. აფრიკა |
| **V ტური. 28 სექტემბერი** |
| ს. აფრიკა-ავსტრალია |
| არგენტინა-ახ. ზელანდია |
| **VI ტური. 5 ოქტომბერი** |
| ს. აფრიკა-ახ. ზელანდია |
| არგენტინა-ავსტრალია |

**ბესიკ ჯანგავაძე**



**რაგბი. ტრანსფერი**

# ყველა გზა საფრანგეთისკენ მიდის

სამხრეთაფრიკელი მორაგბეების საფრანგეთში გადაბარგების სურვილზე უკვე ვწერდით. მათ რიცხვს, სავარაუდოდ, შეუერთდება „ბოკეს“ მგეზავი **მორნი სტეინიც**, რომელიც ამჟამად პრეტორიის „ბლუ ბულზის“ ღირსებას იცავს.

სტეინი 28 წლისაა და ეროვნულ გუნდში 42 კეპის მოხვეჭა მოასწრო. მისმა მენეჯერმა **იოჰან ფან გრონიემ** დაადასტურა, რომ სტეინით პარიზული „სტად ფრანსეა“ დაინტერესებული, რომელშიც ქართველი შერკინების ბურჯი **ზურაბ ჟვანია** თამაშობს. ამჟამად წინასწარი მოლაპარაკება მიმდინარეობს და მალე კონტრაქტიც გაფორმდება. დასადგენია წვრილმანი დეტალები, რომლებიც ძირითადად „ბლუ ბულზის“ ინტერესებს ეხება.

ამასთან ერთად გასარკვევია, როდის შეუერთდება მორნი სტეინი პარიზულ კლუბს. ზე რაგბის გათამაშება აგვისტოში მთავრდება, კონტრაქტი კი პრეტორიულ კლუბთან ოქტომბერში ეწურება. ფრანგულ კლუბს სურს, სტეინი საფრანგეთის მომავალი ჩემპიონატის წინ მოსამზადებელ ეტაპზე გუნდთან ერთად იყოს.

კიდევ ერთი საჩოთირო თემაა სამხრეთ აფრიკის ნაკრები. იმ შემთხვევაში, თუ მორნი სტეინი „სტად ფრანსესთან“ კონტრაქტს გააფორმებს, ის ლეგიონერად ჩაითვლება და ეროვნულ გუნდში ვერ ითამაშებს. როგორც ჩანს, „ბოკეს“ თავკაცი **ჰეინკე მეიერი** ამას დიდად არ განიცდის, ვინაიდან სტეინს ბოლო ხანებში სერიოზულ კონკურენციას უწევდნენ ახალგაზრდები - **პატრიკ ლამბიე** და **იოჰან გუსენი.**

ასე რომ, მორნი სტეინს მომავალი სეზონიდან ევროპაში ველოდებით.

**ბესიკ ჯანგავაძე**



**სკანდალი**



ლენს არმსტრონგი

# ლენსმა ველოსპორტი დაალალატა

## ველომრბოლებს ოლიმპიური ოჯახიდან გაძევება ემუქრებათ

ველოსპორტი, შესაძლოა, ოლიმპიური თამაშების პროგრამიდან მოიკვეთოს, თუ გაირკვევა, რომ ველომრბოლთა საერთაშორისო კავშირის ხელმძღვანელობა გარეული იყო **ლენს არმსტრონგის** დოპინგთან დაკავშირებულ სკანდალში. ასეთი განცხადება გააკეთა გუშინ სააგენტო „როიტერთან“ კომენტარში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრმა **დიკ პაუნდმა**, რომელიც მსოფლიოს ანტისადოპინგო სააგენტოს ყოფილი ხელმძღვანელი გახლავთ.

თუ გაჩნდება იმის დამამტკიცებელი დოკუმენტები, რომ ველომრბოლთა საერთაშორისო კავშირმა იცოდა არმსტრონგის დოპინგსქემების შესახებ და ამაზე რეაგირება არ მოახდინა, საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს ერთი გამოსავალი დარჩება - ჩამოაშოროს ოლიმპიადას ამ სკანდალში გახვეული ყველა ორგანიზაცია და პიროვნება.

ეს საკითხი დღის წესრიგში მას შემდეგ დადგა, რაც ლენს არმსტრონგმა **ოპრა უინფრის** ტელეშოუში დოპინგის გამოყენება აღიარა და ისიც განაცხადა, რომ მისი საქციელის შესახებ ველომრბოლთა საერთაშორისო კავშირმა კარგად იცოდა.

გუშინ კიდევ ერთი საინტერესო დეტალის შესახებ გახდა ცნობილი. თურმე არმსტრონგი ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას ხუთ მილიონ დოლარს სთავაზობდა იმ ზარალის კომპენსაციისთვის, რომელიც ქვეყანას ველომრბოლის ქმედებით მიადგა.

არმსტრონგი ამ ნაბიჯით ცდილობდა აშშ-ის საფოსტო სამსახურის დანახარჯების კომპენსირებას. ეს ორგანიზაცია ასპონსორებდა ველოსაჯინიბო US Postal-ს, რომლის რიგებში ველომრბოლი გამოდიოდა. 1999-2004 წლებში საფოსტო სამსახურმა გუნდს 30 მილიონი დოლარი გადაურიცხა.

კომპენსაციის გარდა, არმსტრონგი მთავრობას მოწმედ საკუთარ თავს სთავაზობდა იმ საქმეში, რომელსაც ფედერალური სამსახურები იძიებენ. CBS News იტყობინება, რომ მთავრობამ უარყო ველომრბოლის ორივე წინადადება, როგორც არაადეკვატური.

**გია თვალაბეიშვილი**

**კრივი**

# ბრძოლა 48 წლის ასაკში

გუშინ თავისი 48-ე დაბადების დღე იზეიმა საშუალო წონაში ყოფილმა აბსოლუტურმა ჩემპიონმა და ნახევრადსაშუალო წონაში მსოფლიოს ყოფილმა ორგზის ჩემპიონმა, ამერიკელმა **ბერნარდ ჰოპკინსმა.**

პროფესიული კარიერა მან 1988 წელს დაიწყო. 2011 წელს ჰოპკინსი გახდა ყველაზე ასაკოვანი მოკრივე ისტორიაში, რომელმაც პროფესიული კრივის ერთ-ერთი ძირითადი ვერსიით მოიპოვა ტიტული. გარდა ამისა, აქამდე ჯერ არასოდეს ყოფილა რომელიმე მოკრივე 47 წლის ასაკში მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი.

გუშინვე გაირკვა, რომ 9 მარტს, ჰოპკინსს ბრძოლა ელის IBF-ის ვერსიით ნახევრადმძიმე წონაში მსოფლიოს ჩემპიონთან, ამერიკელ **ტავორის კლაუდთან.** ამ შეხვედრის ორგანიზატორი აღმოჩნდა ლეგენდარული და სკანდალური პრომოუტერი **დონ კინგი.**

გამარჯვების შემთხვევაში ჰოპკინსი საკუთარ რეკორდს დაამხობს. 2011 წელს, ტიტულის მოპოვების მომენტში, ის 46 წლისა და 126 დღის იყო. კლაუდთან ბრძოლის დღეს კი ჰოპკინსის ასაკი იქნება 48 წელი და 54 დღე.

**გია თვალაბეიშვილი**



ჰოპკინსი და კლაუდი

# რინგზე 1997 წლის შემდეგ



როი ჯონსი

ამერიკელი მოკრივე **როი ჯონსი-უმცროსი** თავის მომდევნო ბრძოლას მსოფლიოს ყოფილ ჩემპიონთან, ირლანდიელ **სტივ კოლინზთან** ჩაატარებს, რომელიც 1997 წლის შემდეგ არ გასულა რინგზე, - ამის შესახებ BBC Sport იტყობინება.

ჯონსმა განაცხადა, რომ ამ ბრძოლის ჩატარება უფრო ადრე იყო მიზანშეწონილი, მაგრამ თუ კოლინზს ახლა სურს რინგზე ასვლა, ასეთი შეხვედრის ორგანიზება შესაძლებელია. თავის მხრივ, ირლანდიელი აცხადებს, რომ ის და ჯონსი დაახლოებით ერთი ასაკისანი არიან, ამიტომაც მათ შორის ბრძოლა ისეთივე პატიოსანი იქნება, როგორც ეს შეიძლება 15 წლის წინ ყოფილიყო.

ბრძოლის ჩატარების სავარაუდო ადგილად არაბეთის გაერთიანებულ საამიროებს, ჩინეთს, რუსეთსა და ინგლისს ასახელებენ, სავარაუდო თარიღი კი 2013 წლის აპრილია.

ჯონსი ოთხ წონით კატეგორიაში იყო მსოფლიოს ჩემპიონი. მან პროფესიულ რინგზე 64 ბრძოლა ჩაატარა, მოიგო 56 (40 - ნოკაუტით) და რვაჯერ დამარცხდა. ადრე, ჯონსი წონის გაუთვალისწინებლად მსოფლიოს საუკეთესო მოკრივედ მიიჩნეოდა. ბოლო ბრძოლა მან 2012 წლის ივლისში ჩაატარა და პოლონელი **პაველ გლაზევსკი** დაამარცხა.

**გია თვალაბეიშვილი**

# დიდი დანაკლისი

სამწუხარო ამბავი შეიტყო საკრივო სამყარომ. უმჩატეს წონაში მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი **ხესუს კასტილიო აგილერა**, რომელიც უფრო ცნობილია ჩუჩო კასტილიოს სახელით, 68 წლის ასაკში გარდაიცვალა. ცნობილ მოკრივეს რამდენიმე დღის წინ გადატანილი ოპერაციის შემდეგ შეექმნა სირთულე.

კასტილიოს გარდაცვალებასთან დაკავშირებით, მსოფლიოს საკრივო საბჭომ (WBC) სამდღიანი გლოვა გამოაცხადა. პროფესიულ დონეზე მექსიკელმა 67 ბრძოლა ჩაატარა და აქედან 47 (22 - ნოკაუტით) მოიგო. პროფესიული კარიერა კასტილიომ 1962 წელს დაიწყო და 1975 წელს დაასრულა.

კასტილიოს მოგებული აქვს ბრძოლები იმ დროის ისეთ სახელოვან მოკრივეებთან, როგორებიც იყვნენ **ხოსე მედელი, ბერნარდო კარაბალიო, იისუს პიმენტელი, ლაინელ როუზი, რაფაელ ერერა, რუბენ ოლივარესი, ენრიკე პინდერი, ბობი ჩაკონი** და **დენი ლოპესი.**

მექსიკელის კარიერის მწვერვალად მიიჩნევა 1970 წელი, როცა მან მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული მოიგო მჩატე წონაში. 6 ოქტომბერს, კალიფორნიაში ჩუჩომ 14 რაუნდში ტექნიკური ნოკაუტით დაამარცხა თანამემამულე **რუბენ ოლივარესი.**



ჩუჩო კასტილიო

სპორტული კარიერის დასრულების შემდეგ მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი მეხიკოს მეტროპოლიტენის პროფკავშირში ადვოკატად მუშაობდა.

**გია თვალაბეიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავტოსპორტი. დაკარი 2013

# ისევ ახალი ლიდერი



სირილ დეპრე

„დაკარის“ მეათე ეტაპი ავტომობილების კლასში მეტად მშვიდი გამოდგა. რამდენიმე პოდიუმის შემდეგ, როგორც იქნა, პირველი ეტაპი მოიგო წლევანდელ ავტომარათონზე არგენტინელმა **ორლანდო ტერანოვამ**, რომელმაც ორ წუთზე მეტით აჯობა **ხოან „ნანი“ რომასა** და **სტეფან პეტერანსელს**, თუმცა ამან არანაირი ცვლილება არ მოიტანა ტოპ-ხუთეულში. მხოლოდ იმის აღნიშვნა შეიძლება, რომ პეტერანსელმა კიდევ უფრო გაზარდა უპირატესობა საერთო ჩათვლაში და ახლა უახლოეს მდევარს - **ჟინიელ დე ვილიერსს** 52 წუთს უგებს. სხვათა შორის, შესანიშნავი ტემპი აკრიფა ბოლო ეტაპებზე რომამ და თუ ასე გააგრძელა, შესაძლოა, პოდიუმის მესამე საფეხურისთვის გაეჯიბროს რუს **ლეონიდ ნოვიცკის**.

**X ეტაპი**

1. **ორლანდო ტერანოვა** (არგენტინა, BMW) - 3:57.58; 2. **ხოან რომა** (ესპანეთი, MINI) - +2.07; 3. **სტეფან პეტერანსელი** (საფრანგეთი, Mini) - +2.19; 4. **ჟინიელ დე ვილიერსი** (სამხრეთ აფრიკა, Toyota) - +5.26; 5. **რობი გორდონი** (აშშ, Hammer) - +6.51...

**საერთო ჩათვლა**

1. **სტეფან პეტერანსელი** (საფრანგეთი, Mini) - 28:12.00; 2. **ჟინიელ დე ვილიერსი** (სამხრეთ აფრიკა, Toyota) - +52.38; 3. **ლეონიდ ნოვიცკი** (რუსეთი, Mini) - +1:08.40; 4. **ხოან რომა** (ესპანეთი, MINI) - +1:34.04; 5. **ორლანდო ტერანოვა** (არგენტინა, BMW) - +1:58.49...

■ ■ ■

მოტოციკლების კლასში დღე არ გავა, რომ გენერალურ კლასიფიკაციაში ლიდერი არ შეიცვალოს. ამჯერად ტოპ-ხუთეულში ერთადერთი ცვლილება მოხდა, რომელსაც ასე დიდი ხანი ელოდნენ მოქმედი ჩემპიონის, **სირილ დეპრეს** თაყვანისმცემლები. მარათონის მთავარმა ფავორიტმა, როგორც იქნა, ხელთ იგდო ლიდერობა და სავარაუდოდ, მას ფინიშამდე აღარავის დაუთმობს.

საერთოდ, მეათე ეტაპის შემდეგ გამოიკვეთა ორი მთავარი ფავორიტი მოტოციკლების კლასში. დეპრე წუთსა და 37 წამს უგებს **რუბენ ფარიას**, ხოლო დანარჩენები ამ დუეტს შესამჩნევად ჩამორჩნენ.

რაც შეეხება ეტაპს, ის მოიგო **ხოან ბარედა ბორტმა**, რომელიც წლევანდელი „დაკარის“ ლიდერია მოგებული ეტაპების რაოდენობით. ბარედა ოთხჯერ მივიდა ფინიშთან პირველი.

**X ეტაპი**

1. **ხოან ბარედა ბორტი** (ესპანეთი, "ჰუსკვარნა") - 4:43.14; 2. **სირილ დეპრე** (საფრანგეთი, KTM) - +1.15; 3. **პაულო გონკალვეში** (არგენტინა, "ჰუსკვარნა") - +2.44; 4. **ხუან პედრერო** (ესპანეთი, KTM) - +4.27; 5. **კურტ კასელი** (აშშ, KTM) - +6.56...

**საერთო ჩათვლა**

1. **სირილ დეპრე** (საფრანგეთი, KTM) - 30:47.04; 2. **რუბენ ფარია** (პორტუგალია, KTM) - +1.37; 3. **ფრანსისკო ლოპესი** (ჩილე, KTM) - +13.41; 4. **ივან იაკეში** (სლოვაკეთი, KTM) - +18.21; 5. **ალესანდრო ბოტური** (იტალია, "ჰუსკვარნა") - +24.25...

ფორმულა 1

# სიახლეები თოვლის ფონზე

იტალიის კურორტ მადონა დი კამპილიოში მიმდინარეობს ტრადიციული ზამთრის ფესტივალი, რომელშიც მონაწილეობას იღებენ "ფერარის" პილოტები - **ფერნანდო ალონსო** და **ფელიპე მასა**. „სკუდერია“ საკუთარი პროგრამით მუშაობს ამ ფესტივალზე, რომელიც სარეკლამო და საქველმოქმედო ხასიათს ატარებს, პარალელურად, „ფერარი“ ახალი სეზონისთვის ემზადება.

ფელიპე მასა, ძირითადად, თხილამურებით სრიალებდა, იმ დროს, როცა ფერნანდო ალონსო სხვადასხვა ფოტოსესიასა და ვიდეოგადაღებებში მონაწილეობდა, გარდა ამისა, გამონახა დრო სპორტდარბაზში ინტენსიური ვარჯიშებისთვის.

"ფერარის" ხელმძღვანელი **სტეფანო დომენიკალი** ასევე ჩავიდა მადონა დი კამპილიოში და გუშინ პრესკონფერენცია გამართა. დომენიკალიმ ჟურნალისტებთან შეხვედრაზე საჯინიბოს სამომავლო გეგმებზე ილაპარაკა, მთავარი ახალი ამბავი კი ის იყო, რომ „სკუდერია“ 2013 წლისთვის განკუთვნილი ბოლიდის პრეზენტაციას პირველ თებერვალს გამართავს. ჯერჯერობით უცნობია მანქანის ინდექსი.

დომენიკალი ასევე გამოეხმაურა „ფერარის“ პრეზიდენტის **ლუკა დე მონტეძემოლოს** ადრინდელ განცხადებას და მანაც გამორიცხა იტალიურ საჯინიბოში ფერნანდო ალონსოსა და „რედ ბულის“ ლიდერის **სებასტიან ფეტელის** ერთად გამოსვლა.

გუშინვე გაირკვა, რომ ესპანელი პილოტი **პედრო დე ლა როსა**, რომელიც HRT-ის დაშლის შემდეგ უმუშევარი დარჩა, „ფერარიმ“ შეიკედლა. ვეტერანი პილოტი იტალიურ გუნდში სიმულატორის განვითარებაზე იმუშავებს. დე ლა როსა ბოლო მომენტამდე იმედოვნებდა „მაკლარენში“ დაბრუნებას, სადაც ადრე ტესტ-პილოტად მუშაობდა, მაგრამ ბრიტანულმა გუნდმა უარი თქვა მისი მიწვევის იდეაზე.

ფორმულა 1-ში ახალი სეზონი 17 მარტს, ავსტრალიის გრანპრით გაიხსნება.

კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# მაიამისთან ბრძოლის წინ

ზედიზედ ექვსი მარცხის შემდეგ „ლეიკერსმა“ მიჯრით ორი შეხვედრა მოიგო და კარგად მოემზადა ჩემპიონ „მაიამისთან“ მატჩისთვის, რომელიც ხვალ გაიმართება.

კალიფორნიელებმა ამჯერად „მილუოკის“ დამარცხება მოახერხეს. „ირმები“ პერიოდულად დიდ წინააღმდეგობას უწევდნენ მასპინძლებს, მაგრამ ამ დღეს შესანიშნავად გამოიყურებოდა „ლეიკერსის“ შეტევა. **ბრაიანტი** ბრწყინვალედ ისროდა საშუალო და შორი დისტანციებიდან, **ჰოვარდი** კი სამწამიანში ბატონობდა. დუაიტს საერთოდ არ შექმნია პრობლემა „მილუოკის“ მაღლებისგან, თან **სტივ ნეში** უნარიანად ამარაგებდა „სუპერმენს“ პასებით, თუმცა შედეგიანობა არ უვარგოდა. გარდა ამისა, კობი უნდა შევაქოთ გასული კვირის საუკეთესო მოთამაშის **ბრენდონ ჯენინგსის** წინააღმდეგ დაცვისთვის - ამ უკანასკნელმა პირველ ტაიმში მხოლოდ ორი ქულა დააგროვა. ამ ყველაფრის მიუხედავად, „ლეიკერსმა“ მხოლოდ მეოთხე მეოთხედში გაინალდა გამარჯვება, როცა მასპინძლებმა 24:7 გაქცევა მოახერხეს.

■ ■ ■

ამასობაში, ამერიკულ პრესაში გაჩნდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ დუიატ ჰოვარდი „ლეიკერსში“ თავს ბედნიერად ვერ გრძნობს, უფრო მეტიც, იტყობინებიან ჰოვარდსა და კობი ბრაიანტს შორის კონფლიქტის შესახებ. არ არის გამორიცხული, კალიფორნიული კლუბის ხელმძღვანელობა „სუპერმენის“ გაცვლაზეც კი წავიდეს, რადგან დარწმუნებული არ არის იმაში, რომ შეიძლება დუაიტის ნდობა.

იმავდროულად, თავად ჰოვარდი და მისი წარმომადგენლები აცხადებენ, რომ დუაიტს გუნდში პრობლემა არ აქვს და არსად წასვლას არ აპირებს. უფრო მეტიც, „სუპერმენი“ „ლეიკერსთან“ კონტრაქტის გაგრძელებისთვის მზად არის.




კობი და დუაიტი

**ფილადელფია-ნიუ ორლეანი 99:111**

28:35, 19:18, 21:33, 31:25

ფ: ჰოლიდეი (29+5 მოხსნა+11 პასი+4 ჩაჭრა), ტერნერი (14+7 მოხსნა), ნ. იანგი (14), ტ. იანგი (12+6 მოხსნა).

ნ-ო: ვასკესი (23+9 პასი), გორდონი (19), ანდერსონი (14+9 მოხსნა), ჰენრი (11), დევისი (10+7 მოხსნა).

**შარლოტი-ინდიანა 76:103**

20:27, 20:23, 17:33, 19:20

შ: ჰენდერსონი (15), უოკერი (13+3 ჩაჭრა), სეშენსი (13).

ი: ჰიბერტი (18+7 მოხსნა+4 დაფარება), ჯორჯი (16+10 მოხსნა), ჰილი (16+7 მოხსნა), უესტი (15+8 მოხსნა).

**ბრუკლინი-ტორონტო 113:106**

27:27, 27:23, 29:26, 30:30

ბ: ლოპესი (22+9 მოხსნა), უილიამსი (21+7 პასი), ჯონსონი (21+5 პასი+5 მოხსნა), ბლეტჩი (14), ტელეტოვიჩი (10).

ტ: ლოური (21), კალდერონი (15+5 პასი), ჯონსონი (15+6 მოხსნა), დევისი (12+7 მოხსნა), დეროზანი (12).

**ჰიუსტონი-კლიპერსი 109:117**

29:28, 30:30, 18:32, 32:27

ჰ: ჰარდენი (23), პარსონსი (17), დელფინო (16+3 ჩაჭრა), ლინი (12+10 პასი), მორისი (12+8 მოხსნა).

კ: კროუფორდი (30), გრიფინი (19+8 პასი), ბლედსოუ (19+7 მოხსნა+5 პასი), ბარნსი (18), გრინი (15), ოდომი (2+11 მოხსნა).

**დენვერი-პორტლენდი 115:111 (ო)**

33:35, 21:22, 27:19, 18:23, 16:12

დ: გალინარი (25), ლოუსონი (24+12 პასი), ფარიდი (21+11 მოხსნა), ჩენდლერი (13+6 მოხსნა).

პ: ოლდრიჯი (28+8 მოხსნა+6 პასი), ბატუმი (22+7 მოხსნა+7 პასი), ჰიქსონი (19+13 მოხსნა), ლილარდი (16+8 მოხსნა+5 პასი), მეტიუზი (14).

**ლეიკერსი-მილუოკი 104:88**

29:27, 28:23, 22:23, 25:15

ლ: ჰოვარდი (31+16 მოხსნა+4 დაფარება), ბრაიანტი (31+6 პასი), უორლდ პისი (12+6 მოხსნა), ჯეიმისონი (10+8 მოხსნა), ნეში (8+11 პასი).

მ: ელისი (17+6 მოხსნა), უდრიხი (14+7 პასი), ჯენინგსი (12), დანლივი (10), სანდერსი (6+11 მოხსნა+3 დაფარება).

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

| | |
|---|---|
| **ფეხბურთი** | |
| **ამხანაგური მატჩები** | |
| ბრნო-ზნოიმო | 0:0 |
| ვარტა-გურნიკი | 0:0 |
| ბელხატოვი-პოლონია (ბ) | 1:1 |
| სპეცია-რიეკა | 0:2 |
| ტრენჩინი-მორავცე | 2:2 |
| ლეჩია-სტომილი | 2:0 |
| ბრაუნშვაიგი-ინგოლშტადტი | 1:3 |
| კოტბუსი-ვისლა | 2:1 |
| პრშიბრამი-ჩასლავი | 3:0 |
| ზენიტი-ალ ჰილალი | 4:1 |
| კიოლნი-ბოხუმი | 4:0 |
| ფრანქფურტი-ჰაველსე | 2:3 |
| იაგელონია-დაუგავა | 2:2 |
| კაიზერი-ოფენბახი | 1:3 |
| კროტონე-სიონი | 1:2 |
| ტოლიმა-ატ. უილა | 4:0 |
| **ინგლისი** | |
| ჩელსი-საუთჰემპტონი | 2:2 |
| **I ლიგა** | |
| ქოვენთრი-ტრანმერი | 1:0 |
| **ინგლისის თასი** | |
| **გადათამაშება** | |
| არსენალი-სუონსი | 1:0 |
| მანჩესტერ იუნ-ვესტ ჰემი | 1:0 |
| **იტალიის თასი** | |
| **1/4 ფინალი** | |
| ფიორენტინა-რომა | 0:0 დ.დ. 0:1 |
| **ესპანეთის თასი** | |
| **1/4 ფინალი. I მატჩი** | |
| სარაგოსა-სევილია | 0:0 |
| ბარსელონა-მალაგა | 2:2 |
| **საფრანგეთი** | |
| **ლიგის თასი. 1/2 ფინალი** | |
| რენი-მონპელიე | 2:0 |
| **ბელგიის თასი** | |
| **1/4 ფინალი. II მატჩები** | |
| ანდერლეხტი-გენტი | 1:0 (1:1) |
| კორტრიიკი-სტ. ტრუიდენი | 1:0 (0:0) |
| ოსტენდე-სერკლი | 1:2 (1:2) |
| გენკი-ვარეგემი | 0:1 (5:0) |
| **პორტუგალიის თასი** | |
| **1/4 ფინალი** | |
| ფერეირა-ჟილ ვისენტე | 2:1 |
| გიმარაეში-ბრაგა | 1:1 დ.დ. 2:1 |

| | |
|---|---|
| **ფინეთი** | |
| **ლიგის თასი** | |
| ლაჰტი-იუვიასკიულა | 0:0 |
| **საბერძნეთის თასი** | |
| **1/8 ფინალი. I მატჩები** | |
| აპოლონი-პანთრაკიკოსი | 1:1 |
| ოლიმპიაკოსი-კავალა | 2:0 |
| **თურქეთის თასი** | |
| 1461 ტრაბზონი-შივასი | 1:1 |
| ბურსა-ფენერბაჰჩე | 2:3 |
| **კვიპროსის თასი** | |
| **1/8 ფინალი. II მატჩები** | |
| ანაგენისი-აიია | 0:3 (1:0) |
| ენოსისი-ერმისი | 0:0 (1:0) |
| პაეეკ-აეპ | 1:4 (2:2) |
| ომონია-ეთნიკოსი | 2:0 (2:0) |
| **კალათბურთი** | |
| **ევროლიგა** | |
| ალბა-პანათინაიკოსი | 73:79 |
| **ევროთასი** | |
| უნიქსი-ულმი | 87:95 |
| ლოკომოტივი-სტელმეტი | 96:87 |
| ტრიუმფი-ბუდიველნიკი | 84:85 |
| სპარტაკი-სევილია | 78:59 |
| ბანვითი-ბუდუჩნოსტი | 89:80 |
| ნიმბურკი-ვალენსია | 77:82 |
| ცრვენა ზვეზდა-გალათასარაი | 74:91 |
| **ხელბურთი** | |
| **მს. ჩემპიონატი** | |
| **კაცები** | |
| რუსეთი-მაკედონია | 29:29 |
| ტუნისი-ბრაზილია | 22:27 |
| კატარი-ჩილე | 31:23 |
| გერმანია-ჩერნოგორია | 29:21 |
| დანია-ისლანდია | 36:28 |
| საფრანგეთი-არგენტინა | 35:23 |
| **ჰოკეი** | |
| **კჰლ** | |
| ავანგარდი-ცსკა | 4:3 |
| სპარტაკი-დინამო (მ) | 1:3 |
| დონბასი-ტორპედო | 2:3 (ო) |
| დინამო (რ)-სკა | 1:2 |
| **ჩეხეთი** | |
| ვიტკოვიცე-კარლოვი ვარი | 1:3 |
| **შვედეთი** | |
| ლინჩოპინგი-ფერიესტადი | 1:3 |
| როგლე-ბრიუნესი | 5:3 |

TV პროგრამა

**17 იანვარი. ხუთშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

10:00 ინგლისის ჩემპიონატი. გადადებული მატჩი. ჩელსი-საუთჰემპტონი.
12:00 ჰოლადიის ჩემპიონატი. I წრის შემაჯამებელი. აიაქსი.
13:30 ინგლისის ჩემპიონატი. I წრის შემაჯამებელი. ტოტენჰემი.
15:00 ინგლისის ჩემპიონატი. XXII ტურის მიმოხილვა.
16:00 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. ზენიტი-მალაგა.
18:00 მსოფლიო ფეხბურთის ლიდერები.
19:00 ჰოლადიის ჩემპიონატი. I წრის შემაჯამებელი. ტვენტე.
20:30 ინგლისის ჩემპიონატი. I წრის შემაჯამებელი. მანჩესტერ სიტი.
22:00 ინგლისის ჩემპიონატი. ქუინზ პარკი-ტოტენჰემი.
00:00 გერმანიის ჩემპიონატი. I წრის შემაჯამებელი. ლევერკუზენი.

**GMG-სპორტი 1**

10:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. ბენფიკა-სელტიკი.
12:00 სპორტ-NEWS.
12:15 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ჰიუსტონი-კლიპერსი.
15:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-მანჩესტერ სიტი.
17:00 რაგბი. ჰაინეკენის თასი. ლენსტერი-სკატლეტსი.
19:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
19:00 სპორტ-NEWS.
19:30 მსოფლიო კალათბურთის ლეგენდები. დეტროიტ პისტონსი. 1989-90 წლები.
20:30 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ატლანტა-ბრუკლინი.
22:45 კალათბურთი. ევროლიგა. მიმოხილვა.
23:45 კალათბურთი. ევროლიგა. TOP 16. IV ტური. ჟალგირისი-ცსკა (LIVE).

**GMG-სპორტი 2**

10:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. სიდნეი. ავსტრალია.
13:45 სპორტ-NEWS.
14:15 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. სიდნეი. ავსტრალია.
16:00 კალათბურთი. ევროლიგა. TOP16. ეფესი-პანათინაიკოსი.
18:00 სპორტ-NEWS.
20:30 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ბრუკლინი-ფილადელფია.
22:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. სიდნეი. ავსტრალია.

ამინდის პროგნოზი

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | -5 | 8 | (მზე) |
| ქუთაისი | 5 | 15 | (მზე) |
| ბათუმი | 5 | 16 | (მზე) |
| ფოთი | 5 | 15 | (მზე) |
| ზუგდიდი | 1 | 15 | (მზე) |
| გორი | -7 | 8 | (მზე) |
| თელავი | -6 | 9 | (მზე) |
| სიღნაღი | -6 | 7 | (მზე) |
| ბაკურიანი | -10 | 4 | (მზე) |
| ბორჯომი | -7 | 6 | (მზე) |
| მესტია | -11 | 3 | (მზე) |

ვალუტის კურსი

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.2103 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6565 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.6605 |
| 100 რუსული რუბლი | 5.4750 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა

# დამწუხრებული ავსტრალია

## გუშინ, ავსტრალიის ღია პირველობაზე მეორე წრე დაიწყო...

### დღის დრამა

ავსტრალიური პუბლიკისთვის ადგილობრივი ჩოგბურთელების გამოსვლა - ტრიბუნების გავსების დამატებითი საბაბია. მაგრამ წელს **სამანტა სტოსურის** მატჩებზე ავსტრალიელ ქომაგებს სიხარულის ნაკლები მიზეზი აქვთ. უფრო ხშირად აშშ-ის ღიას ყოფილი ჩემპიონის თაყვანისმცემლები იმედგაცრუებულნი ტოვებენ ტრიბუნებს. გუშინ სწორედ ასეთი დღე იყო.

სტოსურმა ჯერ კიდევ პირველ რაუნდში ანერვიულა პუბლიკა, როცა დიდი გაჭირვებით მოუგო **კაი-ჩენ ჩანგს**. მეორე წრეში სამანტას მორიგი აზიელი ელოდა - გაცილებით მაღალი კლასისა და გამოცდილების მქონე **ჟიე ჟენგი**. ეს განსხვავება ჯერ კიდევ პირველ სეტში გამოჩნდა. ჩინელი პრაქტიკულად არაფერში ჩამორჩებოდა კორტის მასპინძელს, გაცილებით ნაკლებ შეცდომას უშვებდა, რითაც ორი ბრეიკი გააკეთა ერთის წინააღმდეგ და მოიგო სეტი. მაგრამ ამით, თითქოს, აზიელის ენთუზიაზმი ამოიწურა. მეორე სეტში სტოსურმა უბრალოდ გაანადგურა მეტოქე და იმავეს აკეთებდა მესამეშიც, როცა ორი ბრეიკით წაიყვანა ანგარიში. ასე გრძელდებოდა 5:2-მდე, რის შემდეგაც ავსტრალიელისთვის ყველაფერი თავდაყირა დადგა. ორჯერ მატჩზე მოწოდებისას მან ერთი მატჩბოლის მოპოვებაც ვერ შეძლო. სამაგიეროდ, ჟენგი დამაჯერებლად იგებდა ქულას ქულაზე და მე-12 გეიმში მიიღო მესამე რაუნდში გასვლის შანსი. ამ შანსის გამოყენებაში მას თავად სტოსური დაეხმარა, როცა ასეთ გადამწყვეტ მომენტში ორმაგი შეცდომა დაუშვა.

### დღის შემობრუნება

გუშინ ქალებმა რამდენიმე დაძაბული შეხვედრით გაგვახარეს. **ქსენია პერვაკისა** და ბრიტანეთის პირველი ნომრის **ჰიზერ უოტსონის** შეხვედრა განსაკუთრებული დაძაბულობით გამოირჩეოდა, რომელმაც პიკს მეორე სეტში მიაღწია. მეტოქეები ორი პარტიის განმავლობაში არაფერს უთმობდნენ ერთმანეთს და თუ პირველ სეტში პერვაკმა ზედმეტი ბრეიკით გამოსტაცა გამარჯვება ბრიტანელს, მეორეში უოტსონი მაგრად დადგა და არ მოისურვა დანებება. პარტიის სტარტზე შეცდომების შემდეგ მეტოქეებმა ერთმანეთს ბრეიკები გაუცვალეს, ამასთან, უოტსონს 0:2-დან მოუწია სეტის გადარჩენა. მოგვიანებით მან ნამდვილი გმირობა ჩაიდინა, როცა სამი მატჩბოლი მოიგერია და მოიგო უმძიმესი ტაი-ბრეიკი - 9:7. ამის შემდეგ ბრიტანელის შეჩერება შეუძლებელი აღმოჩნდა და პერვაკმა წააგო გადამწყვეტი სეტი - 2:6.

### დღის მარათონი

- დღის ბოლოს გაიმართა შეხვედრა **იანკო ტიპსარევიჩსა** და **ლუკაშ ლაჩკოს** შორის. თავდაპირველად ამ წყვილში აშკარა ფავორიტად ტიპსარევიჩი მოჩანდა და მან იოლად მოიგო პირველი ორი სეტი. მაგრამ ამის შემდეგ, თამაშის სცენარი მკვეთრად შეიცვალა. ლაჩკომ გაახსენა იანკოს მათი ერთადერთი შეხვედრა ოთხი წლის წინ დევისის თასზე. მაშინ სერბს ხუთი სეტი დასჭირდა იმისთვის, რომ ლუკაშის წინააღმდეგობა გაეტეხა. ამჯერადაც, მეტოქეებმა ისევ მეხუთე სეტამდე მიაღწიეს. მართალია, ტიპსარევიჩი გადამწყვეტ პარტიაში ბრეიკით იგებდა, მაგრამ მატჩის მშვიდად მოგებამდე მიყვანა ვერ შეძლო. მხოლოდ 5:5-ზე ისევ მოიპოვა ინიციატივა და მოახერხა გამარჯვება. ახლა იანკოს ელის მატჩი **ჟულიან ბენეტოსთან**, რომელმაც ასევე სამ საათზე მეტი დრო გაატარა კორტზე თანამემამულე **როჟე-ვასელენთან** მატჩში.

### დღის გარღვევა

შარშანდელი სეზონის ბოლოს და წლევანდელის დასაწყისში წარმატებული თამაშის შემდეგ **კირსტენ ფლიპკენსმა კლარა ზაკოპალოვასთან** დაადასტურა თავისი ბრწყინვალე ფორმა. ავსტრალიის ღია პირველობაზე 23-ე ნომრად განთესილმა ზაკოპალოვამ წელი კარგად დაიწყო, მაგრამ ამ კონკრეტულ შეხვედრაში ჩეხი მხოლოდ საკუთარი თავის აჩრდილს ჰგავდა. ორი სეტის განმავლობაში, 30 წლის ზაკოპალოვამ მხოლოდ ერთი გეიმის აღება შეძლო და ულაპარაკოდ დაუთმო მესამე წრის საგზური ფლიპკენსს, რომელიც ასე შორს მელბურნში არასოდეს გასულა.

### დღის სენსაცია

ამ კატეგორიაში სამანტა სტოსურის მატჩის შეტანაც შეიძლებოდა, მაგრამ კიდევ უფრო მოულოდნელი იყო **დომინიკა ციბულკოვას** წაგება 21 წლის რუს **ვალერია სავინიხთან**. მან დამაჯერებლად მიიღო სლოვაკი ჩოგბურთელის გამოწვევა და პირველივე გეიმებიდან დაიწყო მეტოქის შევიწროება - ის ამისთვის უკანა ხაზიდან თამაშს იყენებდა. ამის გამო ციბულკოვამ უამრავი შეცდომის დაშვება დაიწყო, თუმცა მაინც მიაღწია ტაი-ბრეიკამდე, მაგრამ ამჯერად მეტოქემ კიდევ უფრო საიმედოდ ითამაშა და სავინიხმა მაინც აილო თავისი. დომინიკამ მეორე სეტშიც გააგრძელა შეცდომების დაშვება, რუსმა უფრო გააძლიერა თამაში და თითქოს, მერვე გეიმში აღებული ბრეიკით საბოლოოდ გაინაღდა გამარჯვება, მაგრამ უნდა შევაქოთ სლოვაკი იმის გამო, რომ მან იქვე გააკეთა საპასუხო ბრეიკი. როგორც აღმოჩნდა, ეს დომინიკას დროებითი წარმატება იყო. შემდეგ გეიმში სავინიხმა პირველი მატჩბოლი მიიღო. ციბულკოვამ გაუძლო ურთულეს გათამაშებას და მოიგერია ეს საფრთხე, თუმცა იქვე დაუშვა კიდევ ორი შეცდომა და რუსს სენსაციურად მისცა მესამე რაუნდის საგზური.



სამანტა სტოსური

### დღის სახეცვლილება

გასულ შემოდგომაზე პარიზული პუბლიკის დაპყრობის შემდეგ პოლონელი **იერჟი იანოვიჩის** მიმართ ახლა უკვე ავსტრალიელი გულშემატკივრები არ იქნებიან გულგრილნი. სკანდალურად წაგებული პირველი სეტის შემდეგ, როცა **დევარმანის** სეტბოლზე მსაჯებმა ინდოელის დარტყმისას აუტი ვერ დაინახეს, იანოვიჩის თამაში მეორე პარტიაში საერთოდ მოიშალა. პოლონელი ჩხუბობდა, საკუთარ თავს უწყრებოდა და სტაბილურად უშვებდა ბურთს კორტის მიღმა.

კატასტროფის წინაშე მდგომი პოლონელი გაუმკლავდა თავის პრობლემებს და მთლიანად ხელთ იგდო ინიციატივა. მან მინიმუმამდე დაიყვანა შეცდომების რაოდენობა და უბრალოდ, გაანადგურა დევარმანი. მხოლოდ საათი დასჭირდა მას ანგარიშის გასათანაბრებლად. მეხუთე სეტისთვის ინდოელი გონს მოვიდა და კორტზე ისევ გაჩაღდა სერიოზული ბრძოლა, თუმცა თამაშში დაბრუნებული იანოვიჩის შეჩერება შეუძლებელი იყო.

### დღის უიღბლობა

ამერიკელი **ბრაიან ბეიკერი** გასულ წელს დაბრუნდა კორტზე რამდენიმეწლიანი შესვენების შემდეგ, რომელიც ტრავმებსა და ოპერაციებს უკავშირდებოდა. სულ ამერიკელს უკვე ხუთჯერ დასჭირდა ქირურგიული ჩარევა, მაგრამ ამან ის არ გატეხა და გუშინ ბრაიანმა ბრწყინვალე მატჩი ჩაატარა თანამემამულე **სემ კუერის** წინააღმდეგ. მან პირველი სეტის ტაი-ბრეიკით მოგებაც კი შეძლო, მაგრამ მეორე სეტის დასაწყისში ისევ არ გაუმართლა. ბექჰენდის შესრულებისას ბრაიანმა მწვავე ტკივილი იგრძნო მუხლის არეში და კორტი დატოვა. ძალიან მალე გაირკვა, რომ ის თამაშის გაგრძელებას ვერ მოახერხებდა. მოედანი ბრაიანმა საერთოდ მოძრავი ეტლის მეშვეობით დატოვა. წინასწარი მონაცემებით, ბრაიანმა მენისკი გაიწყვიტა და ახლა იძულებულია, მუხლზე ოპერაცია გადაიტანოს, რაც მინიმუმ ოთხთვიან პაუზას ნიშნავს. არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ამ სიტუაციაში სემ კუერის მოქმედება, რომელიც ბოლო მომენტამდე გვერდზე ედგა თანამემამულესა და მეგობარს და მას მაქსიმალურად უწევდა დახმარებას.

### დღის სერიები

**აგნიეშკა რადვანსკა** აგრძელებს 2013 წელს თავის მოგებათა სერიას. პოლონელს მინიმალური პრობლემები შეექმნა **ირინა-კამელია ბეგუსთან** მატჩში და ისევ ორ სეტში მოიგო შეხვედრა. ასე რომ, წელს აგნიეშკას 11 მატჩიდან 11 აქვს მოგებული ისე, რომ არც ერთი სეტი არ წაუგია.

არანაკლებ ბრწყინვალედ მოსჩანს **მარია შარაპოვას** მიღწევა. რუსმა ზედიზედ მეორედ არ შეიმჩნია კორტზე მეტოქე. მან **მისაკი დოი** 6:0, 6:0 გაანადგურა და ახლა მის მიერ ზედიზედ მოგებული გეიმების რიცხვი 24-მდე ავიდა.

### დღის ფაქტები

ზედიზედ მეორე წელია, ამერიკელებს შორის რეიტინგის მიხედვით მეორე ნომერი იძულებულია, ტრავმის გამო მეორე რაუნდიდან მიატოვოს ტურნირი. 2012 წელს ეს იყო **ენდი როდიკი**, ახლა კი იგივე ბედი ეწია ბრაიან ბეიკერს.

მარია შარაპოვამ გაიმეორა ავსტრალიელი **ვენდი ტერნბულის** მიღწევა, რომელმაც 1985 წელს, ასევე ავსტრალიის ღიაზე ზედიზედ ორი მატჩი მოიგო „მშრალი" ანგარიშით. საინტერესოა, ორი ასეთი ტრიუმფის შემდეგ, ტერნბულმა მესამე წრე წააგო.

**II წრე**

**კაცები**

**ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 1)**-რაიან ჰარისონი (აშშ) 6:1, 6:2, 6:3; **რადეკ შტეპანეკი (ჩეხ, 31)**-ფელისიანო ლოპესი (ესპ) 6:2, 6:2, 6:4; **სემ კუერი (აშშ, 20)**-ბრაიან ბეიკერი (აშშ) 7:6(2), 1:1 უარი; **სტანისლას ვავრინკა (შვეიც, 15)**-ტობიას კამკე (გერ) 6:3, 7:6(4) უარი; **კევინ ანდერსონი (ს. აფრ)**-ანდრეი კუზნეცოვი (რუს) 6:1, 7:5, 6:4; **ფერნანდო ვერდასკო (ესპ, 22)**-ქსავიე მალისე (ბელ) 6:1, 6:3, 6:2; **იურგენ მელცერი (ავსტრია, 26)**-რობერტო ბაუტისტა აგუტი (ესპ) 6:7(4), 6:3, 6:7(3), 6:3, 6:2; **ტომაშ ბერდიხი (ჩეხ, 5)**-გიიომ რუფენი (საფ) 6:2, 6:2, 6:4; **დავიდ ფერერი (ესპ, 4)**-ტიმ შმიჩეკი (აშშ) 6:0, 7:5, 4:6, 6:3; **მარკოს ბაღდატისი (კვიპ, 28)**-ტაცუმა იტო (იაპ) 3:6, 6:3, 6:2, 6:2; **ევგენი დონსკოი (რუს)**-მიხაილ იუჟნი (რუს, 23) 3:6, 7:6(4), 6:2, 3:6, 6:3; **კეი ნიშიკორი (იაპ, 16)**-კარლოს ბერლოკი (არგ) 7:6(4), 6:4, 6:1; **ნიკოლას ალმაგრო (ესპ, 10)**-დანიელ ხიმენო ტრავერო (ესპ) 6:4, 6:1, 6:2; **იერჟი იანოვიჩი (პოლ, 24)**-სომდევ დევარმანი (ინდ) 6:7(10), 3:6, 6:1, 6:0, 7:5; **ჟულიან ბენეტო (საფ, 32)**-ედუარდ როჟე-ვასელენი (საფ) 4:6, 7:5, 7:6(5), 7:6(5); **იანკო ტიპსარევიჩი (სერ, 8)**-ლუკაშ ლაჩკო (სლოვაკ) 6:3, 6:4, 3:6, 4:6, 7:5.

**ქალები**

**ნა ლი (ჩინ, 6)**-ოლგა გოვორცოვა (ბლრ) 6:2, 7:5; **სორანა კირსტეა (რუმ, 27)**-კრისტინა პლიშკოვა (ჩეხ) 1:6, 6:3, 6:2; **ჯულია გორგესი (გერ, 18)**-რომინა ოპრანდი (შვეიც) 6:3, 6:2; **ჟიე ჟენგი (ჩინ)**-სამანტა სტოსური (ავსტრა, 9) 6:4, 1:6, 7:5; **ანა ივანოვიჩი (სერ, 13)**-იუნ-მან ჩანი (ტაივ) 7:5, 1:6, 6:4; **ელენა იანკოვიჩი (სერ, 22)**-მარია ჟოაო კოლერი (პორ) 2:6, 7:6(5), 6:2; **ჰიზერ უოტსონი (ბრიტ)**-ქსენია პერვაკი (ყაზ) 4:6, 7:6(7), 6:2; **აგნიეშკა რადვანსკა (პოლ, 4)**-ირინა-კამელია ბეგუ (რუმ) 6:3, 6:3; **ანჟელიკ კერბერი (გერ, 5)**-ლუსი ჰრადეცკა (ჩეხ) 6:3, 6:1; **მედისონ კისი (აშშ)**-ტამირა პაჩეკი (ავსტრია, 30) 6:2, 6:1; **ეკატერინა მაკაროვა (რუს, 19)**-სტეფანი ფორეტცი (საფ) 6:3, 6:3; **მარიონ ბარტოლი (საფ, 11)**-ვესნა დოლონცი (სერ) 7:5, 6:0; **ვალერია სავინიხი (რუს)**-დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკ, 15) 7:6(6), 6:4; **კირსტენ ფლიპკენსი (ბელ)**-კლარა ზაკოპალოვა (ჩეხ, 23) 6:1, 6:0; **ვენუს უილიამსი (აშშ, 25)**-ალიზ კორნე (საფ) 6:3, 6:3; **მარია შარაპოვა (რუს, 2)**-მისაკი დოი (იაპ) 6:0, 6:0.

## აზარენკა რედ ბულის ოჯახში



მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა, ბელარუსმა **ვიქტორია აზარენკამ** სარეკლამო კონტრაქტი გააფორმა ენერგეტიკული სასმელების მწარმოებელ კომპანია „რედ ბულთან". ვიქტორია ჩოგბურთის პირველი წარმომადგენელია, რომელიც „რედ ბულს" გაუწევს რეკლამას.

*„მოხარული ვარ, რომ „რედ ბულის" ოჯახის ნაწილი გავხდი. ყოველთვის მომწონდა მათი პროდუქცია და აღფრთოვანებული ვარ იმით, თუ როგორ მუშაობს ეს კომპანია სპორტსმენებთან"*, - ამბობს 23 წლის ჩოგბურთელი.

შეგახსენებთ, რომ აზარენკა თანამშრომლობს ჩოგნების მწარმოებელ ფირმა Wilson-თან და სპორტულ კომპანია Nike-თან. გარდა ამისა, ვიქტორიას მოქმედი ხელშეკრულებები აკავშირებს საათების ფირმა Citizen Watch American Express-თან და Six Star Pro Nutrition-თან.



## ერთად ემზადებიან

ესპანელი ვარსკვლავი **რაფაელ ნადალი** აგრძელებს მზადებას კორტზე დასაბრუნებლად. ამ მომენტისთვის 26 წლის ჩოგბურთელი ბარსელონაში იმყოფება და თავისი მუდმივი მწვრთნელის **ტონი ნადალის** ხელმძღვანელობით ვარჯიშობს. შეგახსენებთ, რომ ესპანელის კორტზე დაბრუნება ბრაზილიის ქალაქ სან პაულუშია დაგეგმილი.

საინტერესოა, რომ სატრენაჟორო დარბაზში რაფაელი იტალიელ ჩოგბურთელთან **ფლავია პენეტასთან** ერთად ვარჯიშობს. აპენინელი ასევე აღდგენით კურსს გადის აგვისტოში მაჯაზე გადატანილი ოპერაციის შემდეგ.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**


დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო

ISSN 2233-3827

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი**; მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი**; მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**

ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.** ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: *ირაკლი თავაძე*

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com; lelo@palitra.ge ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:40

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**


რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

საბანკო რეკვიზიტები: **შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608**